



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
The European Union for Georgia

## სამაგიდე კვლევა

# სოციალური მეწარმეობის პრაქტიკა და გამოწვევები საქართველოში

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების  
ცენტრი

*მომზადებულია დამოუკიდებელი მკვლევარის ირაკლი მხეიძის მიერ*

დეკემბერი 2017 წ.



*ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრი და არ ნიშნავს რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.*

## სარჩევი

შესავალი .....	5
თავი I.....	7
სოციალური მეწარმეობის ზოგადი გარემო.....	7
1.1. სოციალური საწარმოს დეფინიცია.....	7
1.2. სოციალურ საწარმოთა იურიდიული ფორმები.....	10
1.3. სოციალურ საწარმოთა ზოგადი სურათი.....	12
თავი II .....	17
მხარდამჭერი სისტემა .....	17
2.1. ინფრასტრუქტურა.....	17
სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდია.....	17
საქართველოს სასაჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.....	19
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.....	19
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.....	20
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო.....	21
2.1. სახელმწიფო პოლიტიკა სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებით .....	21
სახელმწიფო/მუნიციპალური სტრატეგიები .....	21
ქ. თბილისის ადგილობრივი ხელისუფლება .....	21
ქალაქი ზუგდიდი .....	22
ქალაქი ქუთაისი .....	23
მცხეთა-მთიანეთის რეგიონი .....	24
შიდა ქართლი.....	24
2.3. საგადასახადო სისტემა.....	25
2.4. გამონაკლისი შესყიდვის სფეროში .....	28
2.5. არასამთავრობო და კერძო სექტორის როლი .....	28
საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები .....	28
კერძო ინიციატივა - სოციალური მეწარმეობა - ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის - 2016 - 2018.....	30

თავი III .....	31
დაფინანსების სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები .....	31
თავი IV .....	32
რეკომენდაციები.....	32
4.1. სამართლებრივი ჩარჩო .....	32
სოციალურ საწარმოთა იურიდიული ფორმების განსაზღვრა .....	38
საგადასახადო რეგულაციების მოდიფიკაცია .....	48
გრანტის მიღებისა და დაბეგვრის ახლებური რეგულაცია სოც. საწარმოებისათვის.....	51
წამახალისებელი მექანიზმების დადგენა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში...	51
საწარმოო ფართის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.....	54
მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონის მოდიფიკაცია .....	55
4.2. სახელმწიფო პოლიტიკა, სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებით .....	55
4.3.2. კრედიტები .....	67
4.3.3. ტრენინგი .....	71
4.3.4. საერთაშორისო თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება.....	73
4.3.5. სექტორის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა .....	73
მრავალფეროვანი სოციალური მიზნები .....	74
შემოსავლის წყაროების დივერსიფიცირება .....	74

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მომზადებულია „საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის“ (CSRDG) და „საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდის“ (ASB Georgia) დაკვეთით პროექტის „სოციალური მეწარმეობა - ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის“ - ფარგლებში.

დოკუმენტის მიზანია შეისწავლოს საქართველოში სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო საფუძვლები, სამოქმედო გარემო, მხარდამჭერი სისტემა და ძირითადი მაჩვენებლები, მოახდინოს პრობლემების იდენტიფიცირება და შეიმუშავოს რეკომენდაციები აღნიშნულ პრობლემათა აღმოფხვრის მიზნით.

საკანონმდებლო და სამოქმედო გარემოს შესწავლის პარალელურად, დოკუმენტის მზადების პროცესში ჩატარდა სოციალურ მეწარმეთა გამოკითხვა მათი იურიდიული ფორმების, შემოსავლის წყაროების, საქმიანობის სფეროებისა და გამოწვევების შესახებ. გამოკითხვის შედეგები განზოგადებული სახით, მოცემულია წინამდებარე დოკუმენტში და საფუძვლად უდევს იდენტიფიცირებულ პრობლემებსა და შემუშავებულ რეკომენდაციებს.

დამატებით, საქართველოს არბაითერ-სამარიტერ-ბუნდის დაკვეთით მომზადდა სამაგიდე კვლევა - „საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური საწარმოების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ“. კვლევაში 7 ქვეყნის (ავსტრალია, კანადა, დიდი ბრიტანეთი, იტალია, პოლონეთი, ლიტვა, სლოვენია) მაგალითზე განხილულია სოციალური საწარმოების სამოქმედო გარემო (მათ შორის სამართლებრივი გარემო) და სახელმწიფო და მუნიციპალური მხარდამჭერი მექანიზმები. წინამდებარე კვლევაში მოცემული რეკომენდაციები, სხვა გარემოებებთან ერთად, ეფუძნება აღნიშნული სამაგიდო კვლევის შედეგად გამოვლენილ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებს.

წინამდებარე დოკუმენტის მზადების პროცესში ჩატარებული საქართველოს საკანონმდებლო გარემოს კვლევისა და სოც. მეწარმეთა გამოკითხვის შედეგად, გამოიკვეთა სოციალურ მეწარმეთა წინაშე არსებული პრობლემები, როგორც სამართლებრივი, ასევე ინსტიტუციური და პრაქტიკული თვალსაზრისით:

საქართველოში არ არსებობს სოციალური საწარმოს მარეგულირებელი კანონმდებლობა. მეტიც, არც ერთი ნორმატიული აქტი, არც ცენტრალურ და არც ადგილობრივ დონეზე არ განმარტავს სოციალური საწარმოს არსსა და რაობას. ბუნებრივია, ამ პრობლემას თანს სდევს საგადასახადო ბარიერები და მხარდამჭერი რეგულაციების არარსებობა, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის სექტორის განვითარების თვალსაზრისით.

გარდა ამისა, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში არ არსებობს არც ერთი სამთავრობო უწყება, რომელიც სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერისა და განვითარების პოლიტიკაზე იქნებოდა პასუხისმგებელი.

ძალზედ მწირია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების პროგრამები, რომლებიც სოციალური მეწარმეობის სფეროს კვეთს. უფრო მეტიც, არ არსებობს სპეციფიური საბიუჯეტო პროგრამები, რომლებიც სოციალური მეწარმეობის, როგორც დარგის განვითარებას ისახავს მიზნად. ის მწირი პროგრამები, რომლებიც ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე გვხვდება უშუალოდ არ არის მიმართული სოციალური მეწარმეების მხარდაჭერისაკენ, ამის ნაცვლად, ისინი სოც. მეწარმეობას განიხილავენ ამა თუ იმ დარგობრივი პრობლემის გადაჭრის საშუალებად და სხვა სუბიექტებთან ერთად, საშუალებას აძლევენ სოც. მეწარმეებს მიიღონ გარკვეული ტიპის დაფინანსება ამა თუ იმ სოციალურ მიზანზე ორიენტირებული მომსახურების სანაცვლოდ. ასეთი დაფინანსებაც ძალზედ მწირია და ვერ ახდენს ეფექტს სექტორის ფუნქციონირებაზე.

სოციალური საწარმოების დაფინანსების წყაროებიც არ არის დივერსიფიცირებული. გამოკითხვამ აჩვენა, რომ გამოკითხული ორგანიზაციების ნახევარზე მეტს არ აქვს 1-ზე მეტი შემოსავლის წყარო - მათგან ნაწილი დამოკიდებულია საერთაშორისო/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მიღებულ გრანტებზე, ხოლო ნაწილი - სამეწარმეო საქმიანობაზე. სოციალურ საწარმოებს არ აქვთ ხელმისაწვდომობა იაფ კრედიტზე, ძალზედ იშვიათია მათზე სახელმწიფო გრანტების გაცემის შემთხვევები, ცენტრალური/ადგილობრივი ხელისუფლება არ აფინანსებს უშუალოდ სოც. საწარმოების სტარტაპებს და მათ განვითარების მომდევნო ეტაპებზე. სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში არ არსებობს წამახალისებელი მექანიზმების სოციალური საწარმოებისათვის და ა.შ.

სოციალური საწარმოები, ასევე უჩივიან ისეთ პრაქტიკულ პრობლემებს, როგორებიცაა ბიზნეს უნარ-ჩვევების ნაკლებობა, ტრენინგების შეზღუდული ხელმისაწვდომობა, სუსტად განვითარებული ქსელები და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა, საწარმოო ფართის არარსებობა და მრავალი სხვა.

ვრცლად, სოციალურ მეწარმეთა სამოქმედო გარემოს, მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკული სირთულეების შესახებ, მოცემულია მომდევნო თავებში. დოკუმენტის შემაჯამებელ ნაწილში, იდენტიფიცირებული პრობლემებისა და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, მოცემულია რეკომენდაციები სოციალურ მეწარმეთა გამოწვევების გადასაჭრელად.

## თავი I

### სოციალური მეწარმეობის ზოგადი გარემო

#### 1.1. სოციალური საწარმოს დეფინიცია

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს სოციალური მეწარმეობის ინსტიტუტს - ეს სფერო სრულად დაურეგულირებელია. შესაბამისად, კანონი არ განმარტავს ტერმინებს - „სოციალურ მეწარმეობა და „სოციალური მეწარმე“.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების სტრატეგიები და პროგრამები სოციალურ მეწარმეობას განიხილავენ, როგორც მოქალაქეთა მოწყვლადი ჯგუფის მხარდაჭერისა და ინოვაციის ხელშემწყობ მექანიზმს, არც ერთ სამართლებრივ აქტში არ გვხვდება სოციალური მეწარმეობის/საწარმოს დეფინიცია.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიური ადვოკატირების შედეგად, სოციალური მეწარმეობის კონცეფცია უფრო და უფრო პოპულარული ხდება და ასევე, იზრდება სოციალურ საწარმოთა რაოდენობაც. ამ პროცესების კვალდაკვალ, ჩამოყალიბდა სოციალური მეწარმეობის არაფორმალური განმარტების რამდენიმე ვერსია:

სექტორში დამკვიდრებული ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ვერსიის თანახმად:

„სოციალური საწარმო ბიზნესის პრინციპებით მოქმედი საწარმოა, რომელსაც აქვს სოციალური მისია. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც იყენებს ბიზნესის ინოვაციურ მიდგომებს საზოგადოებრივი პრობლემების მოსაგვარებლად, თუმცა, ჩვეულებრივი ბიზნესისგან განსხვავებით, მოგებას ისევ სოციალური მიზნებისთვის იყენებს.“<sup>1</sup>

უახლოეს წარსულში არასამთავრობო სექტორის მხრიდან იყო რამდენიმე მცდელობა სოციალური მეწარმეობის საკანონმდებლო რეგულირება მომხდარიყო. ამ მიზნით, სხვადასხვა აქტორებმა საქართველოს პარლამენტს რამდენჯერმე მიმართეს საკანონმდებლო ინიციატივითა და ზემოთ აღნიშნული ტერმინების სამართლებრივი განმარტების თხოვნით:

2015 წელს სოციალური მეწარმეობის მარეგულირებელი კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს წარუდგინა საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა (CSRDG). საკანონმდებლო წინადადება სოციალური მეწარმეობის უმრავლესობის მიერ იყო მხარდაჭერილი და მათი ჩართულობით მომზადებული. კანონპროექტის თანახმად, სოციალური მეწარმეობა განიშარტება, როგორც „ორგანიზებული სამეწარმეო საქმიანობა სოციალური ზრუნვის, სოციალური ადაპტაციის, სიღარიბის შემცირებისა და დაძლევის, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის, საგანმანათლებლო,

---

<sup>1</sup>სოციალური მეწარმეობის ცენტრი - <http://www.segeorgia.org/info.php?ID=5>

ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სპორტის, გარემოს დაცვის სფეროებში, რომლის მიზანი არ არის უპირატესად მოგების მიღება და პარტნიორთა, მეპაიეთა ან აქციონერთა შორის განაწილება.<sup>2</sup>

ამავე კანონპროექტის თანახმად, „სოციალური საწარმო არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი რომელიც:

ა) შექმნილია სოციალური მიზნების მისაღწევად სოციალური ზრუნვის, სოციალური ადაპტაციის, სიღარიბის შემცირებისა და დაძლევის, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის, საგანმანათლებლო, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სპორტის, გარემოს დაცვის სფეროებში;

ბ) ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და მისი შემოსავლების დიდ ნაწილს შეადგენს სამეწარმეო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები;

გ) მოგების არანაკლებ 70%-ის რეინვესტირებას ახორციელებს წესდებით გათვალისწინებული სოციალური მიზნების მიზნების მიღწევისათვის წარმოებულ საქმიანობაში;

დ) იმართება დემოკრატიულ პრინციპების დაცვით და წესდებისა და საწესდებო მიზნების ცვლილება დასაშვებია ხმათა არანაკლებ 80%-ის უმრავლესობით;

ე) პირდაპირ ან არაპირდაპირ არ არის დაკავშირებული ან დაქვემდებარებული სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსადმი.”

მეორე კანონპროექტი, რომელიც სოციალური მეწარმეობის რეგულირების მიზანს მოიცავდა, მომზადებული იყო ა(ა)იპ „ფონდი ტასოს” მიერ. „ფილანთროპიის, ქველმოქმედებისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით, სოციალური მეწარმეობა განიმარტებოდა, როგორც „სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა, რომლის მოგება ორგანიზაციის წესდებით გაცხადებული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, ორგანიზაციის ფილანთროპიულ ან/და საქველმოქმედო საქმიანობას ხმარდება.”<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ სოციალური მეწარმეობის ამგვარ განმარტებას არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოჰყვა სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან.

კიდევ ერთი კანონპროექტი მომზადებული იყო „საქართველოს უსინათლოთა კავშირის მიერ”. კანონპროექტის თანახმად, ცვლილება უნდა განხორციელებულიყო „მეწარმეთა

---

<sup>2</sup> „სოციალური მეწარმეობისა და მისი მხარდაჭერის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტი. იხ საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტი: <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/132460?>

<sup>3</sup> „ფილანთროპიის, ქველმოქმედებისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის შესახებ” საქართველოს კანონის პროექტი. იხ საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტი: <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/122188?>



შესახებ” საქართველოს კანონში და იურიდიული პირების სამართლებრივ ფორმებს უნდა დამატებოდა „სოციალური საწარმო” და „სოციალური კოოპერატივი”.

კანონპროექტის თანახმად, „სოციალური საწარმოს მიზანი სოციალური ხასიათისაა და ის ორიენტირებულია სოციალური ცვლილებების განხორციელებაზე, მოწყვლადი ჯგუფების დახმარებასა და საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნების მიღწევაზე. სოციალური საწარმო მიზნად არ ისახავს დამფუძნებლებისა და წილის მფლობელების მოგების ზრდას. დასახული მიზნების მისაღწევად სოციალურ საწარმოში განსხვავებულია წილების განაწილების საკითხი. საწარმო ახდენს მოგების რეინვესტირებას საკუთარ საქმიანობაში.<sup>4</sup>

„სოციალური კოოპერატივი, ასევე წარმოადგენს სოციალური მიზნისა და პასუხისმგებლობის მქონე მეწარმე სუბიექტს, რომლის შესახებაც დაფიქსირებულია სოციალური კოოპერატივის წესდებაში. იმისათვის, რომ სამეწარმეო სუბიექტმა შეიძინოს სოციალური კოოპერატივის სტატუსი და კანონმდებლობით დადგენილი შეღავათები, საჭიროა:

ა) დასაქმებულ პირთა რაოდენობა იყოს არანაკლებ ხუთი;

ბ) დასაქმებულ პირთა სულ მცირე 80% შეადგენდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს;

გ) დასაქმებული შშმ პირების ხელფასი უტოლდებოდეს ან/და აჭარბებდეს ქვეყანაში დაწესებული საარსებო მინიმუმის ოდენობას.

ამრიგად, სამოქალაქო სექტორში სოციალურ მეწარმეობად აღიქმება სამეწარმეო საქმიანობა, რომლის მიზანი, უპირველეს ყოვლისა, სოციალური მიზნების შესრულება ან/და ასეთი მიზნების ფინანსური უზრუნველყოფაა. აღსანიშნავია, რომ სექტორში დამკვიდრებული კონცეფციის თანახმად, სოციალური საწარმო თავისი მოგების უდიდესი ნაწილის რეინვესტირებას, ისევე საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნებში უნდა ახდენდეს.

აქვე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოები დიდი ხნის განმავლობაში აფიქსირებენ ერთობლივ პოზიციას იმის შესახებ, რომ „სოციალური მეწარმეობის” სამართლებრივი რეგულირების გარეშე, მათ ექმნებათ მრავალი დაბრკოლება, მათ შორის:

- შეუძლებელია სოციალური საწარმოების იდენტიფიცირება და გარჩევა სხვა საწარმოებისგან;
- გართულებულია ფინანსებზე წვდომა (მიზნობრივი კრედიტი, გრანტი და ა.შ.);
- ამ პირობებში შეუძლებელია სახელმწიფოს მხრიდან სოციალური მეწარმეობის ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება;

---

<sup>4</sup> საქართველოს კანონის პროექტი „მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ. იხ საქართველოს პარლამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული დოკუმენტი: <http://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/132911?>

- არსებულ სახელმწიფო და მუნიციპალურ პროგრამებში, რომლებიც ბენეფიციარებად სოციალურ საწარმოებსაც მოიაზრებს, რთულია სუბიექტების შერჩევა; ეს პრობლემა, ასევე ეხება კერძო ინიციატივებსაც.
- შეუძლებელია შესყიდვებისას დამატებითი სოციალური სარგებელის შეფასება და გათვალისწინება;
- ვერ ხერხდება სექტორის შეფასება და სტატისტიკის წარმოება.

## 1.2. სოციალურ საწარმოთა იურიდიული ფორმები

საქართველოში სოციალური საწარმოებისათვის არ არის დადგენილი სპეციფიური იურიდიული ფორმა. აქედან გამომდინარე, თეორიულად, შესაძლებელია, რომ ნებისმიერი სამეწარმეო, თუ არასამეწარმეო სუბიექტის ფორმით დაფუძნებულმა სუბიექტმა განახორციელოს სოციალური მეწარმეობა. თუმცა, პრაქტიკაში დომინირებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით დაფუძნებული სოციალური საწარმოები.

მოკლედ, განვიხილოთ ასეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების სპეციფიკა:

**არასამეწარმეო იურიდიული პირი** წარმოადგენს იურიდიული პირის განსაკუთრებულ ფორმას. ა(ა)იპ–ის სხვა იურიდიული პირებისაგან განმასხვავებელი ძირითადი ნიშანი, კერძო სამართლის თვალსაზრისით, არის ის, რომ იგი არ არის კომერციული საქმიანობის საწარმოებლად და მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით შექმნილი ორგანიზაცია.

არასამეწარმეო იურიდიული პირი უფლებამოსილია, განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რაც კანონით აკრძალული არ არის, მიუხედავად იმისა, არის, თუ არა, ეს საქმიანობა მისი სადამფუძნებლო დოკუმენტებით გათვალისწინებული.

მიუხედავად იმისა, რომ არასამეწარმეო იურიდიული პირი, თავისი არსით, არ შეიძლება იყოს კომერციულ საქმიანობაზე ორიენტირებული, მას უფლება აქვს, ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას. ასეთი საქმიანობიდან მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას და მისი განაწილება არასამეწარმეო იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იმპერატიულად ადგენს, რომ არასამეწარმეო იურიდიული პირი არსებითად არ უნდა გადავიდეს სამეწარმეო საქმიანობაზე, ანუ, მისი ძირითადი აქტივობა და მიზანი არ უნდა შეცვალოს კომერციულმა საქმიანობამ და მოგების მიღების დანიშნულებამ. არასამეწარმეო იურიდიული პირის შექმნისა და ფუნქციონირების დანიშნულება, პირველ ყოვლისა, არის არაკომერციული ხასიათის საქმიანობა და რაიმე განსაზღვრული მიზნის მისაღწევად მოქმედება. ასეთი ორგანიზაციები, ძირითადად, საზოგადოებისათვის სასარგებლო შედეგების მიღებისთვის იქმნება. ზოგადად, კი,

არასამეწარმეო იურიდიული პირის საქმიანობის მიზანი შეიძლება იყოს ნებისმიერი რამ, რაც კანონით არ არის აკრძალული და არ ეწინააღმდეგება მოქმედ სამართალს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ განმარტავს იმას, თუ რა ითვლება სამეწარმეო საქმიანობაზე არსებითად გადასვლად. თუმცა, ამ დებულების ძირითადი არსი გახლავთ ის, რომ არაკომერციული იურიდიული პირის ფუნქციონირების მთავარი დანიშნულება უნდა იყოს საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნების განხორციელება და არა, მისი ხელმძღვანელების მიერ მოგების მიღება.

ამავე შინაარსით განმარტავს საქართველოს უზენაესი სასამართლო „სამეწარმეო საქმიანობაზე არსებითად გადასვლას“, 2001 წლის 28 ნოემბერს გამოტანილ გადაწყვეტილებაში #33/939-01. კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ როცა სასამართლო ორგანიზაციის რეგისტრაციას აუქმებს დამხმარე სამეწარმეო საქმიანობაზე გადასვლის ნიშნით, „უნდა გაითვალისწინოს ისიც, რომ რეგისტრაციის გაუქმება მხოლოდ მაშინაა დასაშვები, როცა ეს ორგანიზაცია არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე (კავშირს პრინციპულად აქვს კომერციული საქმიანობის განხორციელების უფლება. ასეთი საქმიანობით მიღებული შემოსავალი მათ მიზნებს უნდა ამართლებდეს). აღნიშნულს კი, მაშინ ექნება ადგილი, როცა დადგინდება, რომ სამეწარმეო საქმიანობით მიღებული მოგება კავშირის წევრებს შორის ნაწილდება: მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია, რომ კავშირი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე. უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლოს ისიც კი არ დაუდგენია, კავშირის წესდებაში მითითებული სამეწარმეო საქმიანობა კავშირისათვის დასაშვებ საქმიანობად შეიძლება ჩათვლილიყო, თუ არა და თუ არ ჩაითვლებოდა, რა ნიშნით.“

აღნიშნულიდან გამომდინარე, არასამეწარმეო იურიდიული პირისათვის, სამეწარმეო საქმიანობა უნდა იყოს დამატებითი საქმიანობა, რომლის მიზანი ძირითადი საწესდებო (საზოგადოებრივად სასარგებლო) ფუნქციების ფინანსური უზრუნველყოფაა. ამასთან, არ აქვს მნიშვნელობა, თუ რა პროპორცია იქნება დამხმარე ეკონომიკური საქმიანობიდან გენერირებულ შემოსავლებსა და გრანტის/შემოწირულობის ფორმით მიღებულ თანხებს შორის.

**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მეწარმეთა შესახებ“** საქართველოს კანონის საფუძველზე დაფუძნებული სამეწარმეო იურიდიული პირია. აღნიშნული კანონის თანახმად, „შპს არის საზოგადოება, რომლის პასუხისმგებლობა მისი კრედიტორების წინაშე შემოიფარგლება მთელი მისი ქონებით. ასეთი საზოგადოების დაფუძნება შეუძლია ერთ პირსაც.“

შპს-ს კაპიტალი დაყოფილია წილებად. წილი არის მიმოქცევადი უფლება.

შპს ორგანიზაციული მოწყობის თვალსაზრისით, საკმაოდ მარტივი და მოქნილი სტრუქტურის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმაა. მისი მართვის, სტრუქტურის, ორგანიზაციული მოწყობის და სხვა საკითხები განისაზღვრება დამფუძნებელთა შეთანხმებით (წესდებით). კანონი შპს-ს სტრუქტურისა და მართვის თვალსაზრისით, მხოლოდ მინიმალურ მოთხოვნებს ადგენს.

შპს-ს პარტნიორთა უფლება-მოვალეობები და წილების თავდაპირველი განაწილების წესი განისაზღვრება საწარმოს წესდებით (პარტნიორთა შეთანხმებით).

მიუხედავად იმისა, რომ ა(ა)იპ და შპს ორგანიზაციული სტრუქტურის, მართვის, მოწყობის, ხელმძღვანელთა და სხვა პირთა უფლება-მოვალეობების მოწესრიგების თვალსაზრისით, საკმაოდ მარტივი და მოქნილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმებია, ვერც ერთი მათგანი ვერ უზრუნველყოფს სოციალურ მეწარმეობის იდეის სრულად განხორციელებას დაბრკოლებების გარეშე.

ა(ა)იპ-ის პრობლემა, ამ თვალსაზრისით, არის ის, რომ საქართველოს კანონმდებლობით, არასამეწარმეო იურიდიული პირი არ განიხილება შემოსავალზე ორიენტირებულ ორგანიზაციად. ასეთ დაწესებულებას ეკრძალება დივიდენდის განაწილება და ამავდროულად, ვერ სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით მოგების რეინვესტირების შემთხვევაში. მისი იურიდიული ფორმა ვერ ქმნის საკმარის გარანტიებს კრედიტორებისთვის, რაც ართულებს სესხზე და ინვესტიციებზე ორგანიზაციის წვდომას. ასეთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა დადგენილია ყველა ტიპის საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის, რაც მას ვერ ანიჭებს საზოგადოებრივ აღქმას, რომ ის სოციალური საწარმოა.

ა(ა)იპ-ის მიერ სამეწარმეო საქმიანობის წარმოების შემთხვევაში, ასევე პრობლემას წარმოადგენს გადასახადების გამიჯვნა იმ შემოსავლებზე/ხარჯებზე, რომლებიც სოციალური მიზნებისთვის იქნა მიღებული/გაწეული და რომლებიც დამხმარე ეკონომიკურ საქმიანობას უკავშირდება და ა.შ. მაგალითად, ორგვარი შემოსავლის არსებობის პირობებში (დაბეგვრადი და არადაბეგვრადი), ა(ა)იპებს ურთულდებათ, სწორად გამოითვალონ ის დრო, თუ როდის გამოიყენება ცალკეული რესურსი (მაგ. კონფერენციის დარბაზი) ეკონომიკური საქმიანობისათვის და როდის – საქმიანობისათვის, რომელიც საგადასახადო შეღავათებით სარგებლობს.

რაც შეეხება შპს-ს ასეთი იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა ვერ უზრუნველყოფს სოციალური მიზნების საფუძველშივე ინტეგრირებას. იგი საზოგადოებაში აპრიორი აღიქმება სამეწარმეო სუბიექტად. კანონმდებლობით, შპს არ არის გრანტის მიმღები სუბიექტი.<sup>5</sup> საგადასახადო კოდექსით კი, შპს-ს მიერ გაწეული ხარჯი, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას არ უკავშირდება (სოციალური ხარჯები) იბეგრება მოგების გადასახადით. შპს, ასევე ვერ სარგებლობს იმ საგადასახადო შეღავათებით, რომელიც სხვადასხვა სოციალურ მიზნებს უკავშირდება. შპს-ს ფორმით დაფუძნებული საწარმოები, ასევე ვერ მონაწილეობენ ისედაც მწირ სახელმწიფო პროგრამებში, რომელიც სოც. მეწარმეობის განვითარებას ისახავს მიზნად.

### 1.3. სოციალური საწარმოთა ზოგადი სურათი

წინამდებარე დოკუმენტის მომზადების პროცესში ჩვენ განვახორციელეთ სოციალური საწარმოების გამოკითხვა. ასეთ ორგანიზაციებს, შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე,

---

<sup>5</sup> გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოციალური საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობა შექმნილია გრანტით მიღებული სახსრების საფუძველზე - ე.წ. „სტარტაპები“, ძირითადად, გრანტებით ფინანსდება.

დაეგზავნათ კითხვარი. 50 ორგანიზაციიდან კითხვარი სრულყოფილად შეავსო 33-მა. გამოკითხვის შედეგები მეტ-ნაკლებად ასახავს სოციალური საწარმოების სექტორის მდგომარეობას და გამოწვევებს საქართველოში:

- ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები

33 გამოკითხული ორგანიზაციიდან 24 რეგისტრირებულია ა(ა)იპ-ის ფორმით, 6 - შპს-ს ფორმით, 1-ამხანაგობის ფორმით, 1-კოოპერატივისა და ერთი ინდივიდუალური მეწარმის ფორმით.

მართალია, საქართველოს კანონმდებლობა ინდ. მეწარმეს არ განიხილავს საწარმოდ, მაგრამ რადგან სოც. მეწარმეობა არ არის კანონით რეგულირებული, ზოგიერთი ინდ. მეწარმე პოზიციონირებას ახდენს, როგორც სოც. საწარმო.

- ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების უპირატესობა/ნაკლოვანება

შერჩეული იურიდიულ-სამართლებრივი ფორმების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების განხილვისას გამოკითხულმა ორგანიზაციებმა მიუთითეს შემდეგი:

ა(ა)იპ-ის ფორმით ოპერირების უპირატესობებს შორის, რესპოდენტები ასახელებდნენ ისეთ ფაქტორებს როგორებიცაა:

გრანტების მიღების შესაძლებლობა; ადვოკატების კამპანიებში და არასამთავრობო სექტორის ორგანიზებულ აქტივობებში მონაწილეობის საშუალება; მეტი საგადასახადო შეღავათები სოციალური ხარჯების გაღებისას და საქველმოქმედო საქმიანობის წარმოებისას (გრანტის ფარგლებში); საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ სოც. მეწარმეობის გაძლიერებისაკენ მიმართულ პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

ა(ა)იპ-ის უპირატესობად, ასევე დასახელდა ის ფაქტი, რომ ეს ფორმა აპრიორი ორიენტირებულია საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაზე და სოციალურ სარგებელზე, ასევე ამ ფორმის მარტივი და მოქნილი სტრუქტურა.

ა(ა)იპ-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის ნაკლოვანებად დასახელდა:

რეინვესტირებულ მოგებაზე საგადასახადო შეღავათების არარსებობა; საგადასახადო შეღავათების უქონლობა ეკონომიკური საქმიანობის წარმოებისას; გრანტებზე დამოკიდებულება; ფინანსურ რესურსებზე წვდომის სირთულე; ნაკლები გარანტია კრედიტორებისათვის; ბიზნეს-საქმიანობის გამოცდილების სიმწირე; იაფ კრედიტზე წვდომის შეუძლებლობა; სამეწარმეო გამოცდილების მქონე კადრების მოზიდვის სირთულე.

შპს-ს უპირატესობებად დასახელდა:

- ბუღალტერიის წარმოების და საგადასახადო ტვირთის გამოთვლის სიმარტივე;
- მეტი გარანტია კრედიტორებისათვის;
- სესხზე წვდომის მეტი შესაძლებლობა;
- საგადასახადო შეღავათები ეკონომიკურ საქმიანობაში რეინვესტირებულ მოგებაზე.

ამ იურიდიული ფორმის ნაკლოვანებებად კი, დასახელდა:

- სოციალური ხარჯების დაბეგვრის აუცილებლობა;
- გრანტებზე წვდომის შეზღუდვა - გრანტების შესახებ კანონით შპს არ ითვლება გრანტის მიმღებ სუბიექტად;
- საგადასახადო შეღავათების ნაკლებობა - შპს ვერ სარგებლობს გრანტთან ასოცირებული შეღავათებით, ასევე, სოციალური ხარჯების ნაწილში.

კოოპერატივის უპირატესობად დასახელდა დემოკრატიული მართვის სტილი და სტრუქტურა, ასევე კოოპერატივების განვითარების სახელმწიფო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა;

ამხანაგობის უპირატესობად დასახელდა, რომ აუცილებელი არ არის მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია;

ინდივიდუალური მეწარმის<sup>6</sup> უპირატესობად კი, დასახელდა მცირე მეწარმის სტატუსის მიღების შესაძლებლობა და შესაბამისი საგადასახადო შეღავათები.

- სოციალური საწარმოების ასაკი

გამოკითხული სოციალური საწარმოების საშუალო ასაკი 31 თვეა. მათი მაქსიმალური ასაკი - 120 თვე (10 წელი), ხოლო მინიმალური - 5 თვე.

- სოციალური მიზანი

დაგზავნილი კითხვარის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა, გარკვეულიყო, თუ რა სოციალური მიზნებით მოღვაწეობენ სოც. საწარმოები? ირკვევა, რომ გამოკითხულ საწარმოთა უმრავლესობას გააჩნია ერთზე მეტი სოციალური მიზანი. კითხვარიდან მიღებული შედეგების საფუძველზე, გამოიკვეთა შემდეგი სოციალური მიზანები:

- შშმ პირების ინტეგრაცია (11 რესპოდენტი);
- შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობა (10 რესპოდენტი);
- ტრადიციული რეწვის სხვადასხვა დარგის შენარჩუნება, განვითარების ხელშეწყობა (8 რესპოდენტი);
- სოც. დაუცველი პირების ეკონომიკური გაძლიერება ან/და დასაქმების ხელშეწყობა (7 რესპოდენტი);
- ქალთა/გოგონათა ეკონომიკური გაძლიერება და დასაქმებაში ხელშეწყობა: (7 რესპოდენტი);
- სოფლად მცხოვრები ადამიანების ეკონომიკური გაძლიერება (6 რესპოდენტი);

---

<sup>6</sup> მართალია, საქართველოს კანონმდებლობა ინდ. მეწარმეს არ განიხილავს საწარმოდ, მაგრამ რადგან სოც. მეწარმეობა არ არის კანონით რეგულირებული, ზოგიერთი ინდ მეწარმე პოზიციონირებას ახდენს, როგორც სოც. საწარმო.

- შპმ პირებისათვის სხვადასხვა მზრუნველობითი მომსახურებათა მიწოდება (4 რესპოდენტი);
  - ტრადიციული რეწვის ოსტატების ხელშეწყობა (4 რესპოდენტი);
  - იძულებით გადაადგილებილ პირთა ეკონომიკური გაძლიერება და დასაქმებაში ხელშეწყობა (3 რესპოდენტი);
  - თემის გაძლიერება (3 რესპოდენტი);
  - სოც. მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა (3 რესპოდენტი);
  - კონფლიქტის ზონის პირა მოსახლეობის დახმარება და ეკონომიკური გაძლიერება (2 რესპოდენტი);
  - სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება: (2 რესპოდენტი).
- შემოსავლის წყაროები

სოციალური საწარმოები, ასევე გამოვკითხეთ, თუ რა ტიპის შემოსავლებს ღებულობენ ისინი?

17 სოციალურმა საწარმომ განაცხადა, რომ ისინი ღებულობენ გრანტებს საერთაშორისო ან ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან. მათგან 6-მა განაცხადა, რომ ასეთი გრანტები მათი შემოსავლის ერთადერთი წყაროა.

23 სოციალურმა საწარმომ მიუთითა, რომ ისინი შემოსავალს სამეწარმეო (ეკონომიკური) საქმიანობიდან ღებულობენ. მათგან 9-მ განაცხადა, რომ ასეთი საქმიანობა მათი შემოსავლის ერთადერთი წყაროა.

1-მა რესპოდენტმა, განაცხადა, რომ სხვა შემოსავლების პარალელურად, მიუღია გრანტი სახელმწიფო ორგანიზაციისაგან.

გამოკითხული 33 სოციალური საწარმოსაგან მხოლოდ 8-ს მიუღია შემოწირულობები, ხოლო 1-ს საწევრო შენატანები.

2 სოციალურ საწარმოს მიუღია შემოსავლები სახელმწიფო შესყიდვებიდან - სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის დაკვეთით საქონლის/მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

2-მა სოციალურმა საწარმომ კი, ამ შეკითხვაზე პასუხს თავი აარიდა.

კითხვარებიდან ჩანს, რომ 33 სოციალური საწარმოდან 16-ს არ აქვს 1-ზე მეტი დაფინანსების წყარო (მათგან ნაწილი დამოკიდებულია საერთაშორისო/ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მიღებულ გრანტებზე, ხოლო ნაწილი - სამეწარმეო საქმიანობაზე).

- წლიური მოგების ოდენობა

კითხვაზე, რამდენს შეადგენს მათი წლიური მოგება, 33 გამოკითხულიდან:

- 17 სოც. საწარმო პასუხობს, რომ მოგება არ აქვს;
- 7 აცხადებს, რომ მათი მოგება 1000 ლარამდეა;

- 7 პასუხობს, რომ მათი მოგება 1000-დან 5000 ლარამდეა;
- 1-მა სოც. საწარმომ განაცხადა, რომ მისი მოგება 20 000 ლარამდეა;
- 1-მა რესპოდენტმა კი ამ კითხვას პასუხი არ გასცა;

- დასაქმებულთა რაოდენობა

კითხვაზე, თუ რამდენი ადამიანი ჰყავთ დასაქმებული და მათგან რამდენია მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელი, მიღებული პასუხებიდან ირკვევა რომ:

სოციალურ საწარმოებში დასაქმებულ პირთა საშუალო რაოდენობა 8.25-ს შეადგენს. აქედან, დასაქმებულ პირთა მაქსიმალური რაოდენობა 23-ს შეადგენს, ხოლო მინიმალური -1-ს.

ასევე, ირკვევა, რომ სოც. საწარმოებში დასაქმებულ პირთაგან, საშუალოდ, 4.9 მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელია (შშპ პირი, სოც. დაუცველი, მარტოხელა დედა, იძულებით გადაადგილებული პირი და ა.შ.).

- მთავარი გამოწვევები

სოციალური საწარმოები, ასევე გამოვკითხეთ იმის შესახებ, თუ რას მიიჩნევენ ისინი მთავარ გამოწვევად? კითხვარებიდან მიღებული პასუხების შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი გამოწვევები:

1. მარეგულირებელი კანონმდებლობის, სპეციალური იურიდიულ-სამართლებრივი ფორმის და სტატუსის არარსებობა;
2. ფინანსებზე წვდომის სირთულე, დაფინანსების ნაკლებობა;
3. სახელმწიფოსაგან საწარმოო ფართის უზუფრუქტის/იჯარის/საკუთრების ფორმით მიღების სირთულე; სოციალური საწარმოების უმრავლესობა, ასევე აცხადებდა, რომ მათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ზოგადად, საწარმოო ფართთან დაკავშირებული პრობლემებია;
4. ბიზნეს უნარ-ჩვევების ქონის ნაკლებობა;
5. დაბალი საზოგადოებრივი ცნობიერების დონე სოც. საწარმოების შესახებ;
6. საგადასახადო კოდექსში არსებული ხარვეზები და სოც. საწარმოებისათვის მოუქნელი დაბეგვრის რეჟიმი;
7. წარმოებული პროდუქციის მაღალი თვითღირებულება;
8. ცენტრალური და ადგილობრივი მხარდამჭერი პროგრამების არარსებობა/სიმწირე;
9. უცხოურ ბაზარზე და გამოცდილებაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა;
10. არასტაბილურობა ფინანსური თვალსაზრისით;
11. სახელმწიფო შესყიდვებისას უპირატესი რეჟიმების არარსებობა;

ერთ-ერთმა რესპოდენტმა, ასევე განაცხადა, რომ საწარმოებს, რომელთა უმთავრესი სოციალური მიზანი დასაქმებაა, ხშირ შემთხვევაში, დაბალკონკურენტუნარიანი კადრების მეშვეობით უწევს პროდუქციის/სერვისის წარმოება, რამაც თავის მხრივ, შესაძლებელია გავლენა მოახდინოს საწარმოს საქმიანობებზე, მაგ: გაიზარდოს პროდუქციის



წარმოებისთვის/სერვისისთვის განსაზღვრული დრო, გაიზარდოს წუნდებული პროდუქციის რაოდენობა და ა.შ. ასეთი ტიპის სოციალური საწარმოები შექმნისთანავე არათანაბარ ბიზნეს გარემოში ხვდებიან, რაც შემდეგ უარყოფითად აისახება მათ ინსტიტუციონალურ განვითარებასა და მდგრადობაზე. რესპოდენტი აცხადებს, რომ ბიზნესთან შედარებით, არაკონკურენტული პირობების დასაბალანსებლად, უნდა არსებობდეს შესაბამისი სახელმწიფო პროგრამები;

## თავი II

### მხარდამჭერი სისტემა

#### 2.1. ინფრასტრუქტურა

საქართველოში არ არსებობს სოციალური მეწარმეობის სფეროსა და სოც. მეწარმეების მხარდაჭერაზე უშუალოდ პასუხისმგებელი სამთავრობო უწყება ან სააგენტო. ასევე, არც ერთი მოქმედი სამინისტროს დებულებაში არ არის მოხსენიებული სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებული ფუნქცია-მოვალეობები.

საქართველოში, ასევე არ არსებობს სახელმწიფო ან მუნიციპალური ფონდები, რომლებიც სპეციფიურად სოციალური მეწარმეებისათვის გამოჰყოფს სუბსიდიებს, გასცემს სესხებს ან გრანტებს, ან რაიმე ფორმით უზრუნველყოფს მათი შესაძლებლობების ზრდას.

ქვეყანაში, ასევე არ არსებობს ინსტიტუციები, რომლებიც სოციალურ მეწარმეებს სესხების მიღებაში დაეხმარებოდა ან რაიმე ტიპის ფინანსურ გარანტიებს უზრუნველყოფდა მათთვის.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს პრაქტიკაში შეიმჩნევა სხვადასხვა უწყებების მხრიდან სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი ცალკეული ინიციატივების განხორციელების ტენდენცია, ასეთ უწყებებს სოციალური მეწარმეობის დასახმარებლად უწევთ თავიანთი უფლებამოსილებების, ზოგადი საბიუჯეტო პროგრამებისა და მრავლისმომცველი პროექტების მორგება სოციალურ საწარმოებზე და ამ ინიციატივების ზოგადი ქოლგის ქვეშ განხორციელება. ქვემოთ, მოკლედ განვიხილავთ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების მაგალითებს:

#### სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი

საქართველოს საჯარო სექტორში სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე ორიენტირებული პროექტების განხორციელების თვალსაზრისით, უპირობო ლიდერი სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდია“. იგი ამჟამად, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის

იურიდიული პირია. თუმცა, მისი დაფუძნება 2000 წელს საქართველოს ახალგაზრდობის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ განხორციელდა.

ფონდის მიზანი ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების მხარდაჭერა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, მათ მიერ დაგეგმილი პროექტების დაფინანსება, ღონისძიებების ორგანიზება და განხორციელებაა.<sup>7</sup>

ბოლო რამდენიმე წელია „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ ერთ-ერთი მთავარი პროგრამული პრიორიტეტი სოციალური მეწარმეობის განვითარებაა. ფონდი იყო პირველი სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელმაც სოციალური მეწარმეობის მიმართულებით, ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოაცხადა საგრანტო კონკურსები.<sup>8</sup>

2013 წლიდან 2016 წლამდე ფონდმა 210 პროექტი დააფინანსა, მათ შორის 42 სოციალური საწარმოა.

სოციალური მეწარმეობის კუთხით, ფონდი აკადემიურ ღონისძიებებსაც აფინანსებს, რათა ეს მიმართულება კიდევ უფრო შესწავლილი და პოპულარული გახდეს საქართველოში. ამის მაგალითია სხვადასხვა თემატური საზაფხულო სკოლები და ტრენინგები თემაზე: „სოციალური მეწარმეობა და სოციალური ინოვაციები“.

ტრენინგები განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისათვის, რომელთაც სურვილი აქვთ, მიიღონ მონაწილეობა ფონდის საგრანტო კონკურსში. ტრენინგის თემატიკა მოიცავს სოციალური საწარმოს დაფუძნების და ფუნქციონირების სამართლებრივ ასპექტებს, საგადასახადო საკითხებს და პრაქტიკულ რჩევებს სოც. საწარმოთა მართვისა და განვითარებისთვის.

ფონდი თანამშრომლობს სოციალური მეწარმეობის მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ასევე მონაწილეობს ამ სფეროში საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავებაშიც.

მიუხედავად „ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის“ მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი ინიციატივებისა, ამ ორგანიზაციის ფინანსური რესურსები მწირია და ისინი უშუალოდ სოციალური მეწარმეობის განვითარების მიზნებს არ უკავშირდება. სოციალური მეწარმეობა ფონდის მიერ განიხილება ახალგაზრდობის მხარდაჭერის, ინოვაციის ხელშეწყობისა და დასაქმების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად. სწორედ ამ ზოგადი პრიორიტეტის ფარგლებში ხდება სოციალური საწარმოების დაფინანსება.

ფონდის ფუნქციებში არ შედის უშუალოდ სოციალური საწარმოების სფეროში ინტერვენცია, მათი სუბსიდირება ან სექტორთან მიმართებით სხვა მიზნობრივი პროგრამების განხორციელება.

<sup>7</sup> <http://fondi.gov.ge/menuid/6/lang/1>

<sup>8</sup> <http://fondi.gov.ge/menuid/13/id/43/lang/1>

## **საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო**

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო სოციალურ მეწარმეობას განიხილავს, როგორც მსჯავდებულთა რესოციალიზაციისა და დასაქმების ერთ-ერთ საშუალებას.

2015 წელს სამინისტროს დაქვემდებარებულ თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში სოციალური საწარმო - ხის გადამამუშავებელი საამქრო გაიხსნა. ამ პროექტის განხორციელება პრობაციის ეროვნული სააგენტოსა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის თანამშრომლობის ფარგლებში დაიწყო. ორწლიანი პროექტის ფარგლებში, რომელის ბიუჯეტი 98 500 შვეიცარულ ფრანკს შეადგენდა, მოეწყო ხის გადამამუშავებელი საამქრო, სადაც 2 წლის განმავლობაში, 6 თვიანი შუალედით, სულ მცირე 25 ყოფილი ნარკომომხმარებელი პრობაციონერი, მიგრანტი ან პოტენციური მიგრანტი დასაქმდა.

მოგვიანებით, თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულებაში გაიხსნა პურის საცხობი და მაკარონის მწარმოებელი ქარხანა, სადაც თავისუფლებაშეზღუდული პირები არიან დასაქმებულნი. ამ საწარმოებში დამზადებული პროდუქციის რეალიზება პენიტენციურ დაწესებულებებში ხდება. პურის საცხობ საწარმოში დასაქმებულია 8 მსჯავრდებული. მაკარონისა და ვერმიშელის საწარმოშიც, ასევე, 8 მსჯავრდებულია დასაქმებული.

აღნიშნული თავისუფლების შეზღუდვის დაწესებულების ძირითად მიზანს მსჯავრდებულების საზოგადოებაში რეინტეგრაცია, რეაბილიტაცია და გათავისუფლებისთვის მომზადება წარმოადგენს.

**სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინტერესი სოციალური მეწარმეობის მიმართ, ამ ეტაპზე, მხოლოდ მსჯავდებულთა რესოციალიზაციისა და დანაშაულის პრევენციის მიზნებით შემოიფარგლება და ისიც, მხოლოდ და მხოლოდ, მის მიერ ადმინისტრირებადი დაწესებულებების ფარგლებში. სამინისტროს არ აქვს მიზნობრივი პროგრამები ან სახსრები, რათა სოციალური მეწარმეების დაფინანსება ან მათზე გრანტის გაცემა განახორციელოს. ამ სამინისტროს კომპეტენცია, ასევე შეზღუდულია სექტორში ინტერვენციის თვალსაზრისით.**

## **საქართველოს იუსტიციის სამინისტრო**

მსჯავდებულთა რესოციალიზაციის, დანაშაულის პრევენციისა და ყოფილ ნარკომომხმარებელთა რეაბილიტაციის ეფექტურ ბერკეტად განიხილავს სოციალურ მეწარმეობას საქართველოს იუსტიციის სამინისტროც.

სამინისტროს დაფუძნებული აქვს 2 სოციალური საწარმო, რომელშიც დასაქმებული არიან ყოფილი მსჯავდებულები და ასევე, ყოფილი ნარკომომხმარებლები.

აღსანიშნავია, რომ იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების სამინისტროში სოციალური საწარმოები საერთაშორისო ორგანიზაციების - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციისა და მიგრაციის საკითხებში შვეიცარიის ფედერალური ოფისის - მხარდაჭერით დაფუძნდა.

იუსტიციის სამინისტროს პროგრამები, სასჯელაღსრულების სამინისტროს მსგავსად, სოციალური მეწარმეობის მიმართულებით, ძალზე შეზღუდულია. იგი შემოიფარგლება სტრუქტურის შიგნით სოციალური საწარმოების დაფუძნებითა და ფუნქციონირებით. იუსტიციის სამინისტრო არ აწარმოებს ცალკეგომ, მიზანმიმართულ პროგრამებს, რომელთა მიზანი სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა, მათი ინსტიტუციური განვითარება ან ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაა.

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის სამინისტროს მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დანაშაულის პრევენციის ეროვნული ცენტრის დებულება პირდაპირ ითვალისწინებს სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობის ფუნქციებს. კერძოდ, დებულების მე-11 მუხლში აღნიშნულია, რომ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სამმართველო, სხვა მიმართულებებთან ერთად, უზრუნველყოფს „ყოფილი პატიმრების დასაქმების მიზნით, სოციალური საწარმოების შექმნისა და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობას.“

მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილებები საკმაოდ ფართოა და მრავალმხრივ კვეთს სოციალური საწარმოების სამოქმედო გარემოს განვითარების სფეროს, სამინისტროს არ გააჩნია არც ერთი სპეციფიური პროგრამა, რომელიც სექტორის განვითარებაზე იქნებოდა ორიენტირებული. იუსტიციის სამინისტროს როლი გადაამწყვეტია სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციონალიზაციისა და საკანონმდებლო გარემოს ჩამოყალიბებისათვის. თუმცა, ამ მხრივ, უწყებას არ გააჩნია მიზნობრივი სტრატეგია და პროგრამები.

### **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მართალია, არ აწარმოებს სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერ სპეციალურ პროგრამებს, თუმცა, მის მიერ ადმინისტრირებადი პროექტების ბენეფიციარებს შორის სოციალური მეწარმეებიც არიან.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აწარმოებს მეწარმეობის მხარდამჭერ სხვადასხვა პროგრამებს. მაგალითად, „აწარმოე საქართველოში“, „მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა“ და სხვ. ასეთი პროგრამების ფარგლებში სამინისტრო უზრუნველყოფს სტარტაპების დაფინანსებას, სესხების ხელმისაწვდომობას მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, სესხის უზრუნველყოფას (თავდებობას) მსხვილი ბიზნესისათვის, საწარმოების გადაიარაღების, განვითარების მხარდაჭერასა და სხვ.

ასეთი პროგრამის მოსარგებლეები შეიძლება გახდნენ საქართველოში მოქმედი სოციალური საწარმოებიც, რომლებიც პროგრამის კრიტერიუმებს აკმაყოფილებენ და შესაბამის კონკურსს წარმატებით გაივლიან.

აღსანიშნავია, რომ ბიზნესის მხარდამჭერი ზოგადი პროგრამების ფარგლებში სოციალური მეწარმეები ნაკლებად ხელსაყრელ მდგომარეობაში არიან, ვინაიდან, მათ ხშირად უჭირთ კონკურენცია გაუწიონ ბიზნეს ორგანიზაციებს, რომლებსაც ბევრად განვითარებული ინფრასტრუქტურა და ქონებრივი გარანტიები გააჩნიათ კონკურსში მონაწილეობისას. ამასთან,

სოციალური მეწარმეები თავისი საქმიანობის დროს უფრო მეტად სოციალური მისიის შესრულებაზე არიან ორიენტირებული, ვიდრე მოგების ზრდაზე, ეს უკანასკნელი კი, ხშირად კონკურსისას ერთ-ერთ კრიტერიუმად გვევლინება. სოციალური მეწარმეების ნაწილს ბარიერად ევლინება ის ფაქტიც, რომ ისინი ხშირად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით არიან დაფუძნებული.

ეკონომიკის სამინისტროს არ გააჩნია არც ერთი მიზნობრივი პროგრამა, რომელიც უშუალოდ სოციალური მეწარმეობის განვითარებასა და სექტორის გაძლიერებაზე იქნებოდა ორიენტირებული.

### **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მსგავსად, აწარმოებს პროექტებს, რომელთა მიზანი ზოგადად, მეწარმეობის ხელშეწყობა, კერძოდ კი, სოფლის მეურნეობის დარგის მეწარმეთა წახალისებაა.

ასეთი პროგრამების ბენეფიციარები შეიძლება გახდნენ სოციალური საწარმოები შესაბამისი საკონკურსო ეტაპების დაძლევის შემდეგ. ამ პროგრამებში მონაწილეობისათვის სოციალურ საწარმოებს ექმნებათ იგივე ბარიერები, რომლებიც წინა პარაგრაფში აღვწერეთ.

## **2.1. სახელმწიფო პოლიტიკა სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებით**

### **სახელმწიფო/მუნიციპალური სტრატეგიები**

საქართველოში ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე არ არსებობს არც ერთი საჯარო სტრატეგია, კონცეფცია ან პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც უშუალოდ მიმართული იქნებოდა ქვეყანაში/ადგილობრივ დონეზე სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობისაკენ ან სოციალური მეწარმეობის იდეის მხარდაჭერისაკენ.

ქვეყანაში არ არსებობს არც პრაქტიკული მექანიზმები, რომლებიც უშუალოდ სოციალური მეწარმეობის დაფინანსებას, განვითარებას ან სხვა სახის მხარდაჭერას ისახავს მიზნად.

სოციალური საწარმოების მხარდაჭერის სფეროს კვეთს რამდენიმე რეგიონული სტრატეგია და მუნიციპალური საბიუჯეტო პროგრამა, რომელთა მიზანი უფრო ფართო საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაა და ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთ საშუალებად განიხილება სოციალური საწარმოების მხარდაჭერა. ქვემოთ მოვიყვანთ მაგალითებს ასეთი პროგრამებიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს 64 მუნიციპალიტეტიდან, სოც. მეწარმეობასთან დაკავშირებული პროგრამები მხოლოდ 3-ს აქვს, ხოლო რეგიონულ დონეზე, მხოლოდ 2 რეგიონალური სტრატეგია ეხება ამ სფეროს და ისიც, მხოლოდ ზედაპირულად.

### **ქ. თბილისის ადგილობრივი ხელისუფლება**

ქ. თბილისის 2015 წლის ბიუჯეტით დამტკიცდა „მეწარმეობის მხარდაჭერის“ პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავდა ბიზნესისა და მეწარმეობისათვის, მათ შორის, სოციალური

მეწარმეობისათვის ეფექტურად წარმართვისათვის ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბებას. პროგრამა ემსახურებოდა მეწარმე სუბიექტების კვალიფიკაცია/კომპეტენციის ამაღლებას და ფინანსურ მხარდაჭერას.<sup>9</sup>

2015 წლის 17 თებერვალს, ქ. თბილისის საკრებულომ დაამტკიცა „მეწარმეობის მხარდაჭერის“ პროგრამის ფარგლებში იაფი ფინანსური რესურსის ხელმისაწვდომობის პროექტის პირობები.<sup>10</sup>

დადგენილების თანახმად, პროექტში მონაწილეობა შეეძლოთ მეწარმე ფიზიკურ პირებს და ასევე, სხვადასხვა კატეგორიის იურიდიულ პირებს, მათ შორის, სოციალურ მეწარმეებს.

პროექტი ითვალისწინებდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით საფინანსო ორგანიზაციებიდან იაფი ფინანსური რესურსებისადმი ხელმისაწვდომობას საკუთარი ბიზნესის დაწყებისა და განვითარების მსურველთათვის.

მეწარმეობის მხარდაჭერის პროექტის მთლიანი ბიუჯეტი 2015 წელს 2 627,300 ლარით განისაზღვრებოდა. ამასთან, შეუძლებელია, დადგინდეს, თუ რამდენი დაიხარჯა უშუალოდ იაფი კრედიტის პროგრამისათვის და რამდენი მოხმარდა უშუალოდ სოც. მეწარმეებს.

აქვე, ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ქ. თბილისის 2016 და 2017 წლის ბიუჯეტები არ ითვალისწინებენ სოციალური საწარმოებისათვის იაფი კრედიტის ხელმისაწვდომობას.

2015 წლის ბიუჯეტით სოციალური მეწარმეების იაფი კრედიტის პროგრამაში გათვალისწინება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც პროგრამამ შექმნა პირველი პრეცედენტი სოციალური მეწარმეების მიერ შეღავათიანი კრედიტის ხელმისაწვდომობაზე.

## **ქალაქი ზუგდიდი**

კიდევ ერთი მუნიციპალური პროგრამა, რომელიც სოც. მეწარმეობის მხარდაჭერას ისახავს მიზნად, წარმოებულია ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მიერ.

2017 წლის ბიუჯეტით „ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“<sup>11</sup> ბიუჯეტი 30 000 ლარს შეადგენს.

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობას, რაც მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების (სოც. დაუცველი, შშმპ, მრავალშვილიანი, ძალადობის მსხვერპლი, მარჩენალდაკარგული და ა. შ.) მიერ სხვადასხვა პროფესიისა და ხელობის შესწავლას და შემდგომში მათ დასაქმებას.

---

<sup>9</sup> იხ. ქ. თბილისის 2015 წლის ბიუჯეტი, მეწარმეობის მხარდაჭერა (კოდი: 4.1) <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2636328>

<sup>10</sup> იხ. ქ. თბილისის საკრებულოს დადგენილება: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2735510>

<sup>11</sup> იხ. ქალაქ ზუგდიდის 2017 წლის ბიუჯეტი: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3506786>

ჩამოთვლილი კრიტერიუმების შესაბამისად, სოციალური საწარმოების, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და ფიზიკური პირების მიერ ქ. ზუგდიდის მერიას წარედგინება საპროექტო განაცხადები, რომლებიც ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტას ისახავს მიზნად.

საპროექტო განაცხადებს განიხილავს მერიაში შექმნილი სპეციალური კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისაგან.

ქ. ზუგდიდის 2017 წლის ბიუჯეტში აღნიშნულია, რომ პროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგებია: სოციალური სფეროს სხვადასხვა მიმართულებებით ადგილობრივი ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოწოდებული პროექტების განხორციელების შედეგად ცალკეული კატეგორიის მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

აღსანიშნავია, რომ ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის წინა წლებშიც აწარმოებდა სხვადასხვა მუნიციპალურ პროგრამებს, რომლებიც ითვალისწინებდა სოციალური საწარმოების დაფინანსებას სხვადასხვა სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მიზნით. თუმცა, ასეთი პროგრამების ბიუჯეტი, ძალზედ შეზღუდულია და ვერ უზრუნველყოფს ფართომასშტაბური შედეგების მიღწევას ადგილზე სოციალური საწარმოების განვითარების თვალსაზრისით.

### **ქალაქი ქუთაისი**

სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერის პრიორიტეტი რამდენჯერმე აისახა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტშიც. ასე მაგალითად, 2017 წლის ბიუჯეტის ქვეპროგრამაში - „შპმ პირების მხარდამჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება“ აღნიშნულია, რომ პროექტები დაფინანსებისათვის/თანადაფინანსებისათვის შეირჩევა კონკურსის საფუძველზე. შერჩევისას უპირატესობა მიენიჭება სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე და შპმ პირების მიერ შემოსავლების გამომუშავებაზე ორიენტირებულ პროექტებს.

აღსანიშნავია, რომ ქვეპროგრამის ბიუჯეტი სულ 50 000 ლარს შეადგენს. ამასთან, შეუძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რა ოდენობით დაფინანსდება უშუალოდ სოციალური მეწარმეები ან შესაბამისი საინიციატივო ჯგუფები.

ქალაქ ქუთაისის 2013 და 2014 წლის ბიუჯეტები ითვალისწინებდა „მცირე ბიზნესის ხელშეწყობის“ პროგრამას (პროგრამული კოდი 03 03 06). 2013 წელს პროგრამის საერთო ბიუჯეტი 115,500 ლარს შეადგენდა, ხოლო 2014 წელს 100 000 ლარს.

ქვეპროგრამით გათვალისწინებული იყო ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა მცირე და საშუალო ბიზნესის და სოციალურ საწარმოთა სტიმულირება და დახმარება სხვა არასამთავრობო და დონორ ორგანიზაციებთან ერთად (თანადაფინანსება ფინანსური ან კაპიტალის სახით - 50, 000 ლარი 2013 წელს – 40000 ლარი 2014 წელს ).

ვინაიდან პროგრამის საერთო მიზანი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა იყო, შეუძლებელია, განისაზღვროს თუ რა გავლენა იქონია მან უშუალოდ, სოციალური საწარმოების მხარდაჭერის თვალსაზრისით, თუმცა, ეს პროგრამა მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც ის პირდაპირ ითვალისწინებდა სოციალური საწარმოების მუნიციპალური დაფინანსების შესაძლებლობას.

### **მცხეთა-მთიანეთის რეგიონი**

საქართველოს მთავრობამ 2016 ივლისს დაამტკიცა მცხეთა-მთიანეთის განვითარების სტრატეგია 2016-2021 წლებისთვის.<sup>12</sup>

სტრატეგია ასახავს არსებულ ვითარებასა და იმ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს რეგიონის განვითარების პოტენციალის ხელშეწყობა. სტრატეგიის შემუშავება მიზნად ისახავს მოცემულ რეგიონში არსებული პოტენციალის განსაზღვრასა და წინადადებების შეთავაზებას დროის გარკვეულ მონაკვეთში კონკრეტული შედეგების მისაღწევად.

სტრატეგია გაწერს ძირითად ამოცანებს, რომელებიც უნდა იქნეს მიღწეული სტრატეგიის განხორციელების შედეგად. სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანი არის რეგიონში ეკონომიკის ინოვაციური დარგების განვითარების ხელშეწყობა და ინვესტიციების მოზიდვა. აღნიშნული მიზნის შესასრულებლად, გაწერილია სხვადასხვა ამოცანები, მათ შორის, „სოციალური მეწარმეობის განვითარება.“

სტრატეგია არ გაწერს თუ რა საშუალებებით და მეთოდებით უნდა შეეწყოს ხელი რეგიონში სოციალური მეწარმეობის განვითარებას ან რა ოდენობის ხარჯები უნდა იქნეს გაწეული ამისათვის, თუმცა სტრატეგიის თანახმად, სოციალური მეწარმეობა განიხილება ინოვაციისა და ეკონომიკის განვითარების მასტიმულირებელ საშუალებად.

### **შიდა ქართლი**

მსგავსი სტრატეგია დამტკიცებულია შიდა ქართლის რეგიონის განვითარების მიზნითაც. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 სექტემბრის განკარგულებით №1364 დამტკიცებულია „შიდა ქართლის რეგიონის განვითარების 2014 – 2021 წლების სტრატეგია.<sup>13</sup> აღსანიშნავია, რომ ეს დოკუმენტი მცხეთა-მთიანეთის სტრატეგიისგან განსხვავებით, სოციალურ მეწარმეობას განიხილავს, როგორც დევნილთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ბიზნესში ჩართვის მექანიზმს. ამ მიზნის მისაღწევად სტრატეგია ერთ-ერთ საშუალებად განიხილავს ბიზნეს-ინკუბატორებისა სოციალური საწარმოების შექმნის აუცილებლობას.

<sup>12</sup> იხ. მთავრობის განკარგულება: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3337546>

<sup>13</sup> იხ. საქართველოს მთავრობის განკარგულება: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2024388>



## 2.3. საგადასახადო სისტემა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ აწესებს არავითარ შეღავათს უშუალოდ სოციალური მეწარმეებისათვის. მათი დაბეგვრის რეჟიმი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა იურიდიულ-სამართლებრივი ფორმით ფუნქციონირებს საწარმო - ა(ა)იპ-ის თუ სამეწარმეო სუბიექტის (შპს, ს.ს. კოოპერატივი თუ სხვა) ფორმით.

საგადასახადო კოდექსით, ა(ა)იპ-ები განიხილებიან „ორგანიზაციებად“ და სარგებლობენ სხვადასხვა საგადასახადო შეღავათებით. მაგალითად:

- მოგების გადასახადისგან თავისუფლება „ორგანიზაციის“ მიერ მიღებული გრანტი, შემოწირულობები და საწევრო შენატანები.
- ორგანიზაცია, რომელიც ყიდულობს გრანტის ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ საქონელს ან/და ამავე საწყისებზე იღებს მომსახურებას, უფლება აქვს, ჩაითვალოს ან დაიბრუნოს ამ საქონლისათვის/მომსახურებისათვის გადახდილი დამატებული ღირებულების გადასახადი;
- სსკ-ის 168-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-გან გათავისუფლებულია „გრანტების შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი გრანტის გამცემი ან მიმღები პირის მიერ;
- იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია იმ საქონლის იმპორტი, რომელიც გათვალისწინებულია გრანტის შესახებ ხელშეკრულებით;
- ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია ორგანიზაციის ქონება, აგრეთვე, ორგანიზაციაზე ლიზინგით გაცემულ ქონებას, გარდა მიწისა და ორგანიზაციის მიერ ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული ქონებისა;
- სხვ.

რაც შეეხება სამეწარმეო სუბიექტებს, ისინი საგადასახადო კოდექსით განიხილებიან „საწარმოებად“, რომლებიც ზოგად საგადასახადო რეჟიმში ექცევიან და სარგებლობენ მხოლოდ იმ საგადასახადო შეღავათებით, რომლებსაც კოდექსი აწესებს სხვადასხვა პრიორიტეტული დარგების მიხედვით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ა(ა)იპ-ის ფორმით მოქმედი სოციალური საწარმოები ვერ სარგებლობენ გრანტებთან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათებით, თუ მიღებული გრანტი გამიზნულია ან გამოყენებულია ეკონომიკური საქმიანობისთვის. ამის მიზეზი არის ის, რომ საქართველოს კანონმდებლობით, „გრანტად“ არ განიხილება „სამეწარმეო მიზნების მისაღწევად გაცემული სახსრები.“<sup>14</sup> შესაბამისად, საგადასახადო კოდექსიც ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ სახსრებს არ ანიჭებს გრანტის კვალიფიკაციას.

---

<sup>14</sup> „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილი

ეს იმას ნიშნავს, რომ სოციალურ საწარმოებს უფლება აქვთ მიიღონ გრანტები, თუმცა, ასეთი შემოსულობების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვის შემთხვევაში, ისინი ვეღარ ისარგებლებენ გრანტზე დაწესებული საგადასახადო შეღავათებით.

სსკ-ის მე-9 მუხლი განმარტავს, რომ „ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის<sup>15</sup> მისაღებად, მიუხედავად ასეთი საქმიანობის შედეგებისა, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.“

პირის საქმიანობის ეკონომიკურ საქმიანობად მიჩნევისათვის გადამწყვეტია მოგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღების მიზანი, სურვილი და არა აქვს მნიშვნელობა, ფაქტობრივად მიიღო თუ არა პირმა შემოსავალი.<sup>16</sup> ეკონომიკურ საქმიანობად არ ითვლება საქველმოქმედო საქმიანობა.<sup>17</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ სოციალური საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ მიღებული გრანტი გამოყენებული იქნება მხოლოდ „საქველმოქმედო საქმიანობისთვის“, ამ შემთხვევაში, მას უფლება აქვს ისარგებლოს გრანტზე დაწესებული შეღავათით.

რაც შეეხება სამეწარმეო სუბიექტის ფორმით დაფუძნებულ სოციალურ საწარმოებს, მათთვის, ისევე, როგორც ყველა „მეწარმისათვის“ 2017 წლიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო რეჟიმი, რომელიც მოგების გადასახადისაგან ათავისუფლებს მეწარმეების მოგებას, რომლის ინვესტირება ისევ სამეწარმეო საქმიანობაში (ეკონომიკურ საქმიანობაში) ხორციელდება.

ეს გარკვეულწილად, ხელსაყრელ გარემოში აყენებს იმ სოციალურ საწარმოებს, რომელთა სოციალური მიზანი ეკონომიკური საქმიანობის წარმოებით თავისთავად მიიღწევა. მაგ. საწარმოებს, რომელთა სოციალური მისია შშმ პირების, სოც.დაუცველების ან სხვა მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებაა.

---

<sup>15</sup> კომპენსაცია – პირის მიერ საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ხარჯების, დანაკარგის ან დანაკლისის ანაზღაურების მიზნით მიღებული ქონება ან/და სარგებელი.

<sup>16</sup> იხ. შემოსავლების სამსახურის განმარტება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლზე (ეკონომიკური საქმიანობა). ვებგვერდი, 15/05/2012; სარეგისტრაციო კოდი 00000000.00.00.016085.

<sup>17</sup> საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, საქველმოქმედო საქმიანობად ითვლება:

ა) დახმარების უშუალოდ ან მესამე პირის მეშვეობით, ნებაყოფლობით და უანგაროდ გაწევა იმ პირებისათვის, რომლებიც ამ დახმარებას საჭიროებენ;

ბ) ორგანიზაციების მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელება შემდეგ სფეროებში: ადამიანის უფლებების დაცვა, გარემოს დაცვა, დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, კულტურა, განათლება, მეცნიერება, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური დაცვა, ფიზიკური აღზრდა და სამოყვარულო სპორტი, ხელოვნება.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლიდან ამოქმედებული საგადასახადო რეჟიმით, მეწარმეების მიერ „არაეკონომიკური მიზნებით“ (მათ, შორის, სოციალური და საქველმოქმედო მიზნებით) გაცემული თანხები (განაცემები) მოგების გადასახადით იბეგრება:

საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის თანახმად, რეზიდენტი საწარმოს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

ეს იმას ნიშნავს, რომ სამეწარმეო სუბიექტების ფორმით მოქმედი სოციალური საწარმოები ვალდებული არიან მოგების გადასახადით დაბეგრონ საზოგადოებრივი მიზნებით გაცემული სახსრები. მასაშადამე, თუ სოციალური საწარმო იღებს მოგებას იმისათვის, რომ მიღებული მოგება სოციალურ მისიას მოახმაროს, ამ შემთხვევაში, ის არახელსაყრელ საგადასახადო რეჟიმში ექცევა.

ამასთან, სამეწარმეო სუბიექტის ფორმით დაფუძნებულ სოციალურ მეწარმეებს არ აქვთ უფლება, მიიღონ გრანტი, შემოწირულობა და სხვა უსასყიდლო შენატანი. უფრო სწორად, ისინი ვერ ისარგებლებენ ასეთი ტიპის შემოსავლებზე დაწესებული საგადასახადო შეღავათებით.

რაც შეეხება ა(ა)იპ-ებს, მათი მოგება განისაზღვრება, როგორც სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის.<sup>18</sup>

ა(ა)იპ-ებისათვის მოგების გადასახადით არ იბეგრება სოციალური მიზნებით გაწეული ხარჯები (ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან), თუმცა, მეორე მხრივ, მეწარმე სუბიექტებისაგან განსხვავებით, მათი მოგება დაბეგვრადია იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოგების რეინვესტირება ეკონომიკურ საქმიანობაში (სამეწარმეო მიზნებში) მოხდება. ეს ფაქტი კი, ა(ა)იპ-ებს, გარკვეულწილად, არაკონკურენტულ გარემოში აყენებს ბიზნეს ორგანიზაციებთან მიმართებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საგადასახადო კუთხით, სოც. მეწარმეებს არაერთი დაბრკოლება ექმნება. ეს ბარიერები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით არიან რეგისტრირებული ასეთი საწარმოები.

---

<sup>18</sup> სსკ-ის 97-ე მუხლი

## 2.4. გამონაკლისი შესყიდვის სფეროში

„შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი არ იცნობს ტერმინებს „სოციალური საწარმო“ და „სოციალური მეწარმეობა“. შესაბამისად, ასეთი საწარმოებს სახელმწიფო შესყიდვების პრეცედურებში მონაწილეობისას, უწევთ ისეთივე კონკურენტულ პირობებში შეჯიბრი, როგორც სხვა ბიზნეს-ორგანიზაციებს.

შესყიდვების კანონი არ ითვალისწინებს იმ დამატებით სარგებელს, რასაც სოციალური საწარმოები საზოგადოებისათვის ქმნიან და არ აწესებს საშეღავათო რეჟიმებს და უპირატესობებს ტენდერებში მათი მონაწილეობისას.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი არც რომელიმე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებული სუბიექტებისათვის (ა(ა)იპ, შპს) აწესებს რაიმე სპეციალურ საშეღავათო რეჟიმს.

აღსანიშნავია, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობისას, სოციალური საწარმოები, ხშირად, არამომგებიან პოზიციაში არიან ბიზნეს-ორგანიზაციებთან შედარებით. სახელმწიფო შესყიდვებისას, გადაწყვეტილება მიიღება იმ სუბიექტის სასარგებლოდ, რომელიც ტენდერში ყველაზე დაბალ ფასს შესთავაზებს შემსყიდველ ორგანიზაციას. სოციალური საწარმოები კი, ხშირ შემთხვევაში, დამწყები ორგანიზაციები არიან, მათი პროდუქტისა და მომსახურების თვითღირებულება, ხშირ შემთხვევაში, უფრო მაღალია, იმის გამო, რომ ასეთ საწარმოებს დამატებითი ხარჯების გაღება უწევს მოწყვლადი ჯგუფი პირების დასაქმებისა და ხელშეწყობისათვის.

ტენდერების ეს სისტემა, ასევე სრულიად იგნორირებს იმ სოციალურ სარგებელს, რასაც სოციალური საწარმოები ქმნიან. მაგალითად, თუ სოციალური საწარმო დაასაქმებს შშმ პირებს ან სოციალურად დაუცველებს, სახელმწიფოს აღარ მოუწევს დამატებითი სოციალური ხარჯების გაღება ასეთი პირების დასაქმებისათვის ან სოციალური შემწეობისათვის. ასეთი სისტემა ბევრად უმსუბუქებს სახელმწიფოს სოციალური ხარჯების ტვირთს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამის სახელმწიფო პოლიტიკებში, მათ შორის, სახელმწიფო შესყიდვების სფეროში.

## 2.5. არასამთავრობო და კერძო სექტორის როლი

### საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები

საქართველოში სოციალური მეწარმეობის კონცეფციის განვითარებაში მთავარი და უდიდესი წვლილი საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ არასამთავრობო სექტორს მიუძღვის.

სოციალური მეწარმეების დიდი ნაწილი საერთაშორისო ორგანიზაციებისგან მიღებული გრანტებით ან ქვე-გრანტებით ფინანსდება.

საქართველოში სოციალური მეწარმეობის კონცეფციის პოპულარიზაციაც დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არსებობდა დასაქმებაზე, შშმ პირების დახმარებაზე და სხვა მოწყვლადი ჯგუფების ხელშეწყობაზე ორიენტირებული ბიზნესები (უმეტესწილად კოოპერატივები), ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის იდეის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების დონე ძალზედ დაბალი იყო. ეს უმეტესწილად, განპირობებული იყო იმით, რომ დამოუკიდებლობის აღდგენამდე საქართველოს მოუწია ყოფილიყო ეკონომიკური სისტემის ნაწილი, სადაც საბაზრო ეკონომიკა და დამოუკიდებელი ბიზნეს ორგანიზაციები არ არსებობდა.

საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის მიერ განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების შედეგად, დღესდღეობით სოციალური მეწარმეობის კონცეფცია საქართველოში საკმაოდ პოპულარულია და თანდათანობით იზრდება ასეთი საწარმოების რიცხვი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში, ასევე შექმნილია „სოციალური მეწარმეობის ცენტრი“, რომელიც სოციალურ მეწარმეებს კონსულტაციებით, ტრენინგებით და სხვა სახის მხარდაჭერით უზრუნველყოფს. ცენტრის ადმინისტრირება „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSRDG) მიერ ხორციელდება. ეს ორგანიზაცია, ასევე აცხადებს საგრანტო კონკურსებს დამწყები და მოქმედი სოციალური მეწარმეებისათვის, შეიმუშავებს განვითარების კონცეფციებსა და სამოქმედო გეგმებს.

როგორც წინა ქვეთავებში აღინიშნა, CSRDG-მ სოციალურ საწარმოებთან თანამშრომლობითა და კვლევებზე დაყრდნობით, ასევე შეიმუშავა კანონპროექტი სოციალური მეწარმეობის შესახებ.

სოციალური საწარმოების დაფუძნებას და სტარტაპ იდეებს ძირითადად, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორი აფინანსებს. სოციალურ მეწარმეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე და გადამზადებაზეც, ძირითადად, ეს აქტორები ზრუნავენ.

საქართველოში სუსტად არის განვითარებული სოციალურ საწარმოთა ქსელიც, რომელიც გამოცდილების გაზიარებას და ურთიერთსწავლებას შეუწყობდა ხელს. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად 2016 წლის ბოლოს შეიქმნა „სოციალურ საწარმოთა ალიანსი“, რომელიც 25-მდე სოციალურ საწარმოს აერთიანებს. ალიანსის მიზანია ხელი შეუწყოს სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარებას საქართველოში და ასეთ მეწარმეებს შორის თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებას.

ბიზნეს ორგანიზაციების დაინტერესებაც სოციალური მეწარმეობის მიმართ ძალზედ დაბალია. ამის მიზეზი, პირველ ყოვლისა, ის არის, რომ მათ არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია ამ სფეროს შესახებ. ამასთან, შესაბამისი კანონმდებლობის არარსებობა სექტორს ნაკლებად მიმზიდველს და არასტაბილურ იმიჯს უქმნის, მათ შორის, სოციალური მიზნების განხორციელების გარანტიების არ არსებობის გამო.

2016-2017 წლებში, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის ადვოკატირების შედეგად, მოხერხდა პირველი პრეცედენტების შექმნა, როდესაც ბიზნეს ორგანიზაციებს სოციალური მეწარმეობის განვითარებაში წვლილი შეაქვთ. ქვემოთ, ჩვენ განვიხილავთ ასეთ წარმატებულ მაგალითს:

### **კერძო ინიციატივა - სოციალური მეწარმეობა - ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის - 2016 - 2018**

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი და საქართველოს „არბაითერ-სამარიტერ-ბუნდი“, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ პარტნიორობით, ახორციელებენ პროექტს „სოციალური მეწარმეობა - ინოვაციური მიდგომა ეკონომიკური და სოციალური ცვლილებებისთვის 2016-2018“.<sup>19</sup> პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ.

პროექტის მიზანია, სოციალური მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობით უზრუნველყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდა, რათა მათ უკეთ შეძლონ სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევა და მოწყვლადი ჯგუფების ეკონომიკური გაძლიერება.

პროექტის პარტნიორი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ ხელშეწყობით მოხდება სოციალური საწარმოებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა: „კრისტალი“ სოციალურ საწარმოებს მათზე მორგებულ საკრედიტო პროდუქტებს შესთავაზებს, რაც მათ პოტენციალის რეალიზებასა და საქმიანობის სტაბილურობის მიღწევაში დაეხმარებათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური საწარმოების დეფინიციის არარსებობის პირობებში, ორგანიზაცია კრისტალისთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს პროექტის ფარგლებში სოც. საწარმოების გამორჩევა სხვა იურიდიული პირებისაგან.

პროექტის მთავარი მიზნის მისაღწევად დასახულია სამი ძირითადი ამოცანა:

ამოცანა 1: სოციალური საწარმოების საჭიროებებზე მორგებული ექსპერტული მხარდაჭერის და ინსტიტუციური გაძლიერების სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ამოცანა 2: სოციალური საწარმოებისთვის განვითარების ხელშეწყობი გარემოს შექმნა

ამოცანა 3: სოციალურ საწარმოთა ინტერესების დაცვის, კოორდინირების და გამოცდილების გაზიარების მექანიზმების გაუმჯობესება

---

<sup>19</sup> <http://segeorgia.org/nmore.php?NID=256>; <http://crystal.ge/ka/257/social-ntrepreneurship>

## თავი III

### დაფინანსების სისტემის დადებითი და უარყოფითი მხარეები

წინა ქვეთავებში ნათლად გამოჩნდა, რომ სოციალური მეწარმეების შემოსავლის წყაროები საკმაოდ არამდგრადია.

სოციალურ საწარმოთა დიდი ნაწილი დამოკიდებულია საერთაშორისო/ადგილობრივი ორგანიზაციებისაგან მიღებულ გრანტებზე, ხოლო მეორე ნაწილი სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ სამეწარმეო საქმიანობაში გამოყენებული გრანტები, არასამეწარმეო იურიდიული პირებისათვის, იბეგრება მოგების გადასახადით და ასევე, ისინი ამ დროს ვერ სარგებლობენ გრანტზე დაწესებული საგადასახადო შეღავათებით.

მეორე მხრივ, სამეწარმეო სუბიექტების ფორმით დაფუძნებულ სოციალურ საწარმოებს, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლების სოციალური მიზნებით ხარჯვისას, ეკისრებათ მოგების გადასახადის გადახდის ტვირთი. ამასთანავე, გრანტების შესახებ, საქართველოს კანონით, სამეწარმეო იურიდიული პირები არ განიხილებიან გრანტის მიღებაზე უფლებამოსილ სუბიექტებად.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საგადასახადო კიდექსი ქმნის არაერთ დაბრკოლებას სოციალური საწარმოების ფინანსური მდგრადობის თვალსაზრისით.

ამასთანავე, სახელმწიფოს არ აქვს განსაზღვრული სპეციალური დაწესებულება, რომელიც უშუალოდ სოციალური მეწარმეობის განვითარებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი. სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობები, ასევე არ აწარმოებენ პროგრამებს უშუალოდ სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად. ის მწირი რაოდენობის პროგრამები, რომლებიც ადგილობრივ დონეზე იწარმოება და რომელთა ფარგლებშიც, სოციალური მეწარმეობის კომპონენტი ფიგურირებს, როგორც ზოგადი მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ბერკეტი, ძალზედ შეზღუდულია, როგორც ტერიტორიული არეალის, ასევე ფინანსური რესურსების თვალსაზრისით.

სოციალური მეწარმეებისათვის სახელმწიფო ასევე, არ უზრუნველყოფს პრიორიტეტულ რეჟიმებს სახელმწიფო შესყიდვებისას.

სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობები, ასევე არ უზრუნველყოფენ იაფ კრედიტზე ხელმისაწვდომობას სოციალური მეწარმეებისათვის. გამონაკლისი იყო თბილისში 2015 წელს წარმოებული პროგრამა, რომლის ბენეფიციარებად მოიაზრებოდნენ სოციალური მეწარმეებიც, თუმცა მისი ბენეფიციართა წრე საკმაოდ მოცულობითი და პროგრამის მიზნები ბევრად ზოგადი იყო, ვიდრე სოც. მეწარმეობის მხარდასაჭერა. მისი ფინანსური რესურსები კი, შეზღუდული იყო.

სახელმწიფო, ასევე არ უზრუნველყოფს ტრენინგებს და გადამზადების კურსებს, რათა სოციალური საწარმოს წარმომადგენლებმა შეიძინონ ახალი ცოდნა, უნარ-ჩვევები და

განავითარონ შესაძლებლობები. გამონაკლისი იყო სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ფონდი“, რომლის ბიუჯეტის ერთ-ერთ პრიორიტეტში ასეთი ტრენინგები შედიოდა.

ყოველივე ეს სოციალური საწარმოებისათვის ქმნის საკმაოდ არამდგრად გარემოს, როგორც ფინანსური თვალსაზრისით, ასევე ინსტიტუციური კუთხით. უფრო მეტიც, კანონმდებლობის მიერ სოციალური მეწარმეობის ინსტიტუტის იგნორირება ქმნის მრავალ დაბრკოლებას სოციალური მეწარმეებისათვის.

## თავი IV

### რეკომენდაციები

სოციალური საწარმოების სამოქმედო და მარეგულირებელი გარემოს შესწავლისა და პრობლემათა იდენტიფიცირების შემდეგ, საქართველოს სოციალური საწარმოების გამოწვევების გადასაჭრელად, გამოიკვეთა რეკომენდაციები შემდეგი მიმართულებებით: სამართლებრივი ჩარჩო, სახელმწიფო პოლიტიკა სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებით, სექტორის განვითარება-გამდიერებისა და ხელშეწყობის სხვა მექანიზმები და შიდასექტორული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები.

#### 4.1. სამართლებრივი ჩარჩო

##### სოციალური საწარმოების სამართლებრივი აღიარება, მათი არსისა და მისიის განმარტება

პირველ ყოვლისა, აუცილებელია, საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულ იქნას სოციალური მეწარმეობის ფენომენი, სოციალური საწარმოები დაექვემდებარონ სპეციფიურ რეგულაციას და კანონმდებლობაში განიმარტოს ტერმინები „სოციალური საწარმო“ და „სოციალური მეწარმეობა“. ეს შესაძლებელია სხვადასხვა გზით განხორციელდეს. მაგალითად, შესაძლებელია, აღნიშნული ტერმინები განიმარტოს სამოქალაქო და საგადასახადო კოდექსებში, ან შეიქმნას ცალკე კანონი, რომელიც სოციალური მეწარმეობის სფეროს კომპლექსურად მოაწესრიგებს. სოც. საწარმოების სამართლებრივი აღიარების პრობლემის აღმოფხვრა, ასევე შესაძლებელია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ერთდროული მოდიფიკაციით. ალტერნატივები დამოკიდებულია იმ მოდელზე, რომელიც კანონმდებლის მიერ იქნება შერჩეული და რომელიც ყველაზე უკეთ მოერგება საქართველოს საკანონმდებლო სისტემას.

ზოგიერთ ქვეყანას, მაგ. ავსტრალიას, კანადას, დიდ ბრიტანეთსა და პოლონეთს სოციალური მეწარმეობის შესახებ ცალკემდგომი კანონი არ გააჩნიათ. თუმცა, პოლონეთს, ევროკავშირში ინტეგრაციის შემდეგ და სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი ევროპული პროგრამების განხორციელების პროცესში გაუჩნდა საჭიროება შექმნილიყო აღნიშნული სფეროს



მარეგულირებელი კანონი. შესაბამისი კანონპროექტი პოლონეთში ამჟამად განილვის ეტაპზეა.<sup>20</sup>

დიდ ბრიტანეთში მიუხედავად სპეციალური ნორმატიული აქტის არარსებობისა, სოციალური მეწარმეობის ინსტიტუციონალიზაციამ და კერძოდ, სათემო ინტერესის კომპანიის სამართლებრივი ფორმის შემოღებამ ძალიან მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა სოციალური საწარმოების დაფუძნებასა და ფუნქციონირებას.<sup>21</sup>

რეგულაციის კომპრომისული ვერსია შეიმუშავა კანადამ, სადაც სოციალური საწარმოს დეფინიცია და სპეციფიური იურიდიული ფორმები პროვინციულ კანონმდებლობაში აისახა.<sup>22</sup>

ზოგიერთ ქვეყანაში საჭირო გახდა სოციალური საწარმოების შესახებ ცალკე კანონის მიღება (მაგ. იტალია, ლიტვა, სლოვენია, ხორვატია და სხვ.).

ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკა, ზოგადად, მიუთითებს სოციალური მეწარმეობის ცალკე კანონით მოწესრიგების ტენდენციაზე. 1991 წელს იტალიის მიერ „სოციალური კოოპერატივების შესახებ“ კანონის მიღებით შექმნილი პირველი პრეცედენტის შემდეგ, 26 წლის განმავლობაში, მინიმუმ, 18-მა წევრმა სახელმწიფომ მიიღო სოციალური საწარმოების მარეგულირებელი ცალკემდგომი ორგანიზაციული კანონმდებლობა.<sup>23</sup>

რა მოდელიც არ უნდა იქნეს არჩეული საქართველოში, იქნება ეს სპეციალური კანონის შემუშავება, თუ არსებული რეგულაციების მოდიფიკაცია, აუცილებელია სოციალური საწარმოები აღიარებულ იქნან ცალკე სუბიექტებად და მათი საქმიანობა მოწესრიგდეს განსხვავებული პირობებით.

ასეთივე მოსაზრება არის განვითარებული ევროპის პარლამენტის დაკვეთით მომზადებულ შედარებითი სამართლის კვლევაში - „სოციალური და სოლიდარობაზე დაფუძნებული საწარმოების ევროპული სტატუსი“.<sup>24</sup> კვლევაში აღნიშნულია, რომ სოციალური მეწარმეობის მარეგულირებელი კანონმდებლობის აუცილებელი პირობა არის ის, რომ ის აღიარებს და სპეციფიურად არეგულირებს სოციალურ საწარმოებს. „Ad hoc“<sup>25</sup> კანონმდებლობა სოციალური საწარმოებს სთავაზობს სხვადასხვა სარგებელს და ხელს უწყობს მათ გაზრდასა და

<sup>20</sup>სამაგიდე კვლევა საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური საწარმოების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ - გვ. 84

<sup>21</sup> Doeringer, MF. Fostering Social Enterprise: A Historical and International Analysis, იხილეთ წყარო: <http://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1052&context=djcil>, last accessed 23 September 2016.

<sup>22</sup>სამაგიდე კვლევა საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური საწარმოების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ - გვ. 35-37

<sup>23</sup> „სოციალური და სოლიდარობაზე დაფუძნებული საწარმოების ევროპული სტატუსი“, პროფ. ანტონიო ფუცი, გვ. 6.

<sup>24</sup>ევროპის პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის მოთხოვნითა და მოქალაქეთა უფლებებისა და საკონსტიტუციო საკითხების პოლიტიკის დეპარტამენტის ზედამხედველობით მომზადაა კვლევა, რომელიც ევროპის ქვეყნების სამართლის შედარებითი კვლევის საფუძველზე, მიზნად ისახავს სოციალური მეწარმეობის კანონმდებლობის შესახებ რეკომენდაციების შემუშავებას, მათ შორის, ევროკავშირის დონეზე საერთო ჩარჩო დოკუმენტის მომზადებისთვის.

<sup>25</sup> შექმნილი სპეციფიური (კონკრეტული) მიზნისთვის.

განვითარებას. ის საშუალებას აძლევს რეალურ სოციალურ საწარმოებს ისარგებლონ სოციალური საწარმოს იურიდიული სახელწოდებით, ცხადი გახადონ ის პირობები და ვალდებულებები, რომლებსაც მათი ორგანიზაციები სთავაზობენ დაინტერესებულ მხარეებს და სანდო გახადონ მათი ვალდებულება, იმის შესახებ, რომ ასეთი პირობები და ვალდებულებები არ შეიცვლება.”

ამავე კვლევაში მითითებულია იმ ეფექტის შესახებ, რომელსაც სოციალური საწარმოების საკანონმდებლო აღიარება ქმნის. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სპეციფიური იურიდიული იდენტობა სოციალური საწარმოებისათვის სასარგებლოა კიდევ რამდენიმე მიზეზის გამო:<sup>26</sup>

- ის საშუალებას აძლევს სოციალურ საწარმოებს, რომ სხვა იურიდიული პირებისგან განცალკევებით იქნენ განხილულნი ისეთი მიზნებისათვის, როგორებიცაა გადასახადები, საჯარო შესყიდვები და კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა;
- ეს შესაძლებელს ხდის, რომ შემუშავებულ იქნას სოციალური საწარმოების მხარდამჭერი სპეციალური საჯარო პოლიტიკა და ასეთი პოლიტიკა გამართლებული იყოს ევროპის კონკურენციის კანონმდებლობისა და სახელმწიფო დახმარების მარეგულირებელი სამართლის თვალსაზრისით;
- ეს იძლევა საშუალებას, დადგინდეს მკაფიო საზღვრები სოციალურ საწარმოებსა და სხვა განსხვავებულ ან უფრო ზოგად კონცეფციებს შორის (ისეთები როგორებიცაა სოციალური ეკონომიკის დაწესებულებები ან საწარმოები, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა);
- ეს იცავს სოციალურ საწარმოებში ჩართულ და მათი საქმიანობის მიმართ ინტერესის მქონე პირებს (მომხმარებლები, ინვესტორები, სოციალურად პასუხისმგებელი მომწოდებლები და სხვ.), ვინაიდან ტერმინი „სოციალური საწარმოს“ გამოყენება შესაბამისი სამართლებრივი სტანდარტის გარეშე, რომელიც ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამისი შინაარსის გარანტიას იძლევა, დაამახინჯებდა (გამარუდებს) საბაზრო პირობებს;
- ეს შესაძლებელს ხდის ყალბი სოც. საწარმოების დაარსებისა და ფუნქციონირების პრევენციას;
- მის გარეშე შეუძლებელია სოციალური საწარმოების შესახებ სანდო სტატისტიკის წარმოება;
- ეს ზრდის სოციალურ მეწარმეთა ცნობადობას.

საქართველოში სოციალური მეწარმეობის რეგულაციის პრობლემები დეფინიციის არარსებობის გარდა, სხვა საკითხებსაც მოიცავს და ზემოთ მითითებული ეფექტის მისაღწევად საჭიროა სამართლებრივ სივრცეში კომლექსური ინტერვენცია. ამიტომ, საქართველოში უმჯობესი იქნება ამ სფეროს მარეგულირებელი ცალკე კანონის მიღება, რომელიც არამარტო აღმოფხვრის სამართლებრივ დაბრკოლებებს, არამედ, გაითვალისწინებს

---

<sup>26</sup> „სოციალური და სოლიდარობაზე დაფუძნებული საწარმოების ევროპული სტატუტი“, პროფ. ანტონიო ფუცი, გვ.6

წამახალისებელ მექანიზმებს დარგის განვითარებისათვის. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის ფაქტიც, რომ საქართველოში უკვე ფუნქციონირებს მრავალი სოციალური საწარმო, რომელთაც სხვადასხვა იურიდიული ფორმა აქვთ და შესაბამისად, სხვადასხვა გამოწვევების წინაშე დგანან. კანონის ფორმირების პროცესში უნდა შეფასდეს ქვეყანაში უკვე არსებული გარემო, რომელშიც სოც. საწარმოებს ფუნქციონირება უწევთ და შესაბამისად ჩამოყალიბდეს საჯარო ინსტრუმენტები დარგის განვითარებისათვის.

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა იტალიის გამოცდილება, სადაც 2006 წელს სოციალური მეწარმეობის შესახებ კანონის მიღებამ დაბრკოლებები გამოიწვია სექტორისთვის სწორედ იმიტომ, რომ იგი არ ითვალისწინებდა წამახალისებელ მექანიზმებს და ქვეყანაში ამ სფეროში არსებულ ლანდშაფტს. შედეგად, ახალმა კანონმა სასურველი ეფექტი ვერ იქონია და შეიმჩნევა მკაფიო დისბალანსი სოციალურ კოოპერატივებსა (რომლებიც არაერთი შეღავათითა და წამახალისებელი მექანიზმით სარგებლობენ) და სხვა იურიდიული ფორმით დაფუძნებულ სოც. საწარმოებს შორის. ამ ხარვეზის გამოსწორებას იტალიის ხელისუფლება გეგმავს „მესამე სექტორის რეფორმის შესახებ“ კანონის მეშვეობით, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს სოციალური საწარმოების საგადასახადო სისტემაში.<sup>27</sup>

ასეთი და სხვა დაბრკოლებების თავიდან ასარიდებლად, საქართველოში აუცილებელია, რომ სოციალური მეწარმეობის შესახებ კანონპროექტი განხილულ იქნეს სოც. საწარმოების წარმომადგენელთა და ყველა დაინტერესებული მხარის ფართო ჩართულობით და შედეგად, მოხდეს ყველა შესაძლო ნიუანსის გათვალისწინება. კრიტიკულად აუცილებელია სექტორის და არასამთავრობო ორგანიზაციების შეჯერებული და ერთიანი პოზიციის არსებობაც, მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც პარლამენტისათვის წარსულში წარდგენილი ანალოგიური კანონპროექტების ჩავარდნის მიზეზი სექტორის მიერ ერთობლივი და ეფექტიანი ადვოკატირების კამპანიის წარმოების შეუძლებლობა გახდა.

### **სოციალური საწარმოს მახასიათებლების განსაზღვრა**

საქართველოში სოციალური მეწარმეობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ფორმირებისას საჭიროა განისაზღვროს მკაფიო მახასიათებლები, თუ რა მიიჩნევა სოციალურ საწარმოდ.

შედარებითი სამართლის საფუძველზე, შესაძლოა, ითქვას, რომ სხვადასხვა ქვეყნებში არსებული განსხვავებული იურიდიული განმარტებების მიუხედავად, არსებობს სოციალური საწარმოს ფუნდამენტური მახასიათებლები, რომლებიც ყველა სამართლებრივ სისტემაში მეტ-ნაკლებად აღიარებულია.

ევროპის პარლამენტის დაკვეთით მომზადებულ შედარებითი სამართლის კვლევაში - „სოციალური და სოლიდარობაზე დაფუძნებული საწარმოების ევროპული სტატუტი“ - აღნიშნულია, რომ ევროკავშირის ქვეყნებში მოქმედი სოციალური საწარმოების

---

<sup>27</sup>სამაგიდე კვლევა საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური საწარმოების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ - გვ. 62

მარეგულირებელი ad hoc კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე, კანონმდებლობის მოდელის, ცალკეული განსხვავებებისა და თავისებურებების მიუხედავად, გამოიკვეთა ევროპის ქვეყნების ძირითადი მიდგომა სოციალური საწარმოების რეგულაციის თვალსაზრისით. ეს საერთო ჩარჩო განაპირობებს სოციალურ საწარმოთა იდენტობის სტრუქტურირებას რამდენიმე ასპექტის ირგვლივ:

- სოციალური საწარმო არის იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია კერძო სამართლის საფუძველზე და დამოუკიდებელია სახელმწიფოსა და საჯარო მმართველობითი ორგანოებისაგან;
- მას აქვს ექსკლუზიური ან მინიმუმ, წამყვანი მიზანი იმისა, რომ ემსახუროს სათემო ან საზოგადოებრივ ინტერესს;
- ის ექვემდებარება სრულ ან მინიმუმ, ნაწილობრივ შეზღუდვას მოგების განაწილებაზე, და უფრო ზოგადად, შემოსავლებისა და მოგების განაწილების სპეციფიურ წესებს მისი არსებობის განმავლობაში, მათ შორის, ლიკვიდაციისას და სოციალური მეწარმის კვალიფიკაციის დაკარგვისას;
- ის უნდა აწარმოებდეს სოციალურად სასარგებლო მოქმედებებს, მათ შორის, ეს შეიძლება იყოს მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენელთა შრომითი ინტეგრაცია;
- ის ექვემდებარება სპეციალურ სამთავრობო მოთხოვნებს, მათ შორის, ვალდებულებას, გამოაქვეყნოს სოციალური ანგარიში, ასევე ჩართოს სხვადასხვა დაინტერესებული პირები საწარმოს მართვაში და უზრუნველყო სამართლიანი და მიუკერძოებელი მოპყრობა თანამშრომლებისა, განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების.

სოციალური საწარმოების მახასიათებლების განსაზღვრაზე მსჯელობისას, ასევე აუცილებელია აღინიშნოს, რომ ევროპის საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (EMES) მიერ შემუშავებულია სოციალური საწარმოს ეტალონური კრიტერიუმები, რომლებიც ერთგვარ სახელმძღვანელოდ იქცა მსოფლიო მასშტაბით.

აღნიშნული კრიტერიუმები სამ ჯგუფად არის დაყოფილი: ეკონომიკური, სოციალური და თანამონაწილეობითი მართვის კრიტერიუმები.<sup>28</sup> არ არის აუცილებელი, რომ სოციალური საწარმო აკმაყოფილებდეს შემუშავებულ ცხრავე კრიტერიუმს. ეს არის ერთგვარი „იდეალური სოციალური საწარმოს“ მახასიათებლები. ქვემოთ მოკლედ აღვწერთ აღნიშნულ კრიტერიუმებს:

#### **ეკონომიკური კრიტერიუმები:**

- საქონლის ან მომსახურების უწყვეტი წარმოება/მიწოდება - ეს კომპონენტი, სოციალურ მიზნებთან ერთად, უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთ მთავარ მიზანს საწარმოს ფუნქციონირებისათვის. საქონლის/მომსახურების მიწოდებასთან შედარებით,

---

<sup>28</sup>[https://emes.net/content/uploads/publications/EMES-WP-12-03\\_Defourny-Nyssens.pdf](https://emes.net/content/uploads/publications/EMES-WP-12-03_Defourny-Nyssens.pdf)

სოციალური საწარმოს მუშაობისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია ადვოკატირების კამპანიის წარმოება, ფონდების განაწილება და ა.შ.

- ეკონომიკური რისკის გარკვეული ხარისხი - სოციალური საწარმოს დამფუძნებლები უნდა აცნობიერებდნენ ინიციატივასთან დაკავშირებულ რისკებს. საჯარო დაწესებულებებისგან განსხვავებით, სოციალური საწარმოების ფინანსური შესაძლებლობები დამოკიდებულია მისი წევრებისა და დასაქმებულების მონდომებაზე, იქონიონ ადეკვატური რესურსები;
- დამოკიდებულება ანაზღაურებადი სამუშაოს მიმართ - სოციალურ საწარმოს აუცილებლად უნდა გააჩნდეს თუნდაც მინიმალური რაოდენობის ანაზღაურებადი მუშახელი, მაშინ, როდესაც სხვა არამომგებიან ორგანიზაციებს არ ეკისრებათ ასეთი ვალდებულება და ისინი მხოლოდ მოხალისეობითი მუშახელითაც შეიძლება შემოიფარგლონ.

### **სოციალური კრიტერიუმები:**

- ნათელი მიზანი, რომელიც ფოკუსირებულია საზოგადოების კეთილდღეობაზე - ერთ-ერთი პრინციპული მიზანი სოციალური საწარმოსი არის ის, რომ ემსახუროს თემს ან ადამიანების სპეციფიურ ჯგუფს (მაგ. მოწყვლად ფენებს);
- ინიციატივა წამოწყებულია მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ - სოციალური საწარმო არის თემის წევრების ან ერთი მკაფიო საჭიროებით ან მიზნით დაკავშირებული ადამიანების გაერთიანების შედეგი. ეს კოლექტიური განზომილება შენარჩუნებული უნდა იყოს დროთა განმავლობაში, თუმცა ხელმძღვანელობის საჭიროება (ფიზიკური პირის ან მცირე ჯგუფის მიერ ხელმძღვანელობა) არ უნდა იქნეს უგულებელყოფილი;
- მოგების შეზღუდული განაწილება - სოციალური მიზნების უპირატესობა უნდა აისახოს მოგების განაწილების შეზღუდვაში. თუმცა, სოციალური საწარმოები არ მოიცავს მხოლოდ ისეთ ორგანიზაციებს, რომლებიც საერთოდ არ ანაწილებენ მოგებას, სოციალური საწარმო შეიძლება იყოს ორგანიზაცია, რომელიც მოგებას ანაწილებს შეზღუდული რაოდენობით.

### **სოციალური საწარმოს მონაწილეობითი მმართველობა**

- დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი - სოციალური საწარმო შექმნილი უნდა იყოს ადამიანების ჯგუფის მიერ ავტონომიური პროექტის საფუძველზე და იმართებოდეს ამ ჯგუფის მიერ. ეს საწარმოები შეიძლება დამოკიდებული იყოს საჯარო სუბსიდიებზე, მაგრამ ისინი არ უნდა იმართებოდნენ პირდაპირ ან ირიბად საჯარო ხელისუფლების ორგანოების ან სხვა ორგანიზაციების მიერ (კერძო ფირმები და სხვ.);
- გადაწყვეტილების მიღების ძალაუფლება არ უნდა ეფუძნებოდეს კაპიტალის მფლობელობას ეს კრიტერიუმი ძირითადად, ეხება პრინციპს - ერთი წევრი - ერთი ხმა, ან

სულ მცირე, გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რომლის მიხედვითაც ხმის მიცემის ძალაუფლება არ არის განაწილებული წილის მფლობელობის მიხედვით იმ ორგანოში, რომელსაც გადაწყვეტილების მიღების უფლებები აქვს;

- საერთო გარემო, რაც უზრუნველყოფს დაინტერესებულ მხარეთა მაღალ ჩართულობას - მომხმარებელთა წარმომადგენლობა და მონაწილეობა, სხვადასხვა დაინტერესებული პირების მიერ გადაწყვეტილებებზე გავლენის უნარი და მონაწილეობითი მმართველობა ხშირად ქმნის მნიშვნელოვან მახასიათებლებს სოციალური საწარმოებისა.

საქართველოში სოციალური საწარმოსა და სოციალური მეწარმეობის მარეგულირებელი სამართლის ფორმირების პროცესში აუცილებელია ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებზე მსჯელობა და მათგან იმ დებულებების ინტეგრირება, რომლებიც ერთი მხრივ, უზრუნველყოფს სოც. საწარმოთათვის სოციალური მისიის შესრულების პრიმატს, ხოლო მეორე მხრივ, შესაძლებლობას მისცემს ასეთ ორგანიზაციებს, რომ შეინარჩუნონ ფინანსური მდგრადობა.

### **სოციალურ საწარმოთა იურიდიული ფორმების განსაზღვრა**

სოციალური საწარმოს განსაზღვრებასთან მჭიდრო კავშირშია მათი იურიდიული ფორმები. სექტორმა უნდა გადაწყვიტოს რომელი მოდელი იქნება მისთვის ხელსაყრელი: შეიქმნას სოციალური საწარმოს ცალკე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, თუ სოციალური მეწარმის სტატუსის მიღება უნდა შეეძლოს გარკვეული ტიპის ორგანიზაციებს, მაგალითად, შპს, ა(ა)იპ, კოოპერატივი, თუ სხვა.

მსოფლიოს ირგვლივ არსებობს კანონები, რომელთა თანახმადაც სოციალური საწარმო არის გაერთიანების სამართლებრივი ფორმა (კოოპერატივის ან კომპანიის ცალკეული ტიპი) და კანონები, რომელთა მიხედვით სოციალური საწარმო ეს არის სამართლებრივი კვალიფიკაცია (სტატუსი).

კანონები, რომლებიც ადგენენ სოციალური საწარმოს სპეციფიურ სამართლებრივ ფორმას წარმოადგენენ ამ სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი სისტემების პირველ ტალღას (თაობას). ასეთი სამართლებრივი მიდგომისთვის დამახასიათებელია ცალკეული ტიპის კოოპერატივების ან კომპანიების იურიდიულ-სამართლებრივი ფორმის შემუშავება სოციალური საწარმოების ინსტიტუციონალიზაციის მიზნით.<sup>29</sup>

კანონები, რომლებიც ქმნიან სპეციალურ სამართლებრივ კვალიფიკაციას (სტატუსი, სერთიფიცირება და სხვ.) სოციალური საწარმოებისათვის, წარმოადგენენ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის მეორე ტალღას (თაობას). ეს კანონები არ განიხილავენ სოციალურ საწარმოს, როგორც ორგანიზაციის ცალკეულ სამართლებრივ ფორმას, არამედ მას განიხილავენ, როგორც იურიდიულ კვალიფიკაციას, რომელიც შესაძლოა, მოიპოვოს

---

<sup>29</sup> „სოციალური და სოლიდარობაზე დაფუძნებული საწარმოების ევროპული სტატუტი“, პროფ. ანტონიო ფუცი, გვ. 17

დაწესებულებამ, რომელიც შეესაბამება გარკვეულ მოთხოვნებს, მისი ორგანიზაციული ფორმის მიუხედავად. სამართლის ზოგიერთ სისტემაში (მაგ, იტალია, ფინეთი) კანონი განსაზღვრავს, რომ ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დაფუძნებულ იურიდიულ პირს შეუძლია მიიღოს სოციალური საწარმოს კვალიფიკაცია, მაშინ, როდესაც სხვა სისტემებში (მაგ. ბელგია, ლუქსემბურგი და სხვა), კანონი განსაზღვრავს, რომ სოციალური საწარმოს კვალიფიკაცია შეიძლება მიიღოს მხოლოდ გარკვეული ფორმით დაწესებულმა იურიდიულმა პირებმა (მაგ. კომპანიამ ან კოოპერატივმა).<sup>30</sup>

კანონმდებლობის მოდელი, რომელიც სოციალურ საწარმოს განიხილავს იურიდიულ კვალიფიკაციად, უფრო და უფრო მეტად იმსახურებს სფეროს ექსპერტების მოწონებას. ამასთან, ბოლოდროინდელი კანონები, რომლებიც ევროპის ქვეყნებმა ეროვნულ დონეზე მიიღეს სოციალურ საწარმოებთან მიმართებით, ირჩევს ასეთ მოდელს.<sup>31</sup>

არსებობს რამდენიმე უპირატესობა, რომლებიც ამ მოდელს ახასიათებს:

- ის საშუალებას აძლევს უკვე მოქმედ ორგანიზაციას გახდეს სოციალური საწარმო რეორგანიზაციისა და სამართლებრივი ფორმის ცვლილების გარეშე;
- ის, ასევე აძლევს საშუალებას სოციალურ საწარმოს უარი განაცხადოს ასეთ სტატუსზე ორგანიზაციის ლიკვიდაციის, რეორგანიზაციისა და სამართლებრივი ფორმის ცვლილების გარეშე;
- სახელმწიფოს მიერ სოციალური საწარმოსთვის სანქციების დაკისრება უფრო მარტივია ამ მოდელის პირობებში (და უფრო ნაკლებად მძიმე სოციალური საწარმოსთვის), რადგან გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა, საკმარისი იყოს სოციალური საწარმოს კვალიფიკაციის გაუქმება (ან ამ კვალიფიკაციის ჩამორთმევის მუქარა, თუ დარღვევები არ აღმოიფხვრება), იურიდიული პირის ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის ნაცვლად.

თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი უპირატესობა, რომელსაც კანონმდებლობის ეს მოდელი გვთავაზობს არის ის, რომ ის საშუალებას აძლევს სოციალურ საწარმოს შეარჩიოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რომელიც ყველაზე უკეთ ერგება მის საქმიანობას, კომპანიის ან კოოპერატივის ფორმის მიღების გარეშე (ან ნებისმიერი სხვა სპეციფიური ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის). ორგანიზაციული ფორმების მრავალფეროვნება საშუალებას აძლევს სოციალურ საწარმოებს, ჩამოაყალიბონ საკუთარი სტრუქტურა ყველაზე ხელსაყრელი ფორმით, სხვადასხვა გარემოებების გათვალისწინებით (მაგ. დამფუძნებელთა ტიპი, ბიზნეს საქმიანობის ტიპი, კულტურული, ისტორიული თუ სხვა სახის ტრადიცია).

კანონმდებლობის ეს მოდელი წყვეტს დილემას, რომელიც კომპანიის ფორმასა და კოოპერატივის ფორმას შორის არჩევანს გულისხმობს და რომელიც დამახასიათებელია სოციალური მეწარმეობის მარეგულირებელი კანონმდებლობის პირველი თაობისათვის.

<sup>30</sup> „სოციალური და სოლიდარობაზე დაფუძნებული საწარმოების ევროპული სტატუტი“, პროფ. ანტონიო ფუცი, გვ. 17

<sup>31</sup> „სოციალური და სოლიდარობაზე დაფუძნებული საწარმოების ევროპული სტატუტი“, პროფ. ანტონიო ფუცი, გვ. 21

დამატებით, ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში, ეს ასევე საშუალებას აძლევს სოციალურ საწარმოებს მიიღონ ასოციაციის ან ფონდის ფორმა, და შესაბამისად, მიიღონ სარგებელი, რომლებიც ამ ორგანიზაციულ ფორმასთან არის დაკავშირებული.<sup>32</sup>

ქვემოთ, სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე განვიხილავთ აღნიშნული მოდელების პრაქტიკაში განხორციელების ასპექტებს და მიმოვიხილავთ, თუ რომელი მიდგომა იქნება უფრო მეტად ხელსაყრელი საქართველოში ამ სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ფორმირების პროცესში:

ავსტრალიაში, კანადაში, პოლონეთში, ლიტვაში და სლოვენიაში არ არსებობს ცალკე ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა სოციალური საწარმოებისათვის. დიდ ბრიტანეთში შეიქმნა იურიდიული ფორმა, რომელსაც მხოლოდ სოც. საწარმოები იყენებენ (CIC). საფრანგეთში არსებობს ცალკე ორგანიზაციული ფორმა - Société Coopérative d'intérêt Collectif (SCIC), რომელიც 2002 წელს შეიქმნა. მიუხედავად ამისა, საფრანგეთში სოც. საწარმოები მაინც ასოციაციის ფორმას ამჯობინებენ.<sup>33</sup> იტალიაში, ამ თვალსაზრისით, ყველაზე პოპულარული მოდელი სოციალური კოოპერატივია, თუმცა, სხვა სუბექტებსაც შეუძლიათ მიიღონ სოც. საწარმოს სტატუსი.<sup>34</sup>

კანადაში, ფედერალურ დონეზე სამართლებრივი განმარტების არარსებობის გამო, სოც. საწარმოებს შეეძინათ სხვადასხვა სახის პრობლემები. ვინაიდან სოც. საწარმოებისათვის არ არსებობს ცალკე იურიდიული ფორმა, ისინი ოპერირებენ სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით, რომლებიც ხშირად, სრულად არ შეესაბამება სოციალური საწარმოს ძირითად სტრუქტურას. აქ, საქართველოს მსგავსად, უმთავრესი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ის სამართლებრივი ფორმები, რომლებიც არ აყენებენ ზღვარს შემოსავლის მიღების საკითხში, ართულებენ სოციალური მიზნების მიღწევას. მაშინ, როცა სამართლებრივი ფორმები, რომლებიც შექმნილია სოციალური მისიის მქონე ორგანიზაციებისათვის, ითვალისწინებენ შემოსავლების მიღების შეზღუდულ შესაძლებლობებს.<sup>35</sup>

რეგიონულ დონეზე მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებისათვის კანადაში საჭირო გახდა სპეციალური სამართლებრივი ფორმის ინსტიტუციონალიზაცია. მაგალითად, ორი რეგიონის - ბრიტანეთის კოლუმბიის (British Columbia) და ნოვა სკოთიას (Nova Scotia) მთავრობებმა - 2012-2013 წლებში სოციალური საწარმოებისთვის დაამტკიცეს ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც დამუშავდა დიდი ბრიტანეთის „Community Interest Company“-ს მოდელის მიხედვით. ახალი სტრუქტურის მთავარი ინოვაციური ნიშანი

---

<sup>32</sup> „სოციალური და სოლიდარობაზე დაფუძნებული საწარმოების ევროპული სტატუტი“, პროფ. ანტონიო ფუცი, გვ. 22

<sup>33</sup><http://ec.europa.eu/social/BlobServlet?docId=13024&langId=en>

<sup>34</sup>სამაგიდე კვლევა საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური საწარმოების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ - გვ. 55-56

<sup>35</sup>O'Connor, Pauline, The New Regulatory Regime for Social Enterprise in Canada: Potential Impacts on Non-Profit Growth and Sustainability, 6 მარტი, 2014, გვ. 23, იხილეთ წყარო: <http://earningcapacity.ca/files/OConnor-Social-EnterpriseRegRegime.pdf>.



მდგომარეობს იმაში, რომ ის ახდენს სოციალური მისიის ინტეგრირებას საწარმოს საფუძველშივე.

C3 სტატუსი შესაძლებლობას აძლევს მეწარმეებს ბიზნეს მიდგომით მიაღწიონ თავიანთ სოციალურ მისიას და პარალელურად მიიღონ მოგება.<sup>36</sup> ტიპიური კერძო კომპანიისგან C3-ს განმასხვავებელი არის „აქტივების ჩაკეტვა“ (asset lock), რაც გულისხმობს მეწილეებზე დივიდენდის განაწილების, ასევე ორგანიზაციის ლიკვიდაციის შემთხვევაში კაპიტალის განაწილების მკაცრ რეგულირებას.

საქართველოში კანადის მსგავსად, სოც. საწარმოთა ცალკე იურიდიული ფორმების ადგილობრივი თვითმმართველობის აქტებში განსაზღვრა შეუძლებელია, ვინაიდან იურიდიული პირების შესაძლო ფორმებს ცენტრალური კანონები ადგენენ (სამოქალაქო კოდექსი, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი). თუმცა, კანადის მოდელი საყურადღებოა იმ თვალსაზრისით, რომ ახალი იურიდიული ფორმები მიზნად ისახავს ბალანსის დამკვიდრებას ორგანიზაციის სოციალურ მისიასა და ბიზნეს ინტერესებს შორის. საქართველოშიც, სოციალური საწარმოს კრიტერიუმების განსაზღვრისას გადასაწყვეტი იქნება სოციალური მისიის იურიდიულ ფორმაში ინტეგრაციის, აქტივების ჩაკეტვის, დივიდენდის განაწილებისა თუ სხვა მსგავსი საკითხები.

პოლონეთში შემუშავებულია კანონპროექტი, რომლის თანახმად, სოციალური საწარმო არის მცირე და საშუალო ზომის საწარმო სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით, რომელიც დასაქმების შესაძლებლობას აძლევს იმ ადამიანებს, რომლებიც მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან (მინიმუმ 50%), ან უზრუნველყოფს საჯარო ინტერესების სერვისის მიწოდებას.<sup>37</sup>

სანამ კანონპროექტი განხილვის ეტაპზეა, პოლონეთს პრაქტიკაში დაუდგა საჭიროება გამოერჩია სოციალური საწარმოები სხვა სუბიექტებისაგან. ამ მიზნის მისაღწევად, ოჯახის, შრომის და სოციალური პოლიტიკის სამინისტრო ანიჭებს შესაბამის სტატუსს ორგანიზაციებს, რათა მათ უფლება ჰქონდეთ მიიღონ მონაწილეობა სოციალური ეკონომიკის მხარდამჭერ პროგრამებში, მიიღონ დაფინანსება და ა.შ.

პოლონეთში შემუშავებული კანონპროექტის მიდგომა - სხვადასხვა იურიდიული ფორმით დაფუძნებულ სუბიექტებს მიეცეთ შესაძლებლობა, მიიღონ სოც. საწარმოს სტატუსი, ძალზედ ხელსაყრელი მოდელია საქართველოს რეალობისთვისაც. თუმცა, პოლონური კანონპროექტი ზღუდავს საქმიანობის სფეროებს - მოწყვლადი ჯგუფების დასაქმება ან საჯარო მომსახურებების განხორციელება. ასეთი შეზღუდვა არააუცილებელ აკრძალვებს მოიცავს სოციალური საწარმოებისათვის.

დიდ ბრიტანეთში სოც. საწარმოებისათვის ყველაზე ხელსაყრელი ფორმა - საქველმოქმედო ორგანიზაცია (charity) იყო, ვინაიდან ისინი ღებულობენ მეტ საგადასახადო შეღავათებს და

---

<sup>36</sup><http://www.fin.gov.bc.ca/prs/ccc/>

<sup>37</sup>სოციალური მეწარმეების ქსელი, პოლონეთი. ქვეყნის პროფილი, Krzysztof Cibor, 31 დეკემბერი 2014, იხ. წყარო: <http://socialeconomy.pl/node/312>

უფლება აქვთ, მიიღონ მონაწილეობა მრავალმხრივ მხარდამჭერ პროგრამებში. თუმცა, მას შემდეგ, რაც საქველმოქმედო ორგანიზაციების მიერ, საკუთარი საქმიანობის მხარდაჭერის მიზნით, გაიზარდა სამეწარმეო საქმიანობაში ჩარევის ტენდენცია და ასევე, იმ შეზღუდვების გამო, რომელიც თან ახლდა მოგებაზე ორიენტირებული და საქველმოქმედო სექტორის ე.წ. „ჰიბრიდულ საქმიანობას“, მთავრობის მიერ 2004 წელს შეიქმნა სპეციალური სამართლებრივი ფორმა ე.წ. Community Interest Company (“CIC”).

სოციალური საწარმოების სექტორის განვითარებაში CIC-მა ითამაშა უმნიშვნელოვანესი როლი<sup>38</sup> და უფრო პოპულარული გახდა ის, ვიდრე მთავრობის პროგნოზებით იყო მოსალოდნელი.<sup>39</sup> CIC აქვს ისეთივე სტრუქტურა, როგორც ტრადიციულ კომპანიას, მაგრამ ექვემდებარება დამატებით მოთხოვნებს, მაგალითისათვის, როგორებიცაა ოპერირება მხოლოდ თემის ინტერესების შესაბამისად, ქონების ზღვრული შეზღუდვა და დივიდენდების განაწილების ლიმიტი.<sup>40</sup> მათ უფლება აქვთ გაანაწილონ მოგების მხოლოდ 35 პროცენტი.

ბრიტანეთის სოციალურ საწარმოებს კვლავინდებურად შეუძლიათ გამოიყენონ კომპანიის სამართლებრივი ფორმა. თუმცა, CIC სტრუქტურა წარმოადგენს მკაფიო სიგნალს ინვესტორებისათვის, რომ საწარმო მუშაობს თემის სარგებლისთვის და ეს სოციალური მიზანი დაცულია სამართლებრივი რეგულაციებით. CIC ვერ სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით, თუმცა ასეთი შეღავათებით სარგებლობენ ის სუბიექტები, რომლებიც ინვესტიციას განახორციელებენ ამ ორგანიზაციაში.

ბრიტანული სათემო ინტერესის კომპანიის მოდელი კარგად ერგება სოციალური მეწარმეობის კონცეფციას და ხაზს უსვამს იმას, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს სექტორზე სოც. მეწარმეობის საკანონმდებლო აღიარებამ. თუმცა, საქართველოში მსგავსი იურიდიული ფორმის ინსტიტუციონალიზაციას შესაძლოა, თან ახლდეს ისეთივე დაბრკოლებები, როგორც არასამეწარმეო იურიდიულ პირებს ხვდებათ. მაგალითად, ასეთმა იურიდიულმა პირმა შესაძლოა, ვერ შექმნან საკმარისი გარანტიები ინვესტორებისათვის, ასევე ბანკებისათვის სესხის აღების დროს და სხვ. რიგ შემთხვევებში, ასეთი სამართლებრივი ფორმა შესაძლოა, ხელსაყრელი იყოს სოციალური მეწარმეობისათვის, თუმცა ისეთ დროს, როდესაც კომპანიას უწევს ჩვეულებრივ მეწარმე სუბიექტებთან მჭირდო კონკურენციაში ყოფნა, დამატებითმა შეზღუდვებმა შესაძლოა შექმნან პრობლემები.

ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბრიტანეთში სოციალურ საწარმოებს უფლება აქვთ, იფუნქციონირონ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმითაც. თუ ასეთ შესაძლებლობას საქართველოს კანონმდებლობაც დაუშვებს, ამ შემთხვევაში აღარ იქნება

---

<sup>38</sup>ბრიტანეთში რეგისტრირებულია 70 000 სოციალური საწარმო სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით, თუმცა 2005 წლის შემდეგ 11 000-ზე მეტი CIC შეიქმნა და ბოლო ხუთ წელიწადში შეიმჩნევა სოციალური ინვესტიციების მნიშვნელოვანი განვითარება, რაც ხელს უწყობს ამ მოძრაობის ზრდას.<sup>38</sup>

<sup>39</sup>Doeringer, MF. სოციალური საწარმოს გაძლიერება: ისტორიული და საერთაშორისო ანალიზი. იხ. წყარო: <http://scholarship.law.duke.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1052&context=djcil>.

<sup>40</sup>სამაგიდე კვლევა საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური საწარმოების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ. 110

საჭიროება ახალი სამართლებრივი ფორმის ინსტიტუციონალიზაციისა, ვინაიდან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებს გააჩნიათ ბევრი საერთო სათემო ინტერესის კომპანიასთან. ასეთი დაშვების პირობებში, ასევე გადასაწყვეტი იქნება იმ სოციალურ საწარმოთა სამართლებრივი აღიარების საკითხი, რომელთაც სათემო ინტერესის კომპანიის ფორმა არ ექნებათ. ამასთანავე, გადასაწყვეტი იქნება ასეთი იურიდიული პირის დაბეგვრის საკითხიც - მოექცევა ის „ორგანიზაციების“ თუ „საწარმოების“ დაბეგვრის რეჟიმში? ნებისმიერი მათგანის არჩევის შემთხვევაში, ზემოთ აღწერილი საგადასახადო დაბრკოლებები შეექმნება სათემო ინტერესის კომპანიასაც. საგადასახადო ვალდებულებების თვალსაზრისით, აუცილებელია, სოც. საწარმოებს მიეცეთ შესაძლებლობა, ჰქონდეთ ლავირების შესაძლებლობა და აირჩიონ ისეთი სამართლებრივი ფორმა, რომელიც მათ სოციალურ მისიას უფრო მეტად ერგება.

აქედან გამომდინარე, სათემო ინტერესის კომპანიის იურიდიული ფორმის საქართველოს კანონმდებლობაში კოპირებით, სოც. საწარმოთა წინაშე არსებული პრობლემები ვერ გადაწყდება. ბრიტანული სათემო ინტერესის კომპანიის მოდელი შესაძლოა იყოს კარგი მაგალითი სოც. საწარმოს კრიტერიუმების დადგენისთვის.

ლიტვის სოციალური საწარმოების შესახებ კანონის თანახმად, სოციალური საწარმო არის ნებისმიერი საწარმო, რომელიც შექმნილია ახალი სამუშაო ადგილების შესაქმნელად იმ ადამიანებისათვის, რომლებიც შრომის ბაზარზე არათანაბარი პირობებით სარგებლობენ.<sup>41</sup> მათთვის ცალკე იურიდიული ფორმა არ არსებობს. ორგანიზაციებს ენიჭებათ სტატუსი, რომლის მოსაპოვებლადაც ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ წინაპირობებს:

- კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტები, მისია და ხედვა მკაფიოდ უნდა განსაზღვრავდეს იმ ადამიანების დასაქმების მიზანს, რომლებიც მიეკუთვნებიან მიზნობრივ ჯგუფებს, ან თანამშრომლების ტექნიკური და სოციალური უნარების განვითარებისა და მათი სოციალური ინტეგრაციის მისწრაფებას;
- კომპანია ან არ უნდა ახორციელებდეს ისეთ საქმიანობას, რომელიც არ წარმოადგენს მხარდამჭერ აქტივობას სოციალური საწარმოებისთვის, <sup>42</sup> ან შემოსავალი ასეთი

<sup>41</sup>ლიტვის კანონი სოციალური საწარმოების შესახებ.

<sup>42</sup> აქტივობები, რომელიც არ არის მხარდაჭერილი: 1) ნადირობა, მახის დაგება ან მსგავს აქტივობებთან დაკავშირებული ქმედებები; 2) სამთო მრეწველობა და მადნის მოპოვება; 3) სასმლის წარმოება; 4) თამბაქოს პროდუქტების წარმოება; 5) ბენზინისა და ბირთვული საწვავის წარმოება; 6) გემების წარმოება და შეკეთება; 7) სამშენებლო ან შენობების დასანგრევი ტექნიკის დაქირავება; 8) ტრანსპორტის გაყიდვა, მოტოციკლეტებისა და ავტომობილების საწვავის საცალო გაყიდვა; 9) საბითუმო და საკომისიოვაჭრობა, მექანიკური ტრანსპორტისა და მოტოციკლეტების გარდა; 10) საცალო ვაწრობა, მექანიკური ტრანსპორტისა და მოტოციკლეტების გარდა; პერსონალური ან საოჯახო ნივთების შეკეთება; 11) ტრანსპორტირება და შენახვა; 12) ფინანსური შუამავლობა; 13) უძრავი ქონება, გაქირავება; 14) კანონით გათვალისწინებული აქტივობები; 15) გამოძიებასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული აქტივობები; 16) ორგანიზაციული აზარტული თამაშები ან სანადლეოსთან დაკავშირებული აქტივობები; წყარო: ლიტვის მთავრობა, დეკრეტი ნომერი 1501, გამოცემული 2004 წლის 29 ნოემბერს - სოციალურ საწარმოთა არამხარდაჭერილი აქტივობების დამტკიცების შესახებ.

საქმიანობიდან საგადასახადო პერიოდისთვის არ უნდა შეადგენდეს საერთო შემოსავლის 20%-ზე მეტს.<sup>43</sup>

ასეთი სტატუსი (შრომითი ინტეგრაციის სოციალური საწარმოს - Work Integration Social Enterprise (WISE)) ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს მიიღონ სახელმწიფო დაფინანსება და სხვა სარგებელი, მათ შორის, საგადასახადო შეღავათები.

კანონის თანახმად, სოციალური საწარმოები არ არიან ვალდებული მოგების რეინვესტირება მოახდინონ სოციალურ მიზნებში და არ არსებობს იმის საჭიროება, რომ სოციალური მიზნები მიმართული იყოს კომერციული მიზნებისკენ.

ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმები და საქმიანობის სფეროების შეზღუდვა სოციალური საწარმოებისათვის ლიტვაში იწვევს პრობლემებს, კერძოდ, უმეტეს შემთხვევაში ისინი ძლიერ არიან დამოკიდებული სპონსორებზე, გრანტებსა და საქველმოქმედო ფონდებზე.<sup>44</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მხოლოდ მოწყვლადი ჯგუფების დასაქმებაზე ორიენტირებული კრიტერიუმები დაბრკოლებას შეუქმნის საქართველოში უკვე მოქმედ სოც. საწარმოებს, რომელთა სოციალური მისია მრავალმხრივ ცდება აღნიშნულ მიზანს.

ლიტვის მოდელი, რომელიც არ აწესებს ვალდებულებას მიღებული შემოსავლის რეინვესტირება სოციალურ მიზნებში მოხდეს, ასევე არ უნდა იყოს გაზიარებული საქართველოს კანონმდებლობაში, იმის გამო, რომ არასამეწარმეო იურიდიული პირების შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უკვე აწესებს, რომ ა(ა)იპ-ების მიერ სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს ორგანიზაციის მიზნების რეალიზებას. ამასთან, ასეთი მოთხოვნის არ არსებობა ეწინააღმდეგება სოც. საწარმოთა საერთაშორისო კრიტერიუმებს, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ.

სლოვენიაში ნებისმიერ არა-მომგებიან იურიდიულ პირს შეუძლია მიიღოს სოციალური საწარმოს სტატუსი თუ დააკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

- ის დაარსდა იმ მიზნისთვის, რომ აწარმოოს სოციალური მეწარმეობა და დასაქმებული ჰყავდეს მინიმუმ ერთი ადამიანი პირველი წლის განმავლობაში და ორი ადამიანი შემდგომ წლებში (A ტიპის სოციალური საწარმო) ან
- ის დაარსდა იმ მიზნისთვის, რომ დაასაქმოს ადამიანები არსებული კანონის პუნქტი 6-ის თანახმად <sup>45</sup> და მუდმივად იყოს დაკავებული კონკრეტული საქმიანობით და თანამშრომელთა მინიმუმ ერთი მესამედი წარმოადგენდეს ამ სამიზნე ჯგუფს (B ტიპის სოციალური საწარმო, WISE) და

<sup>43</sup> European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Lithuania, 2014 წლის ოქტომბერი, 1-2 გვ.იხ. წყარო:<http://ec.europa.eu/social/main.jsp?langId=es&catId=89&newsId=2149>

<sup>44</sup>სამაგიდე კვლევა საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური საწარმოების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმების შესახებგვ. 68

<sup>45</sup>მოწყვლადი ჯგუფები

- ის იმუშავებს სოციალური მეწარმეობის პრინციპების შესაბამისად<sup>46</sup>

სლოვენიაში სოც. მეწარმეებს ეკრძალებათ აქტივების, მოგებისა და ჭარბი შემოსავლის განაწილება, გარდა კანონით განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევებისა<sup>47</sup>. ამ შემთხვევაში სოციალურ საწარმოს შეუძლია მოგება და ჭარბი შემოსავალი განაწილოს თავის წევრებზე, როგორც მმართველ, ასევე დაქირავებულ თანამშრომლებზე მოგების მაქსიმუმ 20%-მდე, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოგება არ წარმოადგენს საჯარო/სახელმწიფო სახსრებს და თუ განაწილება ნებადართულია ორგანიზაციის წესდებით. სოციალურ საწარმოს, რომელიც მოგებას ან ჭარბ შემოსავალს ანაწილებს, უფლება არ აქვს ამ პროცესიდან თავიანთი თანამშრომლები გამორიცხოს.

იმის გამო, რომ სლოვენია მხოლოდ არამომგებიან ორგანიზაციებს ანიჭებს უფლებას მიიღოს სოც. საწარმოს სტატუსი, მათ ექმნებათ მენეჯმენტისა და ფინანსური ცოდნის ნაკლებობის პრობლემა, რომელიც უკავშირდება იმ ფაქტს, რომ მეწარმეების უმეტესობა მოდის არასამთვრობო სექტორიდან და ტრადიციულად, ეყრდნობა საგრანტო დაფინანსებას. ბიზნეს გამოცდილება არც ისე ბევრ სოციალურ მეწარმეს აქვს.<sup>48</sup> ამასთან, საქართველოს შემთხვევაში სლოვენიის მოდელის გაზიარება ბევრად შეზღუდავს სოციალურ საწარმოთა მოქმედების არეალს და შესაძლებლობას, სოციალური საწარმო შეიქმნას სამეწარმეო სუბიექტის ფორმით. ამ შემთხვევაში ასევე, კვლავინდებურად აქტუალური დარჩება სოც. საწარმოთა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა.

სლოვენიის მოდელში ძალიან პროგრესულია მოგების განაწილების პრინციპები და თანამშრომელთა ჩართვა ამ პროცესში. სლოვენიური მოდელი, ასევე პასუხობს სოციალური მიზნების უპირატესობის პრინციპს, რომელიც საქართველოს შემთხვევაშიც უნდა იქნეს გაზიარებული.

იტალიაში დიდი ხანია არსებობს სოციალური კოოპერატივის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. 1991 წელს მიღებულმა კანონმა სოციალური კოოპერატივების შესახებ მოახდინა არსებული კოოპერატივების ფორმის ადაპტირება, რაც ამ ორგანიზაციებს ეხმარება „საერთო საზოგადოებრივი ინტერესების მიზნისთვის მუშაობაში, რომლის მიზანია პიროვნული ზრდა, ადამიანების ინტეგრაცია საზოგადოებაში, სოციალური და საგანმანათლებლო სერვისების მიწოდება და სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, რათა ხელი შეეწყოს სოციალურად დაუცველი ადამიანების დასაქმებას“.

კანონი ერთმანეთისგან განასხვავებს ორი ტიპის სოციალურ კოოპერატივს:

- კოოპერატივი, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ, ჯანდაცვის და საგანმანათლებლო მომსახურებას (A ტიპის სოციალური კოოპერატივი);

<sup>46</sup>სლოვენიის სოციალური მეწარმეობის შესახებ კანონის მე-3 მუხლი (Act on Social Entrepreneurship).

<sup>47</sup> სლოვენიის სოციალური მეწარმეობის შესახებ კანონის მე-2 მუხლი: [http://www.mddsz.gov.si/fileadmin/mddsz.gov.si/pageuploads/dokumenti\\_pdf/zaposlovanje/Act\\_SE\\_rev\\_clear.pdf](http://www.mddsz.gov.si/fileadmin/mddsz.gov.si/pageuploads/dokumenti_pdf/zaposlovanje/Act_SE_rev_clear.pdf)

<sup>48</sup> European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Slovenia, 2014 წლის ოქტომბერი, გვ. 17

- კოოპერატივი, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურად დაუცველი ადამიანების ჯგუფის<sup>49</sup> ინტეგრირებას შრომის ბაზარზე (B ტიპის კოოპერატივი).

იტალიაში 2006 წელს მიღებული ახალი კანონი სოციალური საწარმოების შესახებ არ ქმნის არც ახალ სამართლებრივ ფორმის ან ახალი ტიპის ორგანიზაციას, მაგრამ საშუალებას აძლევს ორგანიზაციას იქნეს აღიარებული, როგორც სოციალური საწარმო, მიუხედავად მისი სამართლებრივი ფორმისა, თუ იგი დააკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- ეს არის კერძო იურიდიული პირი;
- ის მუდმივად მონაწილეობს საქონლისა და მომსახურეობების შექმნაში და გაცვლაში, რომელსაც აქვს სოციალური სარგებელი (social utility) და იღწვის საზოგადოებრივი მიზნებისა და სარგებლის მოპოვებისათვის და არა მოგების მიღებისთვის (ორგანიზაცია ითვლება სოციალურ საწარმოდ იმ შემთხვევაში, თუ ის შემოსავლის მინიმუმ 70%-ს ღებულობს სამეწარმეო საქმიანობიდან);
- საწარმოს შეუძლია ჰქონდეს მოგება, მაგრამ არ შეუძლია მისი განაწილება წევრებს ან მფლობელებს შორის. მოგება უნდა იყოს ინვესტირებული საწარმოს მთავარი საქმიანობის განვითარების (საჯარო სარგებელი) ან აქტივების გაზრდის მიზნით.

გარდა ამისა, სოციალურმა საწარმომ პატივი უნდა სცეს კარგი მმართველობის პრინციპებს, როგორცაა გამჭირვალობა, ღიაობა და გადაწყვეტილებების მიღებაში თანამონაწილეობა.<sup>50</sup>

იტალიაში სოციალური საწარმოების სტატუსი ნაკლებად წარმატებული გამოდგარეგისტრაციისთვის საჭირო ხანგრძლივი ადმინისტრაციული პროცედურისა და ფისკალური შეღავათების არარსებობის გამო (მაშინ, როდესაც ფისკალური წახალისებები ხელმისაწვდომია სოციალური კოოპერატივებისთვის).<sup>51</sup>

იტალიის მოდელი ძალზედ მოქნილია და ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, საქმიანობის სფეროს მიხედვით აირჩიონ მართვის სტრუქტურა. საქართველოში სოც. საწარმოთა მარეგულირებელი კანონმდებლობის ფორმირების პროცესში, იტალიის მოდელის სხვადასხვა ელემენტების ჩართვა ძალზედ ხელსაყრელი იქნება კანონის მოქნილობის თვალსაზრისით. იტალიის მაგალითი გამორჩეულია იმიტაც, რომ სოციალური საწარმოს სტატუსის მქონე ორგანიზაციები ვალდებული არიან იხელმძღვანელონ ორგანიზაციის დემოკრატიული მართვის სტილისა და კარგი მმართველობის პრინციპებით.

<sup>49</sup> შეზღუდული ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების პირები, აშჯამინდელი ან ყოფილი ფსიქიატრიული პაციენტები, ნარკოდამოკიდებული პირები, ალკოჰოლზე დამოკიდებული პირები, ახალგაზრდა მუშახელი პრობლემური ოჯახებიდან, ალტერნატიულ სასჯელს დაქვემდებარებული დამნაშავეები.

<sup>50</sup>სამაგიდე კვლევა საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური საწარმოების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ გვ. 55

<sup>51</sup> European Commission, A Map of Social Enterprises and their Eco-systems in Europe, Country Report: Italy, 2014 წლის ოქტომბერი, გვ. 23.

ზემოთ მოყვანილი სხვადასხვა მაგალითები ცხადყოფს სოციალური საწარმოს იურიდიული ფორმებისადმი სხვადასხვა ქვეყნის არაერთგვარ მიდგომას, თუმცა, ნათელია, რომ ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო მხარდაჭერის სისტემები და შეღავათები დაკავშირებულია ორგანიზაციების მიერ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილებაზე.

ასევე, თვალშისაცემია ის, რომ კანონმდებლები ცდილობენ სხვადასხვა გზით დააბალანსონ სოციალური მისიისა და კომერციული მიზნების ერთ ორგანიზაციულ ფორმაში თანხვედრის შესაძლებლობა. ზოგი ქვეყანა სოც. საწარმოებს უზღუდავს საქმიანობის სფეროებს, ზოგიც - ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს, რამდენიმე მაგალითი ასევე მიუთითებს ასეთი ორგანიზაციების მიერ მოგების განაწილების შეზღუდვისა და მისი რეინვესტირების ვალდებულებაზე.

აღსანიშნავია, რომ იტალიის, დიდი ბრიტანეთისა და კანადის 2 რეგიონის მიერ დადგენილი მოთხოვნები ძალიან ახლოს დგას საერთაშორისო კვლევითი ცენტრის (EMES) მიერ შეიმუშავებულ „იდეალური სოციალური საწარმო“ კრიტერიუმებთან, რომლებიც სახელმძღვანელოა სოციალური მეწარმეობით დაინტერესებული მხარეებისათვის მსოფლიოს მასშტაბით.

საქართველოში სოციალური მეწარმეობის მარეგულირებელი კანონმდებლობის ფორმირების პროცესში აუცილებელია, გათვალისწინებული იქნეს საერთაშორისო პრაქტიკა და ის გამოცდილება, რომლებიც ამ თვალსაზრისით სხვადასხვა ქვეყნებს დაუგროვდათ. მნიშვნელოვანია ქვეყანაში სოც. მეწარმეობის არსებული ლანდშაფტის გათვალისწინებაც და ამის ცხადი მაგალითია იტალიაში სექტორის მარეგულირებელი კანონმდებლობის რამდენიმე ეტაპიანი მოდიფიკაცია.

მთავარი გამოწვევა, რაც საქართველოში სოც. მეწარმეობის რეგულირებას თან ახლავს, არის ის, რომ სოციალური საწარმოს სტრუქტურა უნდა ქმნიდეს სოციალური მიზნების უპირატესობის გარანტიებს და ამავე დროს, ორგანიზაციებს აძლევდეს მოქნილობას შემოსავლების გენერირებისა და მისი რეინვესტირების თვალსაზრისით. სოც. საწარმოს განმარტებისა თუ სამართლებრივი ფორმების დადგენისას, კანონმა უნდა უზრუნველყოს ბალანსი ორგანიზაციის სოციალურ მიზნებსა და კომერციულ საქმიანობას შორის.

ასევე აუცილებელია, საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად, კანონში აისახოს სოციალური საწარმოს მკაფიო კრიტერიუმები:

- სოციალური საწარმო დაფუძნებისთანავე ორიენტირებული უნდა იყოს სოციალური მიზნების მიღწევაზე - მისი პირველადი დანიშნულება არ უნდა იყოს მოგების მიღება;
- კანონმდებლობაში უნდა განისაზღვროს სოციალური საწარმოს მიერ დივიდენდების გაცემის წესი და გასანაწილებელი მოგების დასაშვები ზღვარი. ასეთი ზღვარის ოდენობა, მის კანონმდებლობაში ასახვამდე, დაინტერესებული მხარეების დიალოგის შედეგად უნდა გამოიკვეთოს;

- უნდა დადგინდეს სოციალური საწარმოების გამჭვირვალობის კრიტერიუმები, მათი პროგრამული, თუ ფინანსური ანგარიშგების სისტემა და განისაზღვროს ზედამხედველი სტრუქტურა;
- კანონმდებლობამ უნდა განსაზღვროს სოციალურ საწარმოთა დემოკრატიული მართვის ვალდებულება - ასე მაგალითად, შესაძლებელია დადგინდეს, რომ მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისას მნიშვნელობა არ აქვს პარტნიორთა წილის ოდენობას, ერთი წევრი - ერთი ხმა, თუ სხვა. ასევე, უნდა განისაზღვროს მმართველობაში ბენეფიციართა ჩართულობის ფორმები;
- კანონმდებლობაში, ასევე უნდა გაიწეროს სოციალური საწარმოს რეორგანიზაციის წესი - ასე მაგალითად, უნდა დააბრუნოს, თუ არა, სოციალურმა საწარმომ რეორგანიზაციის შემთხვევაში ის სარგებელი, რომელიც თავისი სტატუსის გამო მიიღო?

რა მოდელიც არ უნდა აირჩიოს კანონმდებელმა, ასევე აუცილებელია, გადაიჭრას მოქმედ კანონმდებლობაში არსებული პრობლემები, რომლებიც წინა ქვეთავებში, კვლევის ნაწილში აღვწერეთ.

### საგადასახადო რეგულაციების მოდიფიკაცია

სამაგიდე კვლევამ და სოც. საწარმოთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მათ ექმნებათ საგადასახადო დაბრკოლებები სამეწარმეო მიზნებით მიღებული გრანტისა და მეწარმე სუბიექტების მიერ სოციალური მიზნებით ხარჯების გაწევის დროს. კვლევის შედეგად, ასევე გაირკვა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი არ აწესებს არავითარ წამახალისებელ მექანიზმს უშუალოდ სოციალური საწარმოებისათვის, რაც ბუნებრივია, რადგან კანონი არ იცნობს სოციალურ საწარმოს, როგორც სამართლებრივ სუბიექტს.

კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია ცვლილებები განხორციელდეს საქართველოს საგადასახადო კოდექსში რამდენიმე მიმართულებით:

- მოგების გადასახადისაგან უნდა გათავისუფლდეს სოციალური საწარმოთა მიერ მიღებული გრანტები (ან არ აისახოს ერთობლივ შემოსავალში);
- სოციალური საწარმოს მიერ გაწეული სოციალური ხარჯები (არაეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები) არ უნდა დაიბეგროს მოგების გადასახადით, როგორც ეს დღეს იბეგრება სამეწარმეო სუბიექტების შემთხვევაში;
- გადასაწყვეტია გრანტთან დაკავშირებული სხვა შეღავათების გავრცელება სოციალურ მეწარმეებზე. ასე მაგალითად, უნდა შეეძლოს, თუ არა სოციალურ საწარმოს დაიბრუნოს ან ჩაითვალოს დღე გრანტით შეძენილ საქონელზე და მომსახურებაზე, როგორც ამას არასამეწარმეო იურიდიული პირები ახორციელებენ?
- თუ არ იქნება შემოღებული ახალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა სოც. მეწარმეებისათვის და კანონმდებელი საშუალებას მისცემს კერძო სამართლის სუბიექტებს მიიღონ სოციალური მეწარმის სტატუსი, მაშინ დღის წესრიგში დგება იმ ა(ა)იპ-ების მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხი, რომლებიც ასეთ სტატუსს მოიპოვებენ.



კერძოდ, სამეწარმეო სუბიექტებთან თანაბარ პირობებში მათი ჩაყენების მიზნით, განხილული უნდა იქნეს იმ მოგების გადასახადებისაგან გათავისუფლების შესაძლებლობა, რომლის რეინვესტირებასაც ა(ა)იპ-ები სოციალური საწარმოს განვითარებაში მოახდენენ.

ამას გარდა, სოციალური მეწარმეობის მარეგულირებელი კანონის მოდელის შესაბამისად, შესაძლოა, დაწესდეს საგადასახადო წამახალისებელი ნორმები პრიორიტეტული სფეროების მიხედვით, მაგ. შპს პირების დასაქმებისთვის და სხვ. საზღვარგარეთის ქვეყნებში, ასევე უზვადაა წამახალისებელი მექანიზმები იმ ბიზნეს ორგანიზაციებისათვის, რომლებიც სოციალურ მეწარმეებს მხარს უჭერენ ფინანსურად.

ზოგიერთი ქვეყანა საგადასახადო შეღავათებს უკავშირებს ამა თუ იმ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმას, მაგ. საქველმოქმედო ორგანიზაცია დიდ ბრიტანეთში, სოციალური კოოპერატივი იტალიაში და ა.შ. რიგი ქვეყნებისა საგადასახადო წამახალისებელ მექანიზმებს აწესებს საქმიანობის დარგის მიხედვით, მაგალითად, წახალისება შპს პირების დასაქმებისთვის, მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრაციისთვის და ა.შ.

იტალიაში საგადასახადო შეღავათები უმეტესად, დაწესებულია სოციალური კოოპერატივებისათვის. ასე მაგალითად, თუ კოოპერატივის წევრების ხელფასები წამოადგენს ორგანიზაციის მთლიანი ხარჯების 50%-ს, გარდა ნედლეულისა და დამხმარე მასალების ხარჯებისა, ამ შემთხვევაში კოოპერატივი გათავისუფლებულია კორპორატიული საშემოსავლო გადასახადისგან. თუ კოოპერატივის წევრების ხელფასები წამოადგენს ორგანიზაციის მთლიანი ხარჯების 25%-ს, გარდა ნედლეულისა და დამხმარე მასალების ხარჯებისა, ამ შემთხვევაში სარგებელს წარმოადგენს გადასახადის განაკვეთის შემცირება (ჩვეულებრივი საგადასახადო განაკვეთის 50%-ის შემცირება 27,5%-მდე) და დასაბეგრი შემოსავლის ხელსაყრელი პირობებით გაანგარიშება (მაგალითად მოგების 90%, რომელიც მიდის რეზერვებში არ იბეგრება).<sup>52</sup>

გარდა ამისა, სოციალური კოოპერატივების და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მიღებული შემოწირულობები არ იბეგრება.<sup>53</sup>

იტალიაში სოც. საწარმოს სტატუსის მქონე ორგანიზაციები, გრანტის მიღების შემთხვევაში სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით.

საქართველოში გრანტზე დაწესებულ შეღავათებზე მსჯელობისას, ხშირად ისმის შეკითხვა, უნდა გავრცელდეს თუ არა, დღგ-ს უკან დაბრუნების შესაძლებლობა იმ გრანტებზე, რომლებსაც სოც. საწარმოები სამეწარმეო მიზნისთვის იღებენ?

<sup>52</sup> Di Diego, S., Il nuovo regime fiscal delle cooperative, 2011, წყარო: [http://www.reteomeo.it/uploads/media/il\\_nuovo\\_regime\\_fiscale\\_di\\_s.didiego.pdf](http://www.reteomeo.it/uploads/media/il_nuovo_regime_fiscale_di_s.didiego.pdf)

<sup>53</sup> სამაგიდე კვლევა საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური საწარმოების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ, გვ. 59

იტალია ამ საკითხს სექტორების მიხედვით მიუდგა: სოციალური კოოპერატივები სარგებლობენ შემცირებული დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) განაკვეთით, თუ ისინი აწვდიან სამედიცინო, სოციალურ და საგანმანათლებლო სერვისებს: ამჟამად მოქმედებს მინიმუმ 4%-იანი ზღვარი მაშინ, როდესაც შემცირებული 10%-იანი ზღვარი მოქმედებს სხვა სფეროებში, როგორცაა ტურისტული სერვისის შეთავაზება. იტალიაში დღგ 21%-ს შეადგენს.<sup>54</sup>

ლიტვაში გადასახადების საშეღავათო რეჟიმი დაკავშირებულია სოც. საწარმოების მიერ გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილებაზე. ლიტვის კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის კანონის მე-5 მუხლის თანახმად, სოციალური საწარმოები სარგებლობენ ნულოვანი საგადასახადო პირობებით, თუ ერთობლივად შესრულდება შემდეგი პირობები:

- საგადასახადო პერიოდის განმავლობაში, სოციალურად დაუცველი თანამშრომლების რაოდენობა არ უნდა იყოს 40%-ზე ნაკლები;
- საგადასახადო პერიოდის განმავლობაში, ორგანიზაციამ არ უნდა განახორციელოს საქმიანობა, რომელსაც არ გააჩნია მხარდაჭერა კანონის შესაბამისად ან ასეთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი არ უნდა აღემატებოდეს 20%-ს;
- საგადასახადო პერიოდის ბოლო დღეს, სუბიექტებს უნდა ჰქონდეთ სოციალური საწარმოების სტატუსი.

ცალკე საკითხია იმ ორგანიზაციებისა თუ ფიზიკური პირების წახალისება, რომლებიც სოც. საწარმოებში ახორციელებენ ინვესტირებას. მგავს წამახალისებელ მექანიზმს საქართველოს საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს საქველმოქმედო ორგანიზაციების შემთხვევაში: ერთობლივი შემოსავლიდან გამოიქვითება საწარმოს/მეწარმე ფიზიკური პირის მიერ საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული თანხა, აგრეთვე ერთობლივ შემოსავალში ასახული უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის (გარდა უძრავი ქონებისა)/გაწეული მომსახურების საბაზრო ფასი.<sup>55</sup>

საინტერესო მოდელი აქვს კანადის ერთ-ერთ რეგიონს, სადაც შექმნილია საგადასახადო წამახალისებელი მექანიზმი - ცოცხალი სამეზობლის საგადასახადო კრედიტი (Neighbourhood Alive! Tax Credit NATC). მისი მიზანია წახალისოს თემის ეკონომიკური განვითარება ახალი სოციალური საწარმოების შექმნით და დასაქმების შესაძლებლობის გაზრდით დაძლიოს უმუშევრობის პრობლემა მანიტობას მაცხოვრებლებს შორის.<sup>56</sup>

ეს ინიციატივა მხარს უჭერს კორპორაციებს საქველმოქმედო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით დააარსონ სოციალური საწარმოები და სთავაზობს 30 პროცენტთან საგადასახადო შეღავათს (corporate income tax). კორპორაციებს NATC ინიციატივის ფარგლებში

<sup>54</sup> იქვე.

<sup>55</sup> საგადასახადო კოდექსის 117-ე მუხლი

<sup>56</sup> სამაგიდე კვლევა საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური საწარმოების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ, გვ. 46

შეუძლიათ მიიღონ მაქსიმუმ \$15.000 სარგებელი, თუ წინა წელს კვალიფიციურ საქველმოქმედო ორგანიზაციაში განხორციელებული აქვთ მინიმუმ \$50.000 შემოწირულობა და არამატერიალურ მხარდაჭერას განაგრძობს მიმდინარე წელსაც, რათა დაეხმარონ საქველმოქმედო ორგანიზაციებს განავითარონ და მართონ ახალი სოციალური საწარმო.

საქართველოში სოც. საწარმოების საგადასახადო წამახალისებელი მექანიზმები მორგებული უნდა იყოს იმ მოდელზე, რომელსაც კანონმდებელი აირჩევს ასეთი ორგანიზაციების სტრუქტურისთვის. მაგ. თუ სოც. საწარმოს აუცილებელი მოთხოვნა შშმ პირების დასაქმება იქნება, მაშინ შესაძლებელია დაწესდეს განსხვავებული დაბეგვრის რეჟიმი, რომლებიც ამ მოწყვლად ჯგუფს შეესაბამება. თუ სოც. საწარმოს უფლება ექნება გაანაწილოს მოგება, მაშინ შესაძლოა დაწესდეს წახალისება რეინვესტირებულ მოგებაზე და ა.შ.

არჩეული მოდელის მიუხედავად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აუცილებელია დღეს არსებული საგადასახადო ბარიერების აღმოფხვრა და ასევე, იმ სუბიექტებისათვის წამახალისებელი მექანიზმების დაწესება, რომლებიც სოც. საწარმოებში ინვესტიციას განახორციელებენ.

### **გრანტის მიღებისა და დაბეგვრის ახლებური რეგულაცია სოც. საწარმოებისათვის**

საგადასახადო რეგულაციების მოდიფიკაციასთან მჭიდრო კავშირშია გრანტის მიღებისა და დაბეგვრის წესები. წინა ქვეთავებში აღწერილია ის პრობლემები, რომლებიც სოც. მეწარმებს ექმნებათ „გრანტების შესახებ საქართველოს კანონის“ მიერ დაწესებული შეზღუდვის გამო, რომელიც უკავშირდება გრანტის სამეწარმეო მიზნებით გაცემის აკრძალვას.

ამ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დახვეწის პარალელურად, მნიშვნელოვანია, სოციალურ საწარმოებს მიეცეს გრანტის სამეწარმეო მიზნებით მიღებისა და ხარჯვის შესაძლებლობა. ამისათვის აუცილებელია, ცვლილებები განხორციელდეს „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში და საგადასახადო კოდექსში.

ასე მაგალითად, „გრანტების შესახებ“ კანონში გრანტის მიმღებ სუბიექტთა წრეს შესაძლოა, დაემატოს სოციალური საწარმოები, ხოლო ჩანაწერი, რომელიც კრძალავს გრანტის სამეწარმეო მიზნებით გაცემას - გაუქმდეს ასეთი საწარმოების მიმართ.

საგადასახადო კოდექსით შესაძლებელია მოგების გადასახადისაგან გათავისუფლდეს სოციალური საწარმოების მიერ მიღებული გრანტები ან ასეთი შემოსავალი არ აისახოს ერთობლივ შემოსავალში.

### **წამახალისებელი მექანიზმების დადგენა სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობაში**

დოკუმენტის მზადების პროცესში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში სოციალური საწარმოები იშვიათად მონაწილეობენ და ამ გზით მიღებული შემოსავლები ძალიან მწირია. ამასთანავე, გამოიკვეთა სოც. საწარმოების

დამაბრკოლებელი გარემოებები თანაბარ პირობებში კონკურენცია გაუწიონ ბიზნეს სუბიექტებს.

აღნიშნული პრობლემა შეექმნა სოციალური ეკონომიკის ორგანიზაციებს სხვა ქვეყნებშიც. სწორედ ამიტომ, ამ სახელმწიფოებმა შეიმუშავეს წამახალისებელი მექანიზმები, რათა სოც. საწარმოებს გაუადვილდეთ სახელმწიფო ტენდერებში მონაწილეობა.

მაგალითად, **კანადის** ერთ-ერთ რეგიონში, ბრიტანეთის კოლუმბიაში სოციალური განვითარებისა და სოციალური ინოვაციების სამინისტრომ (SDSI) 2015 წელს შეიმუშავა შესყიდვის სახელმძღვანელო პრინციპები სოციალური ეფექტის გაუმჯობესებისათვის, რათა წახალისებინა სოციალური საწარმოების ან სოციალური გავლენის მქონე ორგანიზაციებისგან პროდუქტების და სერვისების შეძენა.

სამინისტრომ ახლებურად დაარეგულირა ორი ტიპის სოციალური გავლენის შესყიდვა:

- სოციალური საწარმოსგან ან სოციალური გავლენის მქონე ბიზნესისგან პროდუქტის ან სერვისის შეძენა;
- სატენდერო წინადადებაში სოციალური ღირებულების დანამატის გაკეთება.<sup>57</sup>

სამინისტრო სახელმძღვანელოში განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს შესყიდვა სოციალური ეფექტისთვის. მაგალითისათვის, ის განმარტავს, თუ როგორ შეიძლება გაკეთდეს სოციალური ღირებულების/ფასის ჩამატება სატენდერო წინადადებაში. იმ შემთხვევაში, როდესაც მცირე ზომის სოციალური საწარმოებს არ აქვთ დიდი ზომის შეკვეთების განხორციელების საშუალება, სამინისტრო ტენდერში მონაწილე კომპანიებს სთავაზობს თავიანთ წინადადებებში აღწერონ, როგორ უზრუნველყოფენ სოციალური საწარმოებისთვის სუბ-კონტრაქტირების შესაძლებლობას (subcontracting opportunities) და ზოგადად, როგორ გამოიწვევენ პოზიტიურ სოციალური გავლენას.<sup>58</sup> შესყიდვის პროცესის მონიტორინგი კი, სავალდებულოა, რათა მან სხვა სამთავრობო ორგანოებს აჩვენოს ამ პრაქტიკის განხორციელებადობა და ეფექტურობა.

**ლიტვის** სახელმწიფო შესყიდვების კანონის 91-ე მუხლის შესაბამისად, შესყიდვები სოციალური საწარმოებისგან შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული წესით.

გარდა ამისა, სახელისუფლებო ორგანოებმა გამარტივებული შესყიდვების დროს, შესყიდვების მთლიანი ღირებულების მინიმუმ 5% უნდა შეიძინონ სოციალური საწარმოებისგან (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სოციალური საწარმოების ჩათვლით). ეს აიოლებს სოციალური საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქტების და მომსახურებების გაყიდვას.

---

<sup>57</sup> სოციალური განვითარებისა და სოციალური ინოვაციის სამინისტრო, Social Impact Purchasing Guidelines, 2014, ბრიტანეთის კოლუმბია, გვ. 7, წყარო: <http://www2.gov.bc.ca/assets/gov/employment-business-and-economic-development/business-management/social-innovation/si-purchasing-guidelines.pdf>.

<sup>58</sup> იქვე.

**დიდ ბრიტანეთში** 2013 წელს ძალაში შევიდა საჯარო მომსახურების (სოციალური ღირებულების) აქტი (The Social Value Act). ის იმ ადამიანებისგან, რომლებიც უზრუნველყოფენ საჯარო სერვისების მიწოდებას, მოითხოვს იფიქრონ იმაზეც, თუ როგორ შეძლებენ უზრუნველყონ ფართო სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სარგებლის მიღება.

შესყიდვების პროცესის დაწყებამდე, კომისიის წევრებმა უნდა მოიფიქრონ რა სერვისს შეიძენენ და რა გზით გააკეთებენ ამას ისე, რომ ამ ყოველივემ ფართო სარგებლის მიღება უზრუნველყოს. ეს აქტი არის საშუალება, იმისათვის, რომ კომისიის წევრებმა ფასზე მეტი სარგებელი მიიღონ შესყიდვებიდან. გარდა ამისა, ის კომისიის წევრებს საშუალებას აძლევს გაესაუბრონ ადგილობრივი ბაზრის პროვაიდერებსა და თემის წარმომადგენლებს, უკეთესი მომსახურების შემუშავებაში და ახალი და ინოვაციური გადაწყვეტილებების მიღებაში რთული პრობლემების მოგვარების მიზნით.<sup>59</sup> კანონი სოციალური საწარმოებს ავალდებულებს, რომ თავიანთი სოციალური ზეგავლენის გამჭვირვალე დემონსტრირება მოახდინონ.<sup>60</sup> გარდა ამისა, მთავრობა სოციალური ღირებულების მიწოდების კარგი პრაქტიკის აღიარების მიზნით სოციალური ღირებულების ჯილდოს (Social Value Awards) გასცემს.

**იტალიაში** სოციალური კოოპერატივების შესახებ კანონის მიღების შემდეგ, კოოპერატივებს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ შესყიდვებში პრივილეგირებული პროვაიდერების სტატუსი მიენიჭათ. მანამ, სანამ ეს საკითხი გამოწვევის წინაშე იდგა, „B ტიპის“ სოციალური კოოპერატივებისთვის ევროკავშირთან შეთანხმების საფუძველზე დაუშვეს გამონაკლისი, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებებს 300.000 ევრომდე ღირებულების პირდაპირი კონტრაქტების გაფორმების უფლებას აძლევს.

საინტერესო მოდელი აქვს **პოლონეთს**, რომელიც შემსყიდველ ორგანიზაციას უფლებას აძლევს, შესყიდვების პროცესში, შესყიდვის პირობების განსაზღვრისას (მაგ. სატენდერო პირობების შედგენისას) დაადგინოს, რომ უპირატესობა მიენიჭება სოციალურ საწარმოებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში სოციალური მეწარმეობის მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღების პარალელურად, აუცილებელია, დადგინდეს გამონაკლისები სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში და დაწესდეს წამახალისებელი მექანიზმები სოციალური მეწარმეებისათვის.

ეს უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ სოც. საწარმოებს მიეცეთ შესაძლებლობა სახელმწიფო ტენდერებში მეწარმე სუბიექტებისთვის კონკურენციის გაწევა შეძლონ და ამასთანავე, სახელმწიფომ მიიღოს გაზრდილი სოციალური სარგებელი. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ის, რომ ასეთი წამახალისებელი მექანიზმები ქართულ სამართლებრივ

---

<sup>59</sup> <https://www.gov.uk/government/publications/social-value-act-information-and-resources/social-value-act-information-and-resources>

<sup>60</sup> Drencheva, Andreana & Stephan, Ute, სოციალური მეწარმეობის მდგომარეობა გაერთიანებულ სამეფოში, SEFORIS Country Report, 2014, გვ.6.

სივრცეს მოერგოს და არ გამოიწვიოს ბაზრის დამახინჯება და საბაზრო პირობების გამრუდება.

წამახალისებელი მექანიზმების დაწესება შესაძლოა, სხვადასხვა გზით განხორციელდეს. ასე მაგალითად, შესაძლოა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მესამე პრიმ პუნქტით განისაზღვროს, რომ კანონის მოქმედება არ ვრცელდება სოციალური საწარმოებისაგან საქონლის/მომსახურებს შესყიდვაზე გარკვეულ ღირებულებამდე. ალტერნატიულად, შესაძლოა, დაწესდეს, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს, სოციალური საწარმოს საქონელი/მომსახურება შეისყიდოს გამარტივებული შესყიდვის ფორმით, თუ მისი ღირებულება წლის განმავლობაში არ აჭარბებს გარკვეულ ოდენობას.

ასევე შესაძლებელია, დაწესდეს მოთხოვნა ტენდერების მონაწილეებისათვის, რომ აღწერონ სოციალური საწარმოების დაკონტრაქტების გეგმა ან პირდაპირ დაავალდებულონ ისინი, წინადადებებში გაითვალისწინონ ამგვარი შესაძლებლობა.

საქართველოს კანონმდებლობაში, პოლონეთის მსგავსად, ასევე შესაძლოა, შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს უფლება, უპირატესობა მიანიჭოს სოციალური საწარმოს სატენდერო წინადადებას ან იტალიის მსგავსად, მიენიჭოთ პრივილეგირებული პროვიდერის უფლებამოსილებები.

### **საწარმოო ფართის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

სოციალურ საწარმოთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ბევრი მათგანი მიუთითებს საწარმოო ფართის ხელმისაწვდომობის პრობლემაზე. ეს ძირითადად, მიემართება სახელმწიფოსგან/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისაგან ქონების უსასყიდლო სარგებლობაში მიღების პროცედურას.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122-ე მუხლის (მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის ფორმები და წესი) მე-5 პუნქტი ადგენს, რომ „პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობებით ან უპირობოდ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემა დასაშვებია არაუმეტეს 2 წლის ვადით”...

აღნიშნული ორწლიანი შეზღუდვა იწვევს პრობლემებს. კერძოდ, ბუნდოვანია, აქვს თუ არა, მუნიციპალიტეტს უფლება, ვადის ამოწურვის შემდეგ გააგრძელოს ხელშეკრულება იმავე იურიდიულ პირთან, ვისთვისაც გადაცემულია ქონება სარგებლობაში. ეს კი, სოციალურ მეწარმეებში იწვევს არასტაბილურობის განცდას.

აქედან გამომდინარე, საჭიროა, ცვლილებები განხორციელდეს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 122-ე მუხლში და დადგინდეს პროცედურა, რომლის

მიხედვითაც მოხდება მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულების განახლება ორწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ.

ამასთანავე, სასურველია ცენტრალურ დონეზე დაწესდეს წამახალისებელი მექანიზმები სოციალური საწარმოების მიერ საწარმოო ფართის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით. ასეთ მიდგომას ითვალისწინებს სხვადასხვა ქვეყნის კანონები. მაგალითად, ლიტვის რესპუბლიკის სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების მართვის, გამოყენების და განკარგვის შესახებ კანონის 13-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების შენობები შეიძლება დროებითი გამოყენებისა და განკარგვისთვის უფასოდ გადაეცეთ სოციალურ საწარმოებს. ხარჯები, რომლებსაც სოციალური საწარმოები დაზოგავენ შენობების უფასო გამოყენებისთვის, ითვლება რეალურ სახელმწიფო დახმარებად.<sup>61</sup>

#### **მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონის მოდიფიკაცია**

„მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „მეწარმე სუბიექტი, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსი, საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ვადითა და წესით თავისუფლდება გადასახადებისაგან.“

საქართველოს კანონმდებლობით, არასამეწარმეო იურიდიული პირები და სოციალური საწარმოები, რომლებიც ამ სამართლებრივი ფორმით არიან დაფუძნებული, არ განიხილებიან „მეწარმე სუბიექტებად“, შესაბამისად, ისინი ვერ სარგებლობენ „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით დაწესებული წამახალისებელი მექანიზმებით.

საჭიროა, მოხდეს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ადვოკატირება, იმ მიზნით, რომ არასამეწარმეო იურიდიულ პირებს, მეწარმე სუბიექტების მსგავსად, მიეცეთ შესაძლებლობა, ისარგებლონ ზემოთ აღნიშნული შეღავათით.

#### **4.2. სახელმწიფო პოლიტიკა, სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებით**

##### **სექტორის განვითარების ზოგადი სახელმწიფო სტრატეგია**

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში არც ცენტრალურ და არც ადგილობრივ დონეზე არ არსებობს ერთიანი სტრატეგია, რომელიც სოციალური მეწარმეობის ხელშეწყობისა და განვითარების პოლიტიკას განსაზღვრავდა. საჯარო პოლიტიკის დოკუმენტებში (მაგ. მცხეთა-

---

<sup>61</sup> სამაგიდე კვლევა საერთაშორისო გამოცდილება სახელმწიფოს მხრიდან სოციალური საწარმოების განვითარების მხარდამჭერი მექანიზმების შესახებ, გვ. 75

მთიანეთის განვითარების სტრატეგია) ფრაგმენტული ხასიათის ჩანაწერები და რამდენიმე მუნიციპალური პროგრამის არსებობა არ პასუხობს საქართველოში სექტორის განვითარების არსებულ რეალობას და არ ითვალისწინებს ამ სფეროს მრავალმხრივ პოტენციალს, შექმნას სოციალური და ეკონომიკური სარგებელი.

საზღვარგარეთის ქვეყნებში, იქ, სადაც სოციალური მეწარმეობა მეტ-ნაკლებად განვითარებულია, ცენტრალურ ან/და ადგილობრივ დონეზე გვხვდება მრავალმხრივი სტრატეგიები, რომლებიც ამ სექტორის მხარდაჭერას უზრუნველყოფს. მნიშვნელოვანია ის მიმართულებები, რომლებიც ასეთ სტრატეგიებში აისახება:

მაგალითად, ლიტვაში მთავრობის მიერ 2015 წელს დამტკიცებულ სოციალური საწარმოების კონცეფციას, აქვს სამი ძირითადი მიზანი:<sup>62</sup>

- შეიქმნას ხელსაყრელი სამართლებრივი გარემო სოციალური მეწარმეობისთვის;
- შეიქმნას ხელსაყრელი ფინანსური და საგადასახადო მხარდაჭერი სისტემა;
- მიღწეულ იქნას სოც. მეწარმეობის ცნობადობა საზოგადოებაში.

**ლიტვის** კონცეფცია, მათ შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მხარდაჭერის პროგრამებისა და სიახლეების დამკვიდრებას, რომლის ფარგლებშიც ხელი შეეწყობა სოციალური საწარმოების შექმნას და განვითარდება სოციალური ინოვაციები. ასეთი სტრატეგია პოლიტიკურ დონეზე წარმოადგენს სოციალური მეწარმეობის მნიშვნელობის აღიარებას და დგამს პირველ ნაბიჯებს შემდგომი განვითარებისთვის, როგორც პოლიტიკურ, ასევე სამართლებრივ დონეზე.<sup>63</sup>

ცენტრალური ხელისუფლების მიერ არის მიღებული **პოლონეთის სოციალური ეკონომიკის განვითარების ეროვნული პროგრამა**.<sup>64</sup> მისი მიზანი არის ის, რომ სოციალური საწარმოები

---

<sup>62</sup> ლიტვის ეკონომიკის სამინისტრო, *სოციალური მეწარმეობის კონცეფცია 2015*. წყარო: [http://www.ukmin.lt/uploads/documents/Verslo%20aplinka/Smulkus%20verslas/Socialinio\\_verslo\\_koncepcija\\_2015\\_%C4%AFsakymas.pdf](http://www.ukmin.lt/uploads/documents/Verslo%20aplinka/Smulkus%20verslas/Socialinio_verslo_koncepcija_2015_%C4%AFsakymas.pdf).

<sup>63</sup> Greblikaite, Jolita, მეწარმეობის განვითარება ლიტვაში: სოციალური მეწარმეები, მეწარმეობა და ფირმების შესრულების ხარისხი. New York: Nova Science Publisher's, 2016, გვ. 6, წყარო: [https://www.researchgate.net/publication/283910505\\_Greblikaite\\_J\\_Development\\_of\\_Entrepreneurship\\_in\\_Lithuania\\_Becoming\\_Social\\_Entrepreneurs\\_Entrepreneurship\\_and\\_Firm\\_Performance\\_New\\_York\\_Nova\\_Science\\_Publisher's\\_2016\\_ISBN\\_9781634843232](https://www.researchgate.net/publication/283910505_Greblikaite_J_Development_of_Entrepreneurship_in_Lithuania_Becoming_Social_Entrepreneurs_Entrepreneurship_and_Firm_Performance_New_York_Nova_Science_Publisher's_2016_ISBN_9781634843232).

<sup>64</sup> მიღებულ იქნა მინისტრთა საბჭოს მიერ, 2014 წლის აგვისტოში.



გახდნენ უფრო მდგრადი და თვალსაჩინო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხში, ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე.<sup>65</sup>

პოლონეთს, ასევე შემუშავებული აქვს ცენტრალური პროგრამა (PO WER) 2014-2020 წლებისთვის, რომელიც ევროპულ სტრუქტურულ ფონდებს უკავშირდება. იგი მოიცავს აქტივობების ფართო სპექტრს, რათა ხელი შეუწყოს სოციალურ ეკონომიკას:

- სექტორის განვითარების მონიტორინგი და მისი ეფექტურობის შეფასება;
- მომსახურების სტანდარტების შემუშავება, განხორციელება და მონიტორინგი;
- კანონმდებლობის დახვეწა, რათა შეიქმნას ხელსაყრელი გარემო სოციალური ეკონომიკის განვითარებისთვის;
- სოციალური ეკონომიკის წარმომადგენლებისა და სოციალური საწარმოების შეთავაზებული მომსახურებების სერტიფიცირება;
- რეგიონულ დონეზე სოციალური ეკონომიკისა და მეწარმეობის ხელშეწყობა;
- ცოდნის დაგროვებისა და გაზიარების წახალისება;
- სოციალური ეკონომიკის წარმომადგენლების და სოციალური საწარმოების ქსელის შექმნა;
- თანამშრომლობის ინიცირება სოციალურ საწარმოებსა და ადგილობრივ/რეგიონულ ხელისუფლებებს, ბიზნესის წარმომადგენლებს, აკადემიურ ცენტრებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის;
- ფინანსური ინსტრუმენტების (სესხები და გარანტიები) განახლება.<sup>66</sup>

**კანადაში** სოც. მეწარმეობის განვითარების სტრატეგიები გვხვდება რეგიონულ დონეზე. მაგალითად, ონტარიოს სოციალური საწარმოების სტრატეგია 2016-2021<sup>67</sup> განსაზღვრავს პროვინციალური მთავრობის პრიორიტეტებს სამ მთავარ მიმართულებაში:

- სოც. საწარმოების გაძლიერება ბიზნესის ძირითადი პრინციპებით. მყარი საფუძვლის შექმნა, რათა ისინი საზოგადოებას ემსახურონ;
- სოც. საწარმოების ბაზართან და კაპიტალთან დაკავშირება განვითარებისა და ზრდისათვის. ახალი ბაზრების და კაპიტალის მოძიების ხელშეწყობა პოტენციალის მაქსიმიზებისთვის;
- სოციალური საწარმოს ღირებულების და სოციალური ფინანსების დემონსტრირება. ინვესტორებისთვის, მთავრობისა და საზოგადოებისთვის მათი პოტენციალის ჩვენება.

ზემოთ მოყვანილი სტრატეგიების მიმართულებები და მიზნები ცხადყოფს, რომ ასეთი დოკუმენტების მორგება ხდება ქვეყანაში თუ ადგილობრივ დონეზე სოც. მეწარმეობის

<sup>65</sup> Klimczuk, Andrzej, SIE Country Summary, Poland, March 2015, გვ. 3, წყარო: [http://www.siceurope.eu/sites/default/files/uploads/documents/Andrzej%20Klimczuk\\_Poland%20SIE%20Country%20Summary%20ENGLISH.pdf](http://www.siceurope.eu/sites/default/files/uploads/documents/Andrzej%20Klimczuk_Poland%20SIE%20Country%20Summary%20ENGLISH.pdf).

<sup>66</sup> სოციალურ საწარმოთა რუკა და მათი ეკო-სისტემები ევროპაში, ქვეყნის ანგარიში: პოლონეთი, 2014, გვ. 8-10.

<sup>67</sup> <https://www.ontario.ca/page/ontarios-social-enterprise-strategy-2016-2021>

განვითარების მდგომარეობასა და არსებულ გამოწვევებზე. მაგალითად, ლიტვაში სოციალური მეწარმეობის ფენომენი შედარებით ახალია და სტრატეგიაც აქცენტს აკეთებს სამართლებრივი გარემოს განვითარებაზე, სოც. მეწარმეთა უნარ-ჩვევების გაზრდასა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებაზე.

საქართველოში სოც. მეწარმეობის სტრატეგიაზე საუბრისას, პირველ ყოვლისა, უნდა გადაწყდეს სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობების ხედვა იმის შესახებ, თუ რომელია ის პრიორიტეტული სფეროები, სადაც სოც. მეწარმეებს შეუძლიათ სახელმწიფო სექტორსა და ბიზნეს ორგანიზაციებზე ეფექტური როლი ითამაშონ. სახელმწიფოს შეუძლია მნიშვნელოვანი საბიუჯეტო სახსრები დაზოგოს სოციალური მეწარმეობის განვითარებით და შეამციროს სოციალური ხარჯები, რომლებიც წლიდან წლამდე იზრდება და სოციალური დახმარებებისა თუ სხვა ერთჯერადი განაცემების ფორმით გაიცემა. სოციალურ საწარმოებს შესწევთ უნარი, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები, წახალისონ შემოქმედებითობა, მოახდინონ მოწყვლადი ჯგუფების ინტეგრირება შრომის ბაზარზე და ა.შ. სახელმწიფომ/ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გააცნობიეროს ის სარგებელი, რომელიც სოციალური მეწარმეობის განვითარებამ შესაძლოა, ქვეყანას მოუტანოს და შესაბამისი სფეროების მიხედვით ასახოს ეს მხარდამჭერ სტრატეგიაში.

საქართველოში ამ დარგის ხელშეწყობისათვის, პირველ ყოვლისა, უნდა შეიქმნას სოც. მეწარმეობის განვითარების ცენტრალიზებული ხედვა და შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად, უზრუნველყოფილი იყოს სოც. საწარმოთა მხარდაჭერის მექანიზმები. ამის შემდგომ, შესაძლებელი იქნება სფეროს განვითარების სტრატეგიების შექმნა ადგილობრივ დონეზეც, მუნიციპალიტეტებში არსებული სოციალური თუ ეკონომიკური გამოწვევების გათვალისწინებით.

სახელმწიფო სტრატეგიამ უნდა მოიცვას სამართლებრივი და სამოქმედო გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებები, ისევე, როგორც ხედვა თუ რომელია ის სფეროები, რომლებშიც სოციალური საწარმოები სახელმწიფო და ბიზნეს სექტორზე უკეთ აღმოფხვრის პრობლემებს. ასეთი სფეროები შეიძლება, მაგალითად, იყოს სოციალური სერვისები, შშმ პირთა დასაქმება, მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერა და მრავალი სხვა.

სტრატეგიაში, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს მექანიზმები, რომლებიც სოციალურ მეწარმეებს გაუადვილებს წვდომას ფინანსებზე. იქნება ეს სტარტაპების დაფინანსება, იაფი კრედიტი, სახელმწიფო გრანტები თუ სხვა სახის მიზნობრივი დაფინანსება. აუცილებელია სოც. საწარმოთა დაბეგვრისა და მათი საგადასახადო რეჟიმების შესახებ მკაფიო ხედვის ჩამოყალიბებაც.

სოციალური მეწარმეობის განვითარების სტრატეგიამ, ასევე შეიძლება გაითვალისწინოს საჯარო და კერძო სექტორებთან თანამშრომლობის განვითარების, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და მეწარმეთა უნარ-ჩვევების განვითარების ღონისძიებები.

ზემოთ მოყვანილი მაგალითების მსგავსად, სტრატეგიამ, აგრეთვე შეიძლება მოიცვას სექტორის შეფასების, მონიტორინგისა და ქსელური თანამშრომლობის განვითარების ღონისძიებები.

სახელმწიფო სტრატეგია აუცილებლად უნდა მოიცავდეს საჯარო მმართველობის ყველა სფეროს და სასურველია, მის შექმნაში ჩართული იყოს ყველა რელევანტური უწყება. ასე მაგალითად, თუ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსათვის სოციალური მეწარმეობა განიხილება, როგორც მსჯავდებულთა რესოციალიზაციისა და დანაშაულის რეციდივის პრევენციის მექანიზმად, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის, სოციალური მეწარმეობა შეიძლება იყოს კარგი ბერკეტი უმუშევრობის დაძლევისათვის, შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციისათვის, მოწყვლადი ფენების გაძლიერებისათვის და ა.შ.

აუცილებელია, სტრატეგიის შემუშავების პროცესი ღია და გამჭვირვალე იყოს. სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია ბიზნეს სექტორის ჩართვა, რადგან ბიზნეს ორგანიზაციებსა და სოციალურ მეწარმეებს შორის თანამშრომლობა, ერთი მხრივ, ქმნის გარანტიას სოციალური მეწარმეობის განვითარებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვანი სარგებელი შეუძლია მოუტანოს მხარეებს.

### **პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებების განსაზღვრა**

კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში არ არსებობს არც ერთი სამთავრობო სტრუქტურა, რომელიც სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის პოლიტიკის შემუშავებაზე და განხორციელებაზე იქნებოდა პასუხისმგებელი. ცალკეული სამინისტროები, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ პროექტებს, რომელთა მიზანი სხვადასხვა დარგობრივი პრობლემის გადაწყვეტაა და ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ მექანიზმად სოციალურ მეწარმეობას განიხილავენ. თუმცა, ამ პროექტების მასშტაბები მეტად მცირეა, აქვთ უმნიშვნელო ბიუჯეტი და რაც მთავარია, არ მოიცავს კომპლექსურ ხედვას სოციალური მეწარმეობის გასაავითარებლად.

სოციალური მეწარმეობის მარეგულირებელი კანონმდებლობის განხილვისას, ასევე გამოიკვეთა, რომ საჭიროა, დადგინდეს სოციალური საწარმოს კრიტერიუმები და განისაზღვროს ორგანო, რომელიც ამ კრიტერიუმების შესრულებაზე განახორციელებს ზედამხედველობას.

პასუხისმგებელი სტრუქტურის განსაზღვრა, რა თქმა უნდა, დამოკიდებული იქნება სოციალური მეწარმეობის რეგულირების მოდელზე. თუმცა, საერთაშორისო პრაქტიკის კვლევიდან შესაძლოა, ითქვას, რომ პასუხისმგებელი ორგანოების სისტემის მოდელები, ასევე დამოკიდებულია ქვეყანაში სოც. მეწარმეობის განვითარების ხარისხზე და ქვეყნის ადმინისტრაციულ, ტერიტორიულ და ეკონომიკურ მოწყობაზე. ზოგიერთ ქვეყანაში სოციალური მეწარმეობის დარგზე, ძირითადად, ერთი სახელმწიფო სტრუქტურაა პასუხისმგებელი, ზოგში კი, ეს ფუნქციები განაწილებულია სხვადასხვა უწყებებს შორის. არის პრეცედენტები, რომლის მიხედვითაც ცენტრალური უწყებების პარალელურად, იქმნება პასუხისმგებელი სტრუქტურები რეგიონულ დონეზე (მაგ. პოლონეთი), ასევე საინტერესოა სახელმწიფო და კერძო სექტორის თანამშრომლობით ერთობლივად დაარსებული სტრუქტურები:

**ლიტვაში** სოციალური საწარმოების მხარდაჭერაზე პასუხისმგებელია რამდენიმე უწყება: შრომის და სოციალური დაცვის სამინისტრო (ემსახურება სოციალური ინკლუზიის მხარდაჭერის, უმუშევრობის პრობლემის გადაჭრას ახალგაზრდებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების და სხვა მიზნობრივი ჯგუფების შრომითი ინტეგრაციას, სოციალური მომსახურებების მოდერნიზებას), ეკონომიკის სამინისტრო (მეწარმეობის და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის პროცესისთვის ხელის შეწყობისათვის), სოფლის მეურნეობის სამინისტრო (სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერისთვის სასოფლო თემებში) და შინაგან საქმეთა სამინისტრო (სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა ურბანულ თემებში).<sup>68</sup>

ლიტვის მსგავსად არის გადაწყვეტილებითი პასუხისმგებელი უწყების საკითხი **სლოვენიაშიც**, სადაც შრომის, ოჯახის, სოციალური საკითხების და თანაბარი შესაძლებლობების სამინისტრო პასუხისმგებელია სოციალური მეწარმეობის შესახებ კანონის განხორციელების ზედამხედველობაზე და სოციალური საწარმოების რეგისტრაციაზე; <sup>69</sup> სლოვენის ეკონომიკური განვითარების და ტექნოლოგიის სამინისტრო ახორციელებს სოც. საწარმოთა საქმიანობის კოორდინირებას - ის უფრო აქცენტს აკეთებს მეწარმეობაზე, ვიდრე სოციალურ ინოვაციებზე და ინკლუზიაზე.<sup>70</sup>

ლიტვისგან განსხვავებით, სლოვენიაში არსებობს სოციალური მეწარმეობის საბჭო,<sup>71</sup> რომელიც შედგება ყველა სამინისტროს წარმომადგენლებისგან, სოციალური საწარმოების ორი და სოციალური პარტნიორობის ერთი წარმომადგენლისგან და ერთი ექსპერტისგან. ეს საბჭო პასუხისმგებელია პოლიტიკის შემუშავებაზე - მან მოამზადა სოციალური მეწარმეობის განვითარების 2013-2016 წლების სტრატეგია.<sup>72</sup>

**პოლონეთში** ცენტრალურ სამინისტროებთან ერთად, შექმნილია სოციალური ეკონომიკის ეროვნული ცენტრი და სოც. საწარმოთა რეგიონული ქოლგა ორგანიზაციები:

ოჯახის, შრომის და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს საზოგადოებრივი სარგებლის დეპარტამენტი<sup>73</sup> პასუხისმგებელია სოციალური ეკონომიკის პოლიტიკის შემუშავებასა და

---

<sup>68</sup> ბალტიის ზღვის რეგიონის სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის ქსელი, სოციალურ საწარმოთა სექტორის სურათი ბალტიის ზღვის ირგვლივ: დაინტერესებული მხარეები, განათლება, ზეგავლენის ანალიზი, გვ. 53, წყარო: <http://kooperationen.dk/media/114998/social-enterprise-sector-snapshot-around-the-baltic-sea-stakeholders-education-impact-analysis.pdf>

<sup>69</sup> ევროპის კომისია, სოციალურ საწარმოთა რუკა და მათი ეკო-სისტემები ევროპაში, ქვეყნის ანგარიში: სლოვენია, 2014, გვ. 4.

<sup>70</sup> Šporar, Primož & Strojjan, Kristjan, Innovative Social Services Ltd (Brez Dobička), Social Innovation in Slovenia, გვ. 1, წყარო: [https://webgate.ec.europa.eu/socialinnovationeurope/sites/default/files/sites/default/files/social\\_innovation\\_in\\_slovenia\\_2015.pdf](https://webgate.ec.europa.eu/socialinnovationeurope/sites/default/files/sites/default/files/social_innovation_in_slovenia_2015.pdf)

<sup>71</sup> [http://www.mgrt.gov.si/si/delovna\\_podrocja/socialno\\_podjetnistvo/svet\\_soc\\_p/](http://www.mgrt.gov.si/si/delovna_podrocja/socialno_podjetnistvo/svet_soc_p/)

<sup>72</sup> ევროპის კომისია, სოციალურ საწარმოთა რუკა და მათი ეკო-სისტემები ევროპაში, ქვეყნის ანგარიში: სლოვენია, 2014, გვ. 4.

<sup>73</sup> <http://www.mpips.gov.pl>

განხორციელებაზე, მხარდაჭერის ინსტრუმენტების, კრიტერიუმებისა და ინფრასტრუქტურის შექმნაზე.<sup>74</sup>

სლოვენის მსგავსად, პოლონეთში არსებობს სოციალურ ეკონომიკაზე პასუხისმგებელი უწყებათაშორისი სტრუქტურა - სისტემური გადაწყვეტილებების საბჭო სოციალური ეკონომიკის სფეროში. საბჭოს თავმჯდომარე არის ოჯახის, შრომის და სოციალური პოლიტიკის მინისტრი და ის შედგება შესაბამისი სამინისტროების, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სოციალური ეკონომიკის სექტორის წარმომადგენლებისგან.<sup>75</sup> ეს არის საჯარო ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია სოციალური საწარმოების ფინანსურ და არაფინანსურ მხარდაჭერაზე. გარდა ამისა, ეს არის სათათბირო ორგანო, რომელიც ქმნის ყველაზე მნიშვნელოვან სამართლებრივ დოკუმენტებს სოციალური ეკონომიკის სფეროში.

რაც შეეხება რეგიონულ დონეს, აქ შექმნილია სოციალური ეკონომიკის მხარდაჭერის ცენტრები (Social Economy Support Centres OWES). OWES არის ქოლგა დაწესებულებები, რომლებიც სოციალურ ბიზნესებს სთავაზობენ სხვადასხვა მომსახურებას და განვითარების შესაძლებლობებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, OWES ექვემდებარება აკრედიტაციას. OWES სოც. საწარმოებს სთავაზობს შემდეგ მომსახურებებს:

- კონსულტაცია - საბაზისო და სპეციალური (მარკეტინგი, ბიზნეს გეგმა, ტრენინგი);
- სასწავლო კურსები;
- ფინანსური მხარდაჭერა სტარტაპებისთვის;
- სოციალური ეკონომიკის ლობირება ადგილობრივ ხელისუფლებებში;
- ქსელის განვითარება (Networking).

სოციალური ეკონომიკის ეროვნული ცენტრი (National Centre for Social Economy KCES)<sup>76</sup> დაარსდა ოჯახის, შრომის და სოციალური პოლიტიკის სამინისტროს საზოგადოებრივი სარგებლის დეპარტამენტის მიერ და კოორდინაციას უწევს სოციალური ეკონომიკის ხუთ ცენტრს, თითოეულს მაკრო-რეგიონში.

**კანადაში**, როგორც აღინიშნა, სოციალური მეწარმეობის მხარდამჭერი სიტემები პროვინციულ (რეგიონულ) დონეზე იქმნება. ონტარიოსა და ტორონტოს პროვინციებს ამ მხრივ, აქვთ ძალიან ინოვაციური მიდგომა:

ონტარიოში ეკონომიკური ზრდის და განვითარების სამინისტროს პარალელურად (პასუხისმგებელია სოციალური მეწარმეობისა და მისი განხორციელების საჯარო პოლიტიკაზე) მოქმედებს სოციალური საწარმოების ოფისი (**Office for Social Enterprise- OSE**). იგი შექმნა 2012 წელს ონტარიოს მთავრობის მიერ. ოფისი ონტარიოს მთავრობას ეხმარება

<sup>74</sup> ევროპის კომისია, სოციალურ საწარმოთა რუკა და მათი ეკო-სისტემები ევროპაში, ქვეყნის ანგარიში: პოლონეთი, 2014, გვ. 4.

<sup>75</sup> ევროპის კომისია, სოციალურ საწარმოთა რუკა და მათი ეკო-სისტემები ევროპაში, ქვეყნის ანგარიში: პოლონეთი, 2014, გვ. 4.

<sup>76</sup> <http://www.kces.pozYTEK.gov.pl/>

სოციალური მეწარმეობის საკითხებზე კოორდინაცია გაუწიონ სხვადასხვა ღონისძიებას, პროვინციულ სამინისტროებთან და სააგენტოებთან. OSE ასევე ხელმძღვანელობს სხვადასხვა პროგრამის შექმნასა და განხორციელებას, რათა მხარი დაუჭიროს ონტარიოს სოციალურ მეწარმეებს, რომლებიც იწყებენ ან ზრდიან თავიანთ სარისკო კაპიტალს.<sup>77</sup>

OSE-ის საქმიანობა მიმართულია იმისკენ, რომ მთავრობას მიაწოდოს სრული ინფორმაცია სოციალურ საწარმოებზე, დაარეგულიროს არსებული შესაძლებლობები, რათა უპასუხოს სოციალური მეწარმეების საჭიროებებს და გამოკვეთოს მთავრობის ის შესაძლო როლი, რომელიც უპასუხებს და აღმოფხვრის არსებულ გამოწვევებს.<sup>78</sup>

ონტარიოში ასევე მოქმედებს სპეციალური მრჩეველის ინსტიტუტი (**Special Advisor**). ამჟამად, ჰელენ ბერთინი, OSE-სთან მჭიდრო თანამშრომლობით მუშაობს სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერის საკითხებზე.

რაც შეეხება ტორონტოს, აქ შექმნილი ტორონტოს მეწარმეობის ფონდი (Toronto Enterprise Fund)<sup>79</sup> არის უწყებათაშორისი დამოუკიდებელი სტრუქტურის კარგი მაგალითი. იგი არის ამხანაგობა, რომელშიც შედიან:

- გაერთიანებული გზა ტორონტო (United Way Toronto);
- ქალაქ ტორონტოს თვითმმართველობა (City of Toronto);
- ონტარიოს თემის სოციალური სერვისების სამინისტრო (Ontario Ministry of Community & Social Services);
- მიუსაფრებზე ზრუნვის სტრატეგია (*Homelessness Partnering Strategy*, ფედერალური მთავრობის პროგრამა, რომელსაც კოორდინაციას უწევს ქ. ტორონტოს თვითმმართველობა).

TEF დაარსდა 2000 წელს, რათა მხარი დაეჭირა სოციალური საწარმოებისთვის, რომლებიც უზრუნველყოფდნენ მოწყვლადი მოსახლეობის ტრანზიტულ ან სტაბილურ დასაქმებას, ან დასაქმებაზე ორიენტირებულ ტრენინგებს.<sup>80</sup>

ზემოთ მოყვანილი მაგალითები შესაძლოა, გამოსადეგი იყოს საქართველოში სოც. მეწარმეობის მხარდამჭერის სისტემის ფორმირების პროცესში. მაგალითად, ლიტვის, სლოვენის ან პოლონეთის მოდელები შესაძლოა, უფრო იოლად იქნეს ინტეგრირებული საქართველოს მმართველობით სისტემაში, ვიდრე კანადის. თუმცა, კანადის რეგიონების მიერ შექმნილი სპეციალური მრჩეველის ინსტიტუტი და საჯარო და კერძო სექტორის

<sup>77</sup> <http://seontario.org/home/about-social-enterprise-ontario/government-of-ontario-support-for-social-enterprise/>

<sup>78</sup> <http://seontario.org/social-enterprise-in-ontario/>

<sup>79</sup> <http://www.torontoenterprisefund.ca>

<sup>80</sup> <http://www.torontoenterprisefund.ca/about-tef/what-is-the-toronto-enterprise-fund>

თანამშრომლობითი დამოუკიდებელი სტრუქტურები, შესაძლოა, კარგი მაგალითი იყოს სოც. მეწარმეობის მხარდაჭერისთვის.

პირველ ეტაპზე საქართველოში აუცილებელია, განისაზღვროს სამთავრობო უწყება, რომელიც სოციალური მეწარმეობის სფეროს განვითარებაზე იქნება პასუხისმგებელი. იგივე უწყებამ შესაძლოა, განახორციელოს ზედამხედველობა სოციალურ მეწარმეებზე - შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მიანიჭოს სოციალური საწარმოს სტატუსი ან მოახდინოს მისი რეგისტრაცია, განახორციელოს სოციალური საწარმოების პერიოდული კონტროლი და ა.შ. ცალკე საკითხია, უნდა უზრუნველყოს, თუ არა, იგივე სტრუქტურამ სოციალური მეწარმეების წვდომა სახელმწიფო დაფინანსებაზე, იაფ კრედიტზე და ა.შ.

რაც შეეხება სტრატეგიის შემუშავებას, საქართველოში არსებული რეალობა ცხადყოფს, რომ სხვადასხვა სამინისტრო სოციალურ მეწარმეობას განიხილავს სხვადასხვა საზოგადოებრივი პრობლემის გადაწყვეტის საშუალებად. ამიტომ, ბუნებრივია, თითოეულ მათგანს აქვს სოციალური მეწარმეობის სფეროს მიმართ სხვადასხვა პერსპექტივა და ლეგიტიმური ინტერესი. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება თუ საქართველოში, სლოვენისა და პოლონეთის მსგავსად, ცენტრალურ დონეზე შეიქმნება უწყებათაშორისი საბჭო, რომელიც სოციალური ეკონომიკის დარგის პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებასა და ზედამხედველობაზე იქნება პასუხისმგებელი. სლოვენისა და პოლონეთის მაგალითები ცხადყოფს, რომ საბჭო დაკომპლექტებული უნდა იყოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებათა წარმომადგენლებისაგან, სოციალური მეწარმეების დელეგატებისა და სფეროს ექსპერტებისაგან.

მიდგომა, რომლის მიხედვითაც თითოეულ სამინისტროს, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შეუძლია სოციალური მეწარმეობა გამოიყენოს დარგობრივი პრობლემის გადაჭრის მეთოდად - უნდა შენარჩუნდეს. ამ მხრივ, კარგი პრეცედენტები აქვს შექმნილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სასაჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს, თბილისის, ქუთაისისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებს. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური მეწარმეობის სახელმწიფო სტრატეგიასთან ერთად, აუცილებელი იქნება თითოეულმა სამინისტრომ, თუ მუნიციპალიტეტმა შეიმუშავოს საკუთარი სტრატეგია სოციალური მეწარმეობის სფეროსთან მიმართებით.

რაც შეეხება სოც. მეწარმეობის მხარდამჭერ რეგიონალურ ცენტრებს, სადაც სოც. მეწარმეებისათვის ხელმისაწვდომი იქნება კონსულტაციები, ტრენინგები და ფინანსური მხარდაჭერა, ასეთ სტრუქტურად შესაძლოა, მოაზრებულ იქნას პროგრამის „წარმოე საქართველოში“ რეგიონული ცენტრები, რომლებიც იგივე ფუნქციებს ახორციელებენ მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად. არსებული ცენტრების ფუნქციონირების ცალკე მიმართულებად შესაძლოა, გამოიყოს სოციალური მეწარმეობა.

კანადის მაგალითებიც საკმაოდ საინტერესოა სოც. მეწარმეობის მხარდაჭერის სტრუქტურებთან მიმართებაში. მაგალითად, სოციალური მეწარმეობის დარგში სპეციალური მრჩევლის თანამდებობის დამკვირდება საქართველოს სახელისუფლების სტრუქტურაში

ძალიან ხელსაყრელი იქნება. ასე მაგალითად, სპეციალური მრჩეველი შესაძლოა დაინიშნოს საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში ან/და ასეთი მრჩეველები შესაძლოა დაინიშნონ შესაბამისმა მინისტრებმა.

რაც შეეხება ისეთ ინსტიტუტებს, როგორც მაგალითად, კანადაში ტორონტოს მეწარმეობის ფონდია, რომელიც სხვადასხვა პროვინციის სტრუქტურებისა და პროგრამების წარმომადგენლებს და დამოუკიდებელ იურიდიულ პირებს აერთიანებს, ის საკმაოდ კარგი პრაქტიკაა სხვადასხვა სექტორს შორის თანამშრომლობისა და დამოუკიდებელი სტრუქტურების ერთობლივი ძალისხმევით, წვლილი შეიტანონ დარგის განვითარებაში. თუმცა, ასეთი სტრუქტურები, ისევე, როგორც სპეციალური ეროვნული ცენტრის ან ცენტრალური ფონდის შექმნა სოც. მეწარმეობის მხარდაჭერისათვის, საქართველოს რეალობაში ამ ეტაპზე ნაადრევია დარგის განვითარების ხარისხის გათვალისწინებით. ასეთი სტრუქტურების შექმნა სასურველია მას შემდეგ, რაც მოწესრიგდება კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკითხები და განხორციელდება სოც. მეწარმეობის ეროვნული სტრატეგიის მინიმუმ, ერთი ფაზა.

მხარდამჭერი სტრუქტურების ფორმირების პროცესში, ასევე აუცილებელია კერძო სექტორის როლის გათვალისწინება. კერძო სექტორის ჩართულობა გადამწყვეტია სოციალური ეკონომიკის წარმატებისა და სოც. საწარმოთა ფინანსური მდგრადობისათვის. სახელმწიფო, ბიზნეს სექტორისა და სოციალურ საწარმოთა თანამშრომლობას შეუძლია სარგებელი მოუტანოს ყველა მხარეს.

სტრუქტურულ საკითხებს უკავშირდება, ასევე სტატისტიკის წარმოებისა და სექტორის შეფასების ინდიკატორების არარსებობის პრობლემები. ამის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია, სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა დაიწყოს სოციალურ მეწარმეობასთან დაკავშირებული მონაცემების პერმანენტული შეგროვება და დამუშავება.

სახელმწიფო სტრუქტურების განსაზღვრასთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვანია სოციალურ მეწარმეთა ასოციაციებისა და კლასტერების განვითარება. სოციალურ მეწარმეებს შორის გამოცდილების გაზიარებასა და საერთო პროექტების განხორციელებას შეუძლია მნიშვნელოვნად გაზარდოს მათი საქმიანობის ეფექტი და ბიძგი მისცეს უფრო სწრაფ განვითარებას. ახლად დაარსებული სოციალურ მეწარმეთა ალიანსი უკვე აერთიანებს სოც. მეწარმეებს სხვადასხვა რეგიონიდან. ალიანსის გაძლიერებას მნიშვნელოვანი როლი აკისრია სექტორში თანამშრომლობის წახალისებისათვის.

#### **4.3. სექტორის განვითარება-გაძლიერებისა და ხელშეწყობის სხვა მექანიზმები**

კვლევაში ნახსენები ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინებით, კარგი იქნება თუ სახელმწიფო და კერძო სექტორი გააერთიანებს ძალებს და სექტორის ხელშესაწყობად და გასაძლიერებლად გამოიყენებს შემდეგ მექანიზმებს: სუბსიდიები, კრედიტები, ტრენინგები, საერთაშორისო თანამშრომლობა და გამოცდილების გაძლიერება, სექტორის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები.



### 4.3.1. სუბსიდიები

კანადაში, კვებეკის პროვინციაში მოქმედების ხელფასის სუბსიდირების პროგრამა, (Wage Subsidy Program),<sup>81</sup> რომელიც სთავაზობს ფინანსურ დახმარებას იმ დამსაქმებლებს, რომლებსაც შეუძლიათ დასაქმების ბარიერის მქონე პირების დასაქმება. სუბსიდია ნაწილობრივ მოიცავს ხელფასს, ცალკეულ შემთხვევაში ის შეიძლება ნაწილობრივ ფარავდეს ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია დასაქმების ტრენინგთან ან ზედამხედველობასთან (მაგ. ტრენერის ან მენტორის ხელფასი).

ჩვეულებრივ, სუბსიდია გაიცემა მაქსიმუმ 30 კვირის პერიოდზე, მაშინ, როდესაც სოციალური საწარმოებისთვის სუბსიდირების პერიოდი არის 52 კვირა, რომელიც შესაძლებელია გაგრძელდეს დაფინანსების კლებადი ფორმულით.<sup>82</sup>

ლიტვაში დაწესებულია დამატებითი სახელმწიფო დახმარება შშმ პირთა სოციალური საწარმოებისთვის.<sup>83</sup>

ხელფასის და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანების ნაწილობრივი ანაზღაურება დამოკიდებულია თანამშრომელთა შეზღუდული შესაძლებლობების ხარისხზე და განსაკუთრებულ საჭიროებებზე და მერყეობს 60-დან 75 პროცენტამდე. თანამშრომლებს, რომლებიც მიეკუთვნებიან სხვა მოწყვლად ჯგუფებს, შეუძლიათ მიიღონ ხელფასის ნაწილობრივი ანაზღაურებისა და სახელმწიფო სოციალური დაზღვევის შენატანის 50%-იანი შეღავათი.

დამსაქმებელს, რომელიც დროებით ასაქმებს შშმ პირს, შესაძლებლობა აქვს მიიღოს ხელფასის სუბსიდია და ბონუსი მაქსიმუმ 3 თვით. დამსაქმებელს, რომელიც მუდმივად ასაქმებს შშმ პირს, შესაძლებლობა აქვს მიიღოს მუდმივი ხელფასის სუბსიდია და ბონუსი რა პერიოდის განმავლობაშიც შშმ პირი იქნება დასაქმებული.

დამსაქმებლებს, რომლებიც სამუშაოდ იღებენ პირებს სხვა მიზნობრივი ჯგუფებიდან, უფლება აქვთ მიიღონ სახელმწიფო სუბსიდია მათი დასაქმებისთვის 12 ან 24 თვის<sup>84</sup> განმავლობაში.

ლიტვის მთავრობა სოც. საწარმოებს სთავაზობს ბონუსს (ერთჯერადი თანხა) ყოველი ახალი პოზიციის შექმნისთვის. სამუშაო ადგილის შექმნისთვის სუბსიდია მერყეობს საერთო ხარჯის 65 პროცენტიდან - 80 პროცენტამდე.<sup>85</sup>

<sup>81</sup> <http://www.emploi.quebec.gouv.qc.ca/entreprises/recruter/aide-financiere-a-lembauche/subventions-salariales-pour-employes/>

<sup>82</sup> <http://www.canadabusiness.ca/programs/employment-integration-wage-subsidies-1/>

<sup>83</sup> წყაროები: ლიტვის კანონი სოციალურ მეწარმეთა შესახებ, 2004 No. IX-2251. ევროპის კომისია, სოციალურ საწარმოთა რუკა და მათი ეკო-სისტემები ევროპაში, ქვეყნის ანგარიში: ლიტვა, 2014, გვ. 8.

<sup>84</sup> თუ მათი უმუშევრობა შრომის ტერიტორიულ ბაზარზე რეგისტრირებულია და არ აღემატება 2 წელს.

<sup>85</sup> სოციალური მეწარმეები. ინფორმაცია მოცემული სოციალური უსაფრთხოებისა და შრომის სამინისტროს ვებ-გვერდზე: <http://www.socmin.lt/lt/darbo-rinka-uzimtumas/uzimtumo-ir-darbo-z6qc/socialines-imonės.html>; ევროპის კომისია, სოციალურ საწარმოთა რუკა და მათი ეკო-სისტემები ევროპაში, ქვეყნის ანგარიში: ლიტვა, 2014, გვ. 9.

სუბსიდიები იმ თანამშრომლების გადამზადებისთვის, რომლებიც მიეკუთვნებიან სამიზნე ჯგუფებს, შემდეგნაირად ნაწილდება:

- ზოგადი ტრენინგი - საჭირო ხარჯების 60 პროცენტი;
- სპეციალური ტრენინგი - საჭირო ხარჯების 35 პროცენტამდე.<sup>86</sup>

სუბსიდია შშმ პირის სამუშაო გარემოს, საწარმოო შენობებისა და მოსასვენებელი ოთახების ადაპტირებისთვის მერყეობს საერთო ხარჯების 70-დან 80 პროცენტამდე, რაც აუცილებელია ამ მიზნისთვის და დამოკიდებულია შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საჭიროებების ხარისხზე.<sup>87</sup>

სუბსიდია ადმინისტრაციული და სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე არ უნდა აღემატებოდეს ამ საერთო ხარჯების რაოდენობის 70 პროცენტს.

სუბსიდია ასისტენტის (ქესტების ენის თარჯიმანი) ხარჯების ასანაზღაურებლად დამოკიდებულია შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საჭიროებების ხარისხზე და შეიძლება მერყეობდეს მინიმალური საათობრივი ანაზღაურების 20-დან 40 პროცენტამდე. ეს დახმარება შშმ თანამშრომლის მიერ დახარჯული რეალური დროის პროპორციულად გაიცემა.

**პოლონეთში** სოციალური კოოპერატივები სარგებლობენ „სპეციალური სტატუსით“, ვინაიდან ისინი იღებენ სახელმწიფო სუბსიდიებს, განსაკუთრებით დასაქმების ფონდიდან (Employment Fund), თუ ისინი შექმნილი არიან სოციალურად დაუცველი პირების მიერ ან ამ პირებისთვის. დასაქმების ხელშეწყობისა და შრომითი ბაზრის ინსტიტუტების კანონის თანახმად, ხელისუფლებას შეუძლია ერთჯერადად დააფინანსოს უმუშევარი ადამიანი ეკონომიკური საქმიანობის წამოწყებისთვის, რომელიც ასევე მოიცავს მსგავსი აქტივობის წამოწყებისთვის აუცილებელ, იურიდიული დახმარებისათვის და საკონსულტაციო მომსახურებისთვის საჭირო ხარჯებს. დაფინანსება განისაზღვრება კონტრაქტით, რომელიც არ აღემატება საშუალო ანაზღაურების 500%-ს. თუ ამ სქემით მოიაზრება სოციალური კოოპერატივის დაარსება, თითოეულ დამფუძნებელ მოწალეზე შეიძლება გაცემულ იქნეს საშუალო ანაზღაურების მაქსიმუმ 300%, ხოლო თუ დაფინანსების მიმღები გაწევრიანდება უკვე დაარსებულ კოოპერატივში - მაქსიმუმ 200%.<sup>88</sup>

პიროვნება, რომელიც შრომითი ფონდისგან (Labour Fund) მიიღებს ერთჯერად დაფინანსებას ეკონომიკური საქმიანობისთვის ან რომელიც დააარსებს ან გაწევრიანდება კოოპერატივში,

---

<sup>86</sup> სუბსიდია შეიძლება გაიზარდოს 10 პროცენტით საშუალო ზომის საწარმოების შემთხვევაში და 20 პროცენტით, თუ დახმარება განკუთვნილია მცირე ზომის კომპანიებზე.

<sup>87</sup> ეს სუბსიდია არ შეიძლება აღემატებოდეს მთავრობის მიერ არსებულ პერიოდში მოქმედი მინიმალური ხელფასის ექვსმაგ ოდენობას და შეიძლება მიენიჭოს ყოველ 36 თვეში ერთხელ.

<sup>88</sup> Art. 46 (1(2)) of Act of 20 April 2004 on დასაქმების ხელშეწყობისა და სამუშაო ბაზრის დაწესებულებების შესახებ კანონი, მუხლი 46 (1(2)). წყარო: [http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:-4N9eDuoV1sJ:www.paiz.gov.pl/files/%3Fid\\_plik%3D7318+&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=es](http://webcache.googleusercontent.com/search?q=cache:-4N9eDuoV1sJ:www.paiz.gov.pl/files/%3Fid_plik%3D7318+&cd=1&hl=en&ct=clnk&gl=es).

ვალდებულია, აანაზღაუროს მიღებული თანხები, მათ შორის, პროცენტები, იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ახორციელებდა ეკონომიკურ საქმიანობას ან იყო სოციალური კოოპერატივის წევრი 12 თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში, ან თუ დაარღვევს საკონტრაქტო პირობებს.<sup>89</sup>

კვებვის, ლიტვისა და პოლონეთის პრაქტიკა კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ცენტრალურმა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებმა გამოიყენოს სუბსიდირების ინსტრუმენტი სხვადასხვა სოციალური პრობლემის მოსაგვარებლად, იქნება ეს შშმ პირების, სოც. დაუცველებისა თუ სხვა ბარიერის მქონე ადამიანების დასაქმება, თუ მათი ეკონომიკური აქტივობის წახალისება.

საქართველოს კანონმდებლობა იძლევა შესაძლებლობას სოც. საწარმოებზე გაიცეს სუბსიდიები, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან. სოც. საწარმოების მხარდაჭერისათვის, პირველ რიგში, უნდა გამოიკვეთოს ის სფეროები და პრობლემატიკა, რომლებში ინტერვენციითაც სოც. საწარმოებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლის შესრულება სახელმწიფოზე და ბიზნესზე ეფექტურად. ამის შემდეგ, შესაძლოა, განისაზღვროს სუბსიდიების სახეობები და მათი გაცემის, მიღებისა და იმპლემენტაციის წესები.

#### 4.3.2. კრედიტები

რომ განვითარდნენ და გაძლიერდნენ, სოციალურ საწარმოებს უნდა ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა იაფ კრედიტებზე.

**პოლონეთში** 2012 წელს, შრომის და სოციალური პოლიტიკის სამინისტრომ ბანკ Gospodarstwa Krajowego-ს<sup>90</sup> (BGK, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ბანკი), დაახლოებით 30 მილიონი ზლოტი გამოუყო იმისათვის, რათა მას ფონდი დაეფუძნებინა და სოციალური ეკონომიკის სუბიექტების ფინანსური მხარდაჭერის პროექტი განეხორციელებინა.

პროექტის მიზანი იყო სახელმწიფო სახსრების მმართველობის დელეგირება არასამთავრობო სექტორზე, იმ მიზნით, რომ გაზრდილიყო პროცესის ეფექტიანობა.

2013 წლის იანვარში BGK-მ ხელი მოაწერა შეთანხმებას კერძო საინვესტიციო ფონდთან Towarzystwo Inwestycji Społeczno-Ekonomicznych S.A. (TISE), რომელსაც ხუთ მაკრო რეგიონში უნდა ემოქმედა, როგორც ფინანსურ შუამავალს.

2013 წელს TISE-მ, როგორც სესხების ფონდის მენეჯერმა, დაიწყო პროექტი სახელწოდებით: ES Fundusz (სოციალური ეკონომიკის ფონდი). საპილოტე პროექტის ფარგლებში:

- სოციალური ეკონომიკის სუბიექტებისთვის 2.5 წლის მანძილზე 25.1 მილიონი ზლოტის ოდენობის სესხი გაიცა, მათი ეკონომიკური საქმიანობის დასაფინანსებლად (შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთით);

---

<sup>89</sup> იქვე, მუხლი 46 (3).

<sup>90</sup> <https://www.bgk.pl>

- მინიმუმ 200 სოციალური ეკონომიკის სუბიექტს, რომელმაც სესხი 2015 წლის სექტემბრამდე მიიღო, გაეწია 30 საათამდე საკონსულტაციო მომსახურება;
- შეფასდა სოციალური საწარმოების ფინანსური მდგომარეობა, დაფინანსებული და უარყოფილი განაცხადების საფუძველზე;
- განისაზღვრა სოციალური ეკონომიკის სუბიექტების ფინანსური საჭიროებები;
- შეიქმნა სოციალური ეკონომიკის სუბიექტებისთვის მდგრადი ფინანსური ინსტრუმენტები, დაფარული სესხების ხელმეორედ გამოყენების გზით.

**სლოვენიაში** 2016 წელს ეკონომიკური განვითარებისა და ტექნოლოგიების სამინისტრომ გამოაქვეყნა სოციალური საწარმოებისთვის განკუთვნილი ახალი მიკრო-საფინანსო სქემა. დაწყებული ამ წლიდან, სოციალური საწარმოებს ექნებათ სწრაფი და მარტივი წვდომა კრედიტზე ძალზედ ხელსაყრელი პირობებით.

მეწარმეობის ფონდი (Entrepreneurship Fund) მიკროკრედიტების ჩარჩოს ფარგლებში აუთვისებელი თანხებიდან გამოყოფს €12 მილიონს, საიდანაც თითოეული ბენეფიციარი მიიღებს €25 000-მდე. სესხები გაცემული იქნება ხელსაყრელი პირობებით, დაბალი საპროცენტო განაკვეთით და ხანგრძლივი ვადით.<sup>91</sup> ეს მიკროკრედიტები ხელმისაწვდომი იქნება ყველაზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით (2.5-დან 5%-მდე) 6 თვიანი მორატორიუმის პერიოდით და დაფარვის 60 თვიანი ვადით.<sup>92</sup> მიკრო სესხები არის ფონდის მიერ შექმნილი უახლესი დანამატი 700-ზე მეტი მიკრო, მცირე და საშუალო ზომის სოციალური საწარმოების ფინანსური წახალისებისთვის.<sup>93</sup>

პროგრამა მიზნად ისახავს სლოვენიაში სოც. საწარმოთა რაოდენობის მკვეთრ მატებას უახლოესი თვეების განმავლობაში და ასევე, ამ საწარმოებში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის ზრდას.<sup>94</sup>

**ავსტრალიაში** დაარსებულია Social Enterprise Finance Australia (SEFA)<sup>95</sup>, რომელიც წარმოადგენს ავსტრალიური და საერთაშორისო ორგანიზაციების უნიკალურ ნაზავს, რომელთაც აქვთ სოციალური მეწარმეობის და სოციალური ფინანსების სექტორში ოპერირების გამოცდილება. SEFA-ს მიზანია სოციალური ზემოქმედების კრედიტების განვითარება და ინოვაციური

<sup>91</sup> სლოვენის რესპუბლიკის მთავრობა, სოციალური მეწარმეობის განვითარების მიკრო-კრედიტი, 23 მარტი 2016, წყარო: [http://www.vlada.si/en/media\\_room/newsletter/slovenia\\_weekly/news/article/microcredit\\_to\\_boost\\_social\\_entrepreneurship\\_57881/](http://www.vlada.si/en/media_room/newsletter/slovenia_weekly/news/article/microcredit_to_boost_social_entrepreneurship_57881/), last accessed 22 September 2016

<sup>92</sup> “მიკროკრედიტი სლოვენიური სოციალური ბიზნესისთვის”, ევროპის სოციალური ფონდი, 2016, წყარო: <http://ec.europa.eu/esf/main.jsp?catId=67&langId=en&newsId=2504>

<sup>93</sup> სლოვენის რესპუბლიკის მთავრობა, „სოციალური მეწარმეობის განვითარების მიკრო-კრედიტი” 2016, წყარო: [http://www.vlada.si/en/media\\_room/newsletter/slovenia\\_weekly/news/article/microcredit\\_to\\_boost\\_social\\_entrepreneurship\\_57881](http://www.vlada.si/en/media_room/newsletter/slovenia_weekly/news/article/microcredit_to_boost_social_entrepreneurship_57881)

<sup>94</sup> იქვე.

<sup>95</sup> <http://sefa.com.au/>

გადაწყვეტილებების გამოყენებით უფრო ძლიერი და დინამიური სოციალური საწარმოების სექტორის შექმნა.

სახელმწიფოს მიერ მიღებული თავდაპირველი \$10 მილიონის პარალელურად, ფონდმა მოიძია დამატებითი \$10 მილიონი ინვესტორების (equity investors) და კრედიტორების მხრიდან. SEFA აკავშირებს სოციალურ საწარმოებსა და მეწარმეებს ინვესტორებთან და სთავაზობს მორგებულ დაფინანსებას, რომელიც მიმართულია სოციალური საწარმოების განვითარებისა და გაფართოებისკენ. ის, ასევე ახდენს სოციალური ეფექტის მქონე ინვესტიციების ბაზრის წახალისებას.

SEFA-ს საკრედიტო ფონდი ფინანსურ სერვისს სთავაზობს კონკრეტულად სოციალურ საწარმოებს და სოციალური მისიის მქონე ორგანიზაციებს. სესხის მოცულობა შეიძლება იწყებოდეს \$50.000-დან და აჭარბებდეს \$1 მილიონს.<sup>96</sup>

**კანადაში, მანიტობას პროვინციაში**, ქ. ვინიპეგში 2000 წელს ათასწლეულის სახელმწიფო ვალებისგან განთავისუფლებისგან აღსანიშნავად ამოქმედდა საიუბილეო ფონდი (Jubilee Fund). ეს არის კოალიცია, რომელიც სარისკო კაპიტალის გარანტიის უზრუნველყოფით აკრედიტებს სათემო ეკონომიკური განვითარების ისეთ პროექტებს, რომლებიც ჩვეულებრივ პირობებში ვერ მიიღებდნენ დაფინანსებას ბანკებიდან ან საკრედიტო გაერთიანებებიდან.<sup>97</sup> JF არ გასცემს გრანტებს. ის აფინანსებს ინდივიდების ან ორგანიზაციების ისეთ პროექტებს, რომლებიც ერთმანეთში აერთიანებს კარგ ბიზნეს პოტენციალს და სოციალურ მიზანს.

ფონდი, სხვა ღონისძიებებთან ერთად, აფინანსებს ხელმისაწვდომი საცხოვრებელი პირობების პროექტებს (რათა დაკმაყოფილდნენ დაბალი შემოსავლის მქონე ოჯახები, სპეციალური საჭიროების მქონე ჯგუფების წარმომადგენლები და ხანდაზმულები) და სათემო პროექტებს (მოიცავს არასამეწარმეო დღის ცენტრების ოპერირების, დასაქმებაზე ორიენტირებული ტრენინგების, გასართობი პროგრამების და სხვა სათემო სერვისების განვითარებასა და გაფართოებას).<sup>98</sup>

ასევე **კანადაში, ონტარიოს პროვინციაში** მოქმედებს კატაპულტირების მიკრო-სესხების ფონდი სოციალური მეწარმეებისათვის (Ontario Catapult Microloan Fund for Social Enterprises OCMFSE<sup>99</sup>). ის არის შემდეგი ორგანიზაციების გაერთიანება:

- სოციალური ინოვაციების ცენტრი- Centre for Social Innovation (CSI),
- ონტარიოს პროვინცია- Province of Ontario,
- Alterna Savings,
- Microsoft Canada,

<sup>96</sup> სოციალურ საწარმოთა დაფინანსება ავსტრალიაში, სოციალური განზომილების დამატება ფინანსებისათვის, გვ. 4, წყარო: <http://sefa.com.au/wp-content/uploads/2015/03/SEFA2014-11.pdf>

<sup>97</sup> <http://www.jubileefund.ca/faq.php>

<sup>98</sup> <http://www.jubileefund.ca/fund.php>

<sup>99</sup> <http://socialinnovation.ca/catapult>

- TD Bank Group, KPMG,
- Social Capital Partners.

ფონდი შექმნილია იმისთვის, რათა დაეხმაროს სოციალურ მეწარმეებსა და ინოვატორებს, კაპიტალზე ხელმისაწვდომობის ზრდით. ფონდი შემოსავალზე ორიენტირებულ საწარმოებს სთავაზობს \$5.000-\$25.000 (5%-8%) სესხებს ხუთ წლამდე ვადით. ამასთანავე, ფონდი თავის თავზე იღებს ინვესტიციის ეფექტის შეფასებას 2 წლის განმავლობაში. ამ სერვისით სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ ონტარიოში არსებულ სოციალურ მეწარმეებს, რომელთაც ჰყავთ არაუმეტეს 25 თანამშრომლისა და რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება \$2 მილიონს. ასევე სოციალური საწარმოები უნდა იყვნენ CSI წევრები და სთავაზობდნენ საერთო სამუშაო სივრცესა და სერვისებს სხვა სოციალურ მეწარმეებს.

როდესაც სოციალური საწარმო განაცხადს აკეთებს OCMFSE პროგრამაში, მას ასევე შეუძლია ავტომატურად დარეგისტრირდეს ორ დამატებითი პროგრამაში:

- Futurpreneur Canada - სთავაზობს \$15,000-მდე სესხს სოციალურ საწარმოებს, რომელთა ხელმძღვანელის ასაკი არის არა უმეტეს 39 წლისა;
- Youth Social Innovation Capital Fund აფინანსებს საწარმოებს \$25,000-მდე, რომელთა ხელმძღვანელის ასაკი არის 18-35 წელი.

განაცხადები განიხილება ყოველთვიურად CSI-ს, მისი პარტნიორებისა და დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შემდგარი საბჭოს მიერ.

საქართველოში, სოციალური საწარმოებისათვის იაფი კრედიტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის სასურველია მსგავსი მხარდაჭერის მექანიზმი აისახოს სოც. მეწარმეობის სახელმწიფო სტრატეგიაში. ამ მხრივ, კარგი მაგალითია სლოვენის ეკონომიკის განვითარებისა და ტექნოლოგიების სამინისტროს მიერ შემუშავებული სოციალური საწარმოების მიკრო-საფინანსო სქემა. ამასთან, აუცილებელია სოც. საწარმოების დაკრედიტება განხორციელდეს ბიზნესთან, მათ შორის, საბანკო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამ მხრივ, კარგი მაგალითია პოლონური პრაქტიკა, სადაც სახელმწიფომ სოც. მეწარმეების დაკრედიტების ფუნქციების დელეგირება კერძო და არასამთავრობო სექტორზე მოახდინა.

კერძო სექტორის ჩართულობისა და ბიზნესისა და სახელმწიფოს თანამშრომლობის კარგი მაგალითია, ასევე კანადაში, ონტარიოს პროვინციაში მოქმედი „კატაპულტირების მიკრო-სესხების ფონდი სოციალური მეწარმეებისათვის“.

საქართველოში ბიზნესის მხარდაჭერის სფეროში საბანკო სექტორისა და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლობის კარგი მაგალითია პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. სოც. მეწარმეობის მხარდაჭერის შემთხვევაშიც, შესაძლებელია, სახელმწიფოს მიერ ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბდეს სოციალური საწარმოების დაფინანსების პროგრამები. ასე მაგალითად, პროგრამამ „აწარმოე საქართველოში“ შესაძლოა, ცალკე მიმართულებად გამოიყოს სოციალური საწარმოების ხელშეწყობის პროექტი, ასევე სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამებში მოხდეს

სოციალური მეწარმეობის კომპონენტის სეპარაცია. ასეთი მიდგომა ბიზნესის მხარდამჭერი ყველა პროგრამის შემთხვევაში შეიძლება განხორციელდეს. დოკუმენტის საწყის ქვეთავებში, არაერთხელ აღინიშნა, რომ საქართველოში სოც. საწარმოები და განსაკუთრებით არასამეწარმეო იურიდიული პირები, ხშირად ვერ ქმნიან საკმარის გარანტიას სესხის მიღებისათვის და ასეთი ორგანიზაციებისათვის სესხის გაცემა ხშირად მომეტებულ რისკს შეიცავს. სწორედ ამიტომ, აუცილებელია სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამები. ასეთი პროგრამის კარგი მაგალითია კანადაში დაარსებული „საიუბილეო ფონდი“, რომელიც სარისკო კაპიტალის გარანტიის უზრუნველყოფით აკრედიტებს სათემო ეკონომიკური განვითარების ისეთ პროექტებს, რომლებიც ჩვეულებრივ პირობებში ვერ მიიღებდნენ სესხებს. სლოვენიაში დაარსებული მეწარმეობის ფონდიც, სწორედ ანალოგიურ მიზნებს იზიარებს.

საქართველოში, ამ ეტაპზე, სოც. მეწარმეებისათვის ცალკე ფონდის ფორმირება მრავალ სირთულესთან იქნება დაკავშირებული, მით უმეტეს, იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფო სტრატეგია და კანონმდებლობა ამ სფეროში არ არსებობს. ამიტომ, არსებული რეალობის გათვალისწინებით, სახელმწიფომ უნდა გამონახოს სხვა საშუალება იმისათვის, რომ მოხდეს სოც. მეწარმეების დაკრედიტებისას არსებული რისკების დაბალანსება და გარანტიების უზრუნველყოფა.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, ასევე თვალშისაცემია ის გარემოებაც, რომ სოც. მეწარმეებისათვის კრედიტები გაცივმა გაცილებით შელავათიანი პირობებით, დაბალი საპროცენტო განაკვეთითა და ზოგ, შემთხვევაში, ხანგძლივი საშეღავათო პირობებით.

საქართველოში სოც. საწარმოებისათვის იაფი კრედიტების პროგრამის ინიცირებამდე, აუცილებელია სიღრმისეულად შეფასდეს სოც. საწარმოების წინაშე არსებული ფინანსური სირთულეები და ასევე, მათი შესაძლებლობა, მოახდინონ მიღებული სესხების ეფექტიანი გამოყენება. შესაძლებელია, იაფი სესხების პროექტებს თან დაერთოს სოც. მეწარმეთა ტრენინგისა და მენტორობის კომპონენტი, ასევე მათი ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, პროგრამებში ჩაერთოს შუამავალი არასამთავრობო ორგანიზაციები.

### 4.3.3. ტრენინგი

გამოკითხვისას არაერთმა სოციალურმა მეწარმემ მიუთითა, რომ მათთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება ბიზნეს უნარ-ჩვევების ნაკლებობა. აღნიშნული, ძირითადად, განპირობებულია იმით, რომ საქართველოში სოციალურ საწარმოთა უმრავლესობა დაფუძნებულია არასამთავრობო სექტორში მოღვაწე პროფესიონალების მიერ, რომელთაც იშვიათად, თუ აქვთ ბიზნესის წარმოების გამოცდილება.

ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია, სოციალურ მეწარმეებს სისტემურად ჩაუტარდეთ ტრენინგები მარკეტინგში, ბიზნეს-მენეჯმენტში, ბიზნეს სამართალში და სხვა მომიჯნავე დისციპლინებში.

სოც. მეწარმეების ტრენინგის საჭიროებების გადაწყვეტაში არასამთავრობო სექტორთან ერთად, აუცილებელია თავისი წვლილი შეიტანოს ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა და კერძო სექტორმა. საერთაშორისო მასშტაბით, არსებობს

მრავალი პრეცედენტი, როდესაც სახელმწიფო სექტორი მხარს უჭერს სწორედ სოც. მეწარმეების ბიზნეს უნარ-ჩვევების განვითარებას. ქვემოთ მოვიყვანთ რამდენიმე ასეთ მაგალითს:

2006 წელს ბრიტანეთის მესამე სექტორის ოფისის სოციალური მეწარმეობის განყოფილებამ გამოაქვეყნა ახალი სტრატეგია, რომელიც მოიცავდა სოციალურ საწარმოთა გაძლიერების სხვადასხვა მიმართულებებს.<sup>100</sup> მათ შორის, სექტორისთვის მაღალი დონის ტრენინგის ხელშეწყობას და ტრენინგებს დაფინანსების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით;

ავსტრალიაში სოც. მეწარმეთა უნარ-ჩვევების განვითარებისა და ტრენინგებზე პასუხისმგებელია ინდუსტრიის, ინოვაციების და მეცნიერების დეპარტამენტი (სამინისტრო).<sup>101</sup>

კანადაში, ონტარიოს სოციალური ზეგავლენის ვაუჩერის პროგრამა პროვინციის დონეზე მხარს უჭერს სოციალური საწარმოების ფინანსურ მდგრადობასა და გაძლიერებას რესურსებისა და სერვისების ხელმისაწვდომობის შექმნით. პროგრამა გამოყოფს ორასამდე \$3.000 ღირებულების ვაუჩერს ონტარიოში რეგისტრირებული სოციალური საწარმოებისა და მეწარმეებისათვის. ვაუჩერები გაიცემა შუამავალი ორგანიზაციების მეშვეობით. შერჩეული შუამავალი ორგანიზაციები სოციალურ საწარმოებს და მეწარმეებს სთავაზობენ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო პროგრამას, რათა აამაღლონ მათი ბიზნეს შესაძლებლობები. ღონისძიებები, რომლებიც დაფინანსებულია პროგრამის ვაუჩერებით მოიცავს სხვადასხვა ფორმატს, ტრენინგს, სერვისის მიწოდებას, პროდუქტის/სერვისის განვითარებას, რომელიც ხელს შეუწყობს ვაუჩერის მიმღების გამარტივებას.

ონტარიოს Social Enterprise Demonstration Fund-მა,<sup>102</sup> ასევე შეიმუშავა მიდგომა, რომლის მიხედვითაც სოციალურ მეწარმეების ტრენინგებს არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ. ფონდი აფინანსებს სოციალური საწარმოების მხარდაჭერ ექსპერტ არამომგებიან (not-for-profit) ორგანიზაციებს. ეს ორგანიზაციები სოციალურ საწარმოებს აძლიერებენ ორი გზით:

- სოციალური საწარმოების მხარდაჭერა მენტორობისა და რეპეტიტორობის/ქოუჩინგის გზით;
- სოციალური საწარმოებისთვის დაფინანსების მიცემა გრანტის, კრედიტის და სხვა სახით;<sup>103</sup>

---

<sup>100</sup> Cabinet Office, Office of the Third Sector, სოციალური მეწარმეობის სამოქმედო გეგმა: ახალი სიმაღლეების შეკალირება, წყარო: [http://webarchive.nationalarchives.gov.uk/20070701080507/http://cabinetoffice.gov.uk/third\\_sector/documents/social\\_enterprise/se\\_action\\_plan\\_2006.pdf](http://webarchive.nationalarchives.gov.uk/20070701080507/http://cabinetoffice.gov.uk/third_sector/documents/social_enterprise/se_action_plan_2006.pdf)

<sup>101</sup> <http://www.industry.gov.au/Pages/default.aspx>

<sup>102</sup> <https://www.ontario.ca/page/social-enterprise-demonstration-fund>

<sup>103</sup> <https://www.ontario.ca/page/social-enterprise-demonstration-fund>



არასამთავრობო სექტორის ჩართვა სოც. საწარმოთა ტრენინგში ერთი მხრივ, მომგებიანია იმ თვალსაზრისით, რომ სექტორს კარგი გამოცდილება დაუგროვდა სოციალური მისიის მქონე ორგანიზაციების შესაძლებლობების ზრდის პროექტების განხორციელებაში. მეორე, მხრივ, ვინაიდან სოც. საწარმოები ბიზნეს უნარ-ჩვევების ნაკლებობაზე მიუთითებენ, ამ პროცესში აუცილებელია ბიზნეს სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა.

#### **4.3.4. საერთაშორისო თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება**

საქართველოში სოციალური საწარმოების განვითარებისათვის, გამოცდილების გაზიარებისათვის, ინოვაციის წახალისებისა და უცხოურ ბაზარზე წვდომის გამარტივებისათვის აუცილებელია, გაძლიერდეს თანამშრომლობა საზღვარგარეთ მოქმედ სოციალურ საწარმოებთან. ასევე, საჭიროა მათთან ერთობლივი პროექტების განხორციელება და საერთო პრიორიტეტების იდენტიფიცირება.

ასეთი თანამშრომლობის ინიცირებისათვის მნიშვნელოვანია, როგორც სოციალურ საწარმოთა ასოციაციებისა და კლასტერების როლი, ასევე ინდივიდუალური მეწარმეების ინიციატივები.

საქართველოში მოქმედმა დონორმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა გაამახვილონ სოც. საწარმოთა შორის საერთაშორისო თანამშრომლობაზე, რეგიონულ პროექტებსა და თემატური თანამშრომლობის ინიციატივებზე.

#### **4.3.5. სექტორის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების აუცილებლობა**

სოციალურ საწარმოთა გამოკითხვისას ისინი მიუთითებდნენ, რომ კვლავ დაბალი რჩება საზოგადოებრივი ცნობიერების დონე სოციალური მეწარმეობის შესახებ. ასევე, დაბალია ბიზნესის ინტერესი სექტორის მიმართ.

ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად, აუცილებელია სექტორის მიერ ერთიანი ძალისხმევით საზოგადოების ინფორმირება სოციალური მეწარმეობის არსის, მისი შესაძლო სარგებელისა და საკუთარი საქმიანობის შესახებ.

ასევე, აუცილებელია ბიზნეს ორგანიზაციებთან კოორდინირებული დიალოგი და მათი ჩართვა სექტორის საქმიანობაში.

სოციალურმა მეწარმეებმა უფრო მეტად უნდა გამოიყენონ ისეთი საშუალებები, როგორებიცაა სოციალური ქსელები, ითანამშრომლონ მედიასთან, განათავსონ სოციალური რეკლამები და ა.შ.

სოციალური მეწარმეებისათვის, ასევე ძალიან მომგებიანი იქნებოდა ხელმისაწვდომი მარკეტინგული მეთოდების გამოყენება. მაგალითად, ფლაერების დარიგება მათ მიერ წარმოებული პროდუქციისა და მათი სოციალური მისიის შესახებ და ა.შ.

სახელმწიფოსაც შეუძლია თავის წვლილი შეიტანოს სოციალური მეწარმეობის შესახებ ცნობიერების ამაღლების საქმეში. ასე მაგალითად, ლიტვის სოციალური საწარმოების კონცეფციის (რომელიც მთავრობამ 2015 წლის აპრილში დაამტკიცა) სამი მიმართულებიდან

ერთ-ერთი სწორედ სოც. მეწარმეობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების გაზრდა არის.<sup>104</sup> იგივეს იმეორებს სლოვენის სოციალური მეწარმეობის 2013-2016 წლების განვითარების პირველი სტრატეგიაც,<sup>105</sup> (სოციალური მეწარმეობის ცნობადობის და სოციალური მეწარმეობის პრინციპების შესახებ არსებული ცოდნის გაზრდა). ბრიტანეთშიც, სოც. მეწარმეობის დარგის განვითარების შედარებით ადრეულ ეტაპზე (2002 წელს), შექმნილი იყო განვითარების სამწლიანი პროგრამა,<sup>106</sup> რომელიც მიზნად ისახავდა ყველა ბარიერის გადალახვას და შედეგების მიღებას სამი ძირითადი მიმართულებით. ერთ-ერთი მიმართულება სწორედ სოც. საწარმოების ცნობადობის გაზრდა და მათი მიღწევების წახალისება იყო საზოგადოებრივი ნდობის ხარჯზე.

#### 4.4. შიდა სექტორული გამოწვევები და მათი გადაჭრის გზები

##### მრავალფეროვანი სოციალური მიზნები

გამოკითხვამ აჩვენა, რომ საქართველოში სოციალურ საწარმოთა საქმიანობის მიზნები მრავალფეროვანი არ არის. მათი მისია, ძირითადად, მოწყვლადი კატეგორიის პირთა დასაქმება ან/და დახმარებაა.

სახელმწიფომ, არასამთავრობო და კერძო სექტორმა და დონორმა ორგანიზაციებმა უნდა წახალისოს სოციალური საწარმოების შექმნა ისეთ დარგებში, სადაც სახელმწიფოს მომსახურება ძვირი უჯდება, ხოლო ბიზნესს ნაკლები ინტერესი აქვს.

სოციალურ საწარმოთა საქმიანობის სფეროს გამრავალფეროვნება, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სექტორის შესახებ ცნობიერების გაზრდას და სოციალური მეწარმეობით დაინტერესებას.

სექტორმა, ასევე უნდა იზრუნოს ხელი შეუწყოს ნოვაციას და შემოქმედებითობას, რაც სოციალური მეწარმეობის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

##### შემოსავლის წყაროების დივერსიფიცირება

გარდა ზემოთ ხსენებული პრობლემისა ასევე გამოიკვეთა, რომ სოციალურ საწარმოთა ნახევარს არ აქვს ერთზე მეტი დაფინანსების წყარო. მწირია სახელმწიფო გრანტებით, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობით, შემოწირულობის ფორმით შემოსავლის მიღების

<sup>104</sup> ლიტვის ეკონომიკის სამინისტრო, სოციალური მეწარმეობის კონცეფცია 2015, წყარო: [http://www.ukmin.lt/uploads/documents/Verslo%20aplinka/Smulkus%20verslas/Socialinio\\_verslo\\_koncepcija\\_2015\\_%C4%AFsakymas.pdf](http://www.ukmin.lt/uploads/documents/Verslo%20aplinka/Smulkus%20verslas/Socialinio_verslo_koncepcija_2015_%C4%AFsakymas.pdf).

<sup>105</sup> პროგრამის ინსტრუმენტების შეიძლება იხილოთ შემდეგ ელ-მისამართზე: [http://www.mddsz.gov.si/fileadmin/mddsz.gov.si/pageuploads/dokumenti\\_pdf/zaposlovanje/Program\\_ukrepov\\_2014-2015\\_za\\_izvajanje\\_strategije\\_razvoja\\_socialnega\\_podjetnistva.pdf](http://www.mddsz.gov.si/fileadmin/mddsz.gov.si/pageuploads/dokumenti_pdf/zaposlovanje/Program_ukrepov_2014-2015_za_izvajanje_strategije_razvoja_socialnega_podjetnistva.pdf).

<sup>106</sup> Avenue Consulting Group, სოციალური მეწარმეობა: ფენომენი და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის მაგალითები, ერევანი, 2014, გვ. 10, წყარო: <http://www.avenueconsulting.am/resources/avenue/uploads/pdf/af7111fbf9a6b2a731120de9b52b7c.pdf>

შემთხვევები. ასევე, სოც. მეწარმეებს თითქმის არ მიუწვდებათ ხელი სახელმწიფო სუბსიდიებსა და იაფ კრედიტზე.

ეს, ერთი მხრივ, მიუთითებს თავად სოციალური მეწარმეების სისუსტეზე მოახდინონ შემოსავლების დივერსიფიცირება, ხოლო მეორე მხრივ, შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების არარსებობაზე.

როგორც წინა ქვეთავებში აღინიშნა, აუცილებელია, სახელმწიფომ სოც. მეწარმეებისათვის შექმნას გრანტებზე, იაფ კრედიტებზე და მიზნობრივ დაფინანსებაზე წვდომის შესაძლებლობა. ასევე, სახელმწიფო შესყიდვების პროცედურებში დაწესდეს წამახალისებელი მექანიზმები. მეორე მხრივ, აუცილებელია, თავად სოციალურმა მეწარმეებმა იზრუნონ ფინანსურ მდგრადობაზე, შემოსავლების დივერსიფიცირებასა და ბიზნესთან თანამშრომლობაზე.